სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსუ სამშვიდობო განათლების ცენტრი

ბექან ხორავა, ნონა ჭანტურია

აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2019

უაკ (UDC) 35.071.5 (479.226)
ხ-75

სახელმწიფო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად იყოფა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1930 წლებში, საქართველოში ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულს მაზრა წარმოადგენდა. 1930 წლიდან მაზრებად დაყოფა რაიონებად დაყოფით შეიცვალა. აფხაზეთშიც, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, მაზრები, როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები გაუქმდა და რაიონები შეიქმნა. 50-იანი წლებიდან საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია რაიონი, ქალაქი, დაბა და სოფელი.

ნაშრომში შესწავლილია საქართველოს სსრ ავტონომიური ერთეულის, აფხაზეთის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში. მასში ნაჩვენებია საბჭოთა აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შეცვლის დინამიკა. ნაშრომს ერთვის დოკუმენტები 1921-1991 წლებში აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლის ან ტრანსკრიფციული ცვლილებების შესახებ.

რედაქტორი

ნოდარ დარსანია, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

წიგნი გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

© ბ. ხორავა, ნ. ჭანტურია, 2019

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ე. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-675-1

შესავალი

სახელმწიფო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად იყოფა. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის მიზანია გააადვილოს და რაც შეიძლება სრული და ქმედითი გახადოს სახელმწიფო მექანიზმის მუშაობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად ყალიბდება ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა სისტემა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიული, კულტურული, ენობრივი და სხვა მრავალი ფაქტორი; მხედველობაშია მისაღები მეურნეობის ხასიათი, დონე და განვითარების პერსპექტივები, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა, კომუნიკაციების განლაგება, მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, ეთნიკური ჯგუფების კომპაქტური დასახლება და სხვა.

ნაშრომში შესწავლილია აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში. ქრონოლოგიური ჩარჩო განსაზღვრულია საბჭოთა ხელისუფლების პერიოდით. წიგნი შედგება გამოკვლევისა და დოკუმენტებისაგან.

საბჭოთა აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ძირითადად, საბჭოთა კავშირში არსებული ადმინისტრირების პრინციპებს იმეორებდა. ეს განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის ცენტრალიზებული მმართველობის სტილით, რომელიც ყველა რესპუბლიკაში უნიფიცირებული იყო და მსგავსი ადმინისტრირების პრინციპების გატარებას გულისხმობდა. საბჭოთა ადმინისტრირების პრინციპი ყველაზე წვრილმან საკითხებშიც კი, ცენტრალური ხელისუფლების უპირობო დომინანტობასა და შეუზღუდავ დისკრეციას გულისხმობდა, როგორც საკავშირო, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე და უფრო ქვედა ადმინისტრაციულ რგოლებში. ეს უკავშირდებოდა საბჭოთა ადმინისტრირების სამხედრო-პარტიულ ბუნებას, რაც საფუძველშივე გამორიცხავდა ძლიერ ადგილობრივ თვითმმართველობას, როგორც ადგილობრივი საზოგადოებების პოლიტიკური ნების გამოხატულებას.

აფხაზეთის ისტორიის კვლევისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი, რომელიც, ძირითადად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა ცვლილებებს უკავშირდება. ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილება სხვადასხვა ერთეულის – რაიონის, ქალაქის, დაბის, სოფლის, სასოფლო საბჭოს, – შექმნას, გაუქმებას, სასოფლო საბჭოების ცენტრების შეცვლას, ერთი სოფლის სხვა სასოფლო საბჭოსთვის მიკუთვნებას გულისხმობდა. საზღვრების ცვლილებას ზოგჯერ არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და ქართული ფაქტორის შესუსტებას ისახავდა მიზნად.

რაც შეეხება გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეცვლას, ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია. საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში სხვა ფაქტორებთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს ტოპონიმიის საკითხი ასრულებდა. 1921 წლიდან აფხაზეთში იდეოლოგიზებული გეოგრაფიული სახელწოდებები მკვიდრდება. 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან უცხოური – რუსული, თურქული, სომხური, გერმანული გეოგრაფიული სახელწოდებები ძირითადად ქართული სახელებით შეიცვალა. 1940 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა „დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციის კომისია", რომელსაც აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, აფხაზი მწერალი და ჟურნალისტი მუშნი ხაშბა ხელმძღვანელობდა. კომისიის წევრები იყვნენ აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები დიმიტრი გულია, ანდრია ჭოჭუა და სხვ. 1947 წელს კომისიის შემადგენლობა განახლდა, თავმჯდომარე კვლავ მუშნი ხაშბა იყო, ხოლო წევრები – ხუხუტი ბღაჟბა, დიმიტრი გულია, ანდრია ჭოჭუა, ბაგრატ ჯანაშია და სხვები. კომისიის მუშაობის საფუძველზე დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ცვლილებები განხორციელდა. ეს ცვლილებები შეეხო XIX საუკუნეში შექმნილ უცხოურ დასახელებებს, რომლებიც ქართული და აფხაზური ტოპონიმებით შეიცვალა.[1]

ვითარება შეიცვალა 1953 წლიდან, როდესაც საქართველოსა და ქართველების დასჯის მოტივით სსრ კავშირის ცენტრალური ხელისუფლება აფხაზური ნაციონალისტური ძალების მხარდაჭერის

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231, ფურც. 10-15; **Пачулия В. П. Советы Абхазской АССР в период Великой Отечественной Войны (1941-1945 г.г.).** Сухуми, 1990, გვ. 15; **Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов.** *Отв. ред. Б. Е. Сагария*, Сухуми, 1992, გვ. 500-501.

კურსს დაადგა. ამ დროიდან აფხაზეთში მასობრივად დაიწყო ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების აფხაზური, რუსული და სომხური სახელწოდებებით შეცვლა და მხარის ქართული ისტორიულ-კულტურული იდენტობის წაშლა.

ამდენად, აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა გარკვეულწილად ასახავს იმ რთულ ვითარებას, რაც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და კრემლის მიერ მხარდაჭერილ აფხაზურ სეპარატისტულ ძალებს შორის არსებობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში წარმოდგენილ დოკუმენტებში, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მთავარ საფუძვლად, ეკონომიკური ფაქტორია მითითებული, რაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, როგორც ეკონომიკური ფაქტორის როლს უსვამს ხაზს, თუმცა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური ფაქტორი.

საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით ძირითადი წყაროებია სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები, სტატისტიკური ცნობარები, სხვადასხვა სახის აღწერის მასალები.[2] ფრიად მნიშვნელოვანია აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1926, 1935, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციები.[3] ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და გეოგრაფიული სახელწოდებების ცვლილებების შესახებ დოკუმენტების (საქართველოს სსრ ცაკისა და აფხაზეთის ასსრ ცაკის დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები) ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებებში, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში, გაზეთებში: „კომუნისტი", „საბჭოთა აფხაზეთი", «Трудовая Абхазия», «Советская Абхазия» და სხვ.[4] მათი ნაწილი გამოქვეყნებულია დოკუმენტების

---

[2] Административно-территориальный состав СССР на 1 июля 1925 г. и 1 июля 1926 г., М., 1926; Административно-территориальное деление Союза ССР, М., 1931; Административно-территориальное деление Союза ССР, М., 1932; Административно-территориальное деление Союза ССР на 15 июля 1934 года, М., 1934; СССР. Административно-территориальное деление союзных республик. Январь 1965 года, М., 1965; საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწ. I. სათემო ჯამები. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო. ტფილისი, 1923; ს.ს.ს.რ. ადმინისტრატიული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფილისი, 1925; Территория и Население С.С.Р. Абхазии, в кн. Статистический Справочник. Центральное Статистическое Управление ССР Абхазии. 1927 г. Сухум, 1928; საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა. ს.ს ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამოცემა. ქ. ტფილისი, 1930; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის, თბ., 1949; Абхазская АССР. Административно-Территориальное Деление, 1951. Информационно-статистический отдел Президиума Верховного Совета Абхазской АССР. Сухуми, 1951; აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საინფორმაციო-სტატისტიკური განყოფილება. სუხუმი, 1953; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, თბ., 1961; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილება, თბ., 1966; აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1969 წლის 1 იანვრისათვის. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. სოხუმი, 1969; აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1975 წლის 1 დეკემბრისათვის. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სოხუმი, 1975; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილება, თბ., 1977; საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, თბ., 1987.

[3] აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1926; აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1935, წიგნ.: აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. *კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე*, თბ., 2004; აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1937, წიგნ.: აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. *კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე*, თბ., 2004; Конституция (основной закон) Абхазской Автономной Советской Социалистической Республики, Сухуми, 1937; აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). მიღებულია აფხაზეთის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეცხრე სესიის მიერ 1978 წლის 6 ივნისს, სოხუმი, 1979.

[4] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ. №1-2; 1950 წ. №18; 1951 წ. №2; 1952 წ. №1, №2, №3, №5, №7; 1953 წ. №3, №7; 1954 წ. № 4; 1957, №2; 1958, №4; 1959 წ. №3; 1960 წ. №5, №11; 1963 წ. №1; 1964 წ. №36; 1967 წ. №6; საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. №4; აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. №2; Ведомости Верховного Совета Абхазской АССР, 1938, №2; 1939, №1, №4, №7; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №227, 1938 წ. 3 ოქტომბერი; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1944 წ. 4 ივნისი; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №216, 1953 წ. 1 ნოემბერი; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №54, 1975 წ. 18 მარტი; გაზ. „საბჭოთა

კრებულებში.[5] დოკუმენტების ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული, მოძიებულია საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი).[6]

საბჭოთა აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობასთან და დასახლებული პუნქტების სახელწოდებების ცვლილებებთან დაკავშირებული დოკუმენტები, ასეთი მოცულობით, ქართულ (და აფხაზურ) ისტორიოგრაფიაში აქამდე არ გამოქვეყნებულა.[7] მასალის წარმოდგენის კუთხით, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული, რაც საშუალებას იძლევა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ცვლილებები, დინამიკაში დავინახოთ და სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული ტერიტორიული თუ გეოგრაფიული სახელწოდებების ცვლილებების კავშირი არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან უფრო ცხადი გახდეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1930 წლებში, საქართველოში ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულს მაზრა წარმოადგენდა. აფხაზეთში ხუთი მაზრა იყო: გაგრის, გუდაუთის, გუმისთის (შემდეგში – სოხუმის), კოდორის (შემდეგში — ოჩემჩირის), სამურზაყანოს (შემდეგში – გალის). 1930 წლიდან საქართველოში მაზრებად დაყოფა რაიონებად დაყოფით შეიცვალა. აფხაზეთის მაზრები, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, გაუქმდა და რაიონები შეიქმნა. 50-იანი წლებიდან, საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია რაიონი, ქალაქი, დაბა და სოფელი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ ძირითადი დოკუმენტებია საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები. ცნობარებში მოცემულია სხვადასხვა ტიპის მონაცემები, საიდანაც წინამდებარე ნაშრომში, მისი მიზნებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია მხოლოდ ის მასალა, რაც რეგიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას შეეხება: ადმინისტრაციულ ერთეულთა (საქალაქო საბჭო, სადაბო საბჭო, სასოფლო საბჭო) და დასახლებული პუნქტების (ქალაქი, დაბა, სოფელი) რაოდენობის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ცვლილებების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტები საბჭოთა პერიოდში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლის საკითხებს საინტერესო კუთხით წარმოაჩენს. დამკვიდრებული თვალსაზრისით, 1929 წელს გუმისთის მაზრას სახელი გადაერქვა და სოხუმის მაზრა ეწოდა.[8] როგორც ირკვევა, აფხაზეთის ცაკ-ის დადგენილებით, 1924 წლის ოქტომბერში გუმისთის მაზრას სოხუმის მაზრა ეწოდა, მის ადმინისტრაციულ ცენტრად ქალაქი სოხუმი დარჩა.[9] თუმცა, 1925 წლის ს.ს.ს.რ. (საქართველოს სსრ, – ავტ.) ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარის თანახმად, სოხუმი „გუმისტინის

აფხაზეთი", №128, 1975 წ. 28 ივნისი; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №8, 1988 წელი, 13 იანვარი; გაზ. „კომუნისტი", №42, 1943 წ. 20 თებერვალი; გაზ. „კომუნისტი", №85, 1973 წ. 11 აპრილი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1919 წ. 1 მარტი; газ. «Трудовая Абхазия», 1924 г., 23 октября; газ. «Советская Абхазия», №86, 1942 г. 11 апреля.

[5] Собрание узаконений и распоряжений Рабоче-Крестьянского Правительства РСФСР, I отдел, №12, М., 1929; Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской Власти (Март 1921г. – Январь 1922 г.). Сборник документов и материалов. *Составитель И. Ахаая*, Сухуми, 1963; Советы Абхазии (1922-1937 гг.), Сборник документов и материалов, Сухуми, 1976; Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов. *Отв. ред. Б. Е. Сагария*, Сухум, 1992; **Гамхария Дж., Гогия Б. Абхазия – историческая область Грузии, Тб., 1997;** აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. *კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე*, თბ., 2004; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. *შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე*, თბ., 2005.

[6] საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 14, საქმე 403; საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 30, საქმე 22; საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქმე 2894; ფ. 600, აღწ. 2, საქმე 5; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 28; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 30; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 86; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 99; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 428; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1273; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1274; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1279; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1344; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1675; ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1676.

[7] ტოპონიმების გადმოცემისას დოკუმენტებში ხშირად გვხვდება შეცდომები, განსაკუთრებით 20-30-იანი წლების დოკუმენტებში. მიუხედავად ამისა, ავთენტურობის დაცვის მიზნით, წინამდებარე ნიგნში გეოგრაფიული სახელნოდებები მოტანილია ისე, როგორც ეს დოკუმენტშია.

[8] ჯ. მგელაძე, შ. ლაშხია, სოხუმის რაიონი, – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985, გვ. 504.

[9] Постановление Президиума Центрального Исполнительного Комитета ССР Абхазии, 20-го октября 1924 года, газ. «Трудовая Абхазия», №238, 1924 г. 23 октября.

მაზრის" ადმინისტრაციული ცენტრია.[10] აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიტის 1926 წლის ანგარიშში კლაე სოხუმის მაზრა იხსენიება.[11] აფხაზეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოცემულ 1927 წლის სტატისტიკურ ცნობარში, რომელიც 1926 წლის ვითარებას ასახავს, ასევე სოხუმის მაზრა იხსენიება.[12]

როგორც ჩანს, 1924 წლის ოქტომბერში გუმისთის მაზრას სოხუმის მაზრა ეწოდა, თუმცა ეს ფაქტი ვერ დაფიქსირდა საქართველოს სსრ 1925 წლის ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარში, რომელიც უფრო ადრე მომზადდა გამოსაცემად, ვიდრე ეს ცვლილება განხორციელდებოდა. ამას ადასტურებს 1926 და 1927 წლების მასალები, სადაც დაფიქსირებულია სოხუმის მაზრის არსებობა.

ნაშრომში, შესაბამისი კომენტარებით წარმოდგენილია საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1977 წლის ცნობარში მოცემული გადარქმეული დასახლებული პუნქტების თანდართული ცხრილი, რომელიც მრავალ უზუსტობას შეიცავს.[13] ჩვენ, შევეცადეთ, ეს უზუსტობები კომენტარებში სათანადოდ აგვესახა; საცნობარო და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული არასწორი ინფორმაციაც უნდა გასწორდეს.

აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა საბჭოთა პერიოდში საგანგებო შესწავლის საგანი არ ყოფილა, თუმცა, ცალკეული მკვლევრები, საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების შესწავლისას, ბუნებრივია, ნაწილობრივ აფხაზეთსაც ეხებოდნენ. მათ შორის, აღსანიშნავია *იური კაჭარავას, გრიგოლ ზარდალიშვილის, ვაჟა ეზუგბაიას* ნაშრომები.[14] მათში განხილულია საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირითადი ეტაპები. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში აფხაზეთის საზღვრების ფორმირების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისა და გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლის საკითხები განხილულია *ბაჯგურ სალარიას, ვალერი კვარჭიას, ვიანორ ფაჩულიას, ოთარ მიქიაშვილის, კობა ხარაძის, დაზმირ ჯოჯუას, პაატა ცხადაიასა და ბეჟან ხორავას* და სხვათა ნაშრომებში, ასახულია განმაზოგადებელ ნაშრომებში.[15]

საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესწავლა აფხაზეთთან დაკავშირებული კვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი კვლევა და მასალები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აუცილებელია ნარსულის გაკვეთილების გათვალისწინება ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, ასევე ისეთი პრობლემური საკითხის გადაჭრისათვის, როგორიცაა აფხაზეთის კონფლიქტი და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური გარემოებანი.

---

[10] ს.ს.ს.რ. ადმინისტრატული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფილისი, 1925, გვ. 128.

[11] Доклад НКВД в ЦИК Абхазии о сокращении числа сельских Советов, 11 ноября 1926 г., в кн. Советы Абхазии (1922-1937 гг.), Сборник документов и материалов, Сухуми, 1976. გვ. 142-143.

[12] Территория и население С.С.Р. Абхазии. Статистический Справочник, 1927 г. Центральное Статистическое Управление ССР Абхазии. Сухуми, 1928. გვ. 5.

[13] გადარქმეული დასახლებული პუნქტები, ნიგნ.: საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისთვის, თბ., 1977, გვ. 335.

[14] ი. კაჭარავა, საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების განვითარებისა და განმტკიცების ისტორიისათვის საქართველოში (1926-1929 წწ.), – „მაცნე", საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, 1967, №5, გვ. 79; გრ. ზარდალიშვილი, საქართველოს სსრ ეკონომიკური დარაიონება, თბ., 1970; ვ. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება 1921-1932 წწ., თბ., 1973.

[15] История Абхазской АССР (1917-1937), *ответ. редактор Г. А. Дзидзария*, Сухуми, 1983; Сагария Б. Е. Из истории восстановления государственных границ Абхазии, *Известия Абхазского института языка, литературы и истории им. Д. Гулиа*, XIII, Тб., 1985; Кварчия В. Е. Ойконимы Абхазии в письменных источниках, Сухуми, 1985; Пачулия В. П. Советы Абхазкой АССР в период Великой Отечественной Войны (1941-1945 г.г.), Сухуми, 1990; ო. მიქიაშვილი, აფხაზეთის ტოპონიმიის ისტორიიდან. 1943-1952, 1953-1967 წწ., – „ქართველური მემკვიდრეობა", ტ. IV, ქუთაისი, 2000; დ. ჯოჯუა, აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში. 1938-1990 წწ., ნიგნ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007; თ. ბერაძე, ზ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, კრებ.: ზურაბ პაპასქირი – 60. ეამთაალმნერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს, თბ., 2010-2013; თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ზ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, 1. აფხაზეთი, თბ., 2013; პ. ცხადაია, ზ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2018; კ. ხარაძე, ტოპონიმიკური შტუდიები, თბ., 2018.

აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში

აფხაზეთის დღევანდელ საზღვრებში ჩამოყალიბებასა და საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა.

1864 წლის ივლისში რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და აქ უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო ე. წ. სამხედრო-სახალხო მმართველობის სახით, რომელსაც სათავეში აფხაზეთის ჯარების სარდალი ედგა.[16] აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღებით ამ მხარეში კოლონიური პოლიტიკური რეჟიმი მკვიდრდება.[17]

1866 წლის 11 აგვისტოს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ (1855-1881 წწ.) სოხუმის სამხედრო განყოფილების მართვის დებულება დაამტკიცა. დებულების თანახმად, საკუთრივ აფხაზეთის (სოხუმის ოკრუგი), ნებელდისა და სამურზაყანოს (ოქუმის ოკრუგი) გაერთიანებით სოხუმის სამხედრო განყოფილება შეიქმნა, რომელსაც სათავეში აფხაზეთის ჯარების სარდალი ედგა. მას სამხედრო გუბერნატორის უფლება მიენიჭა, თუმცა ნომინალურად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდა.[18] ამრიგად, რუსეთის ხელისუფლებამ სამურზაყანო, რომელიც 1840 წელს სამეგრელოს სამთავროს ჩამოაშორა, და მდ. კოდორის შუა და ზემო წელი (წებელდა), აფხაზეთს შეუერთა.

სოხუმის სამხედრო განყოფილება (აფხაზეთი) ბიჭვინთის, დრანდის, ნებელდის, ოქუმის ოკრუგებად დაიყო. ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით შევიდა მასში ქ. სოხუმი.[19] სოხუმის სამხედრო განყოფილების საზღვარი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ენგურის ქვემო დინებაზე გადიოდა, ჩრდილოეთით – კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს გასდევდა, ჩრდილო-დასავლეთით მდ. ბაღრიფსთა (ხოლოდნაია რეჩკა) გამოყოფდა შავი ზღვის ოკრუგისაგან, რომელიც 1866 წელს მდინარეებს ბაღრიფსთასა და ტუაფსეს შორის ახლად დაპყრობილ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე შეიქმნა.[20]

1867 წელს აფხაზთა მუჰაჯირობის გამო დაცარიელებული მიწა-წყლის დასახლებისა და სოხუმის სამხედრო განყოფილების მმართველობის შემდგომი ცენტრალიზაციის მიზნით, დღის წესრიგში აფხაზეთში ახალი ადმინისტრაციული რეფორმის გატარება დადგა. 1867 წელს კავკასიის მთიელთა მმართველობამ სოხუმის სამხედრო განყოფილების მმართველობის დებულება დაამტკიცა. სოხუმის სამხედრო განყოფილება სასოფლო საზოგადოებებად დაიყო, რომლებიც, თავის მხრივ, ცალკეული სოფლებისაგან შედგებოდა.[21]

1868 წელს აფხაზეთის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა განხორციელდა. იმპერატორის მიერ 27 მაისს დამტკიცებული დებულების თანახმად სოხუმის განყოფილების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები გამსხვილდა. შეიქმნა ორი ოკრუგი – ბიჭვინთის და ოჩემჩირის. ბიჭვინთის ოკრუგი გუდაუთისა (მდ. ბაღრიფსთასა და მდ. გუმისთას შორის) და გუმისთის (მდ. გუმისთასა და მდ. კოდორს შორის) უბნებისაგან შედგებოდა. ოჩემჩირის ოკრუგში კოდორისა (მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის) და სამურზაყანოს (მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის) უბნები შედიოდა. კოდორის შუა და ზემო წელში, რომელიც კოლონიზაციისათვის იყო განსაზღვრული, „ნებელდის დასახლებათა მზრუნველობა" შეიქმნა.[22] 1867-1871 წლებში სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის, გენერალ-მაიორ ვასილი გეიმანის ცნობით, 1871 წელს მისდამი რწმუნებულ მხარეში იყო 1 ქალაქი – სოხუმი, სადაც განთავსებული იყო მხარის მმართველობის ცენტრი, 5 დაბა – ბიჭვინთა, გაგრა, გუდაუთი, ოჩემჩირე, ოქუმი, 75 სოფელი და 12 ახალშენი.[23]

---

[16] **Дзидзария Г. А. Присоединение Абхазии к России, - Труды, 1, Сухуми, 1988, გვ. 67;** ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2014, გვ. 80-81.

[17] **Анчабадзе З. В., Дзидзария Г. А., Куправа А. Э. История Абхазии, Сухуми, 1986, გვ. 87.**

[18] **Дзидзария Г. А. Присоединение Абхазии к России,** გვ. 63-70; ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 82.

[19] ბ. ხორავა, აფხაზეთი 1810-1880 წლებში, წიგნ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007, გვ. 258-260.

[20] თ. ბერაძე, ჯ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, თბ., 2013, გვ. 20.

[21] ზ. ცინცაძე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, ჟურნ. „აფხაზეთის მოამბე", 2002, №6-7, გვ. 24.

[22] **Эсадзе С. С. Историческая записка об управлении Кавказом, т 1, Тифлис, 1907, გვ. 279;** თ. ბერაძე, ჯ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 20.

[23] **Документы по истории Абхазии XIX – начало XX века, Тб., 2018, გვ. 144.**

1880 წელს სოხუმის განყოფილება კავკასიის არმიის მთავარსარდლის უწყებიდან კავკასიის სამხედრო-სახალხო მმართველობის უწყებაში გადავიდა. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი რეალურად სამხედრო გუბერნატორის უფლებებით იყო აღჭურვილი.[24] 1883 წლის 12 ივნისის კანონით სოხუმის სამხედრო განყოფილება, კავკასიაში სამხედრო მმართველობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, სამოქალაქო უწყებაში გადავიდა და სოხუმის ოკრუგად გარდაიქმნა. იგი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიყვანეს. სოხუმის ოკრუგი გუმისთის (ცენტრი ქ. სოხუმი), გუდაუთის (დ. გუდაუთი), კოდორის (დ. ოჩემჩირი), სამურზაყანოს (დ. ოქუმი) უბნებად დაიყო.[25] იმავდროულად ოკრუგის შიდა ადმინისტრაციული საზღვრებიც შეიცვალა. სამურზაყანოს კუთვნილი სოფელი ილორი, მდ. ღალიძგის მარცხენა ნაპირზე, კოდორის უბანს შეუერთეს და საზღვარი კოდორისა და სამურზაყანოს უბნებს შორის მდ. ღალიძგიდან მდ. ოხურეიზე გადაიტანეს.[26]

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველო 1846 წლიდან თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით შედიოდა. გუბერნიებში მაზრები შედიოდა, მაზრები უბნებად იყოფოდა, ეს უკანასკნელი კი სოფლებისაგან შედგებოდა. 1868 წლის 1 იანვრიდან თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში შემოიღეს ახალი, რუსული ადმინისტრაციული დაყოფა. სოფლები გააერთიანეს უწერილეს ერთეულში, რომელსაც სასოფლო საზოგადოება ეწოდებოდა. მასში რამდენიმე მეზობელი სოფელი შეიყვანეს. 1885 წელს მოხდა საქართველოში სასოფლო საზოგადოებების ანუ თემების გამსხვილება მეზობელი თემების შეერთებით. თემს სათავეში არჩეული მამასახლისი ედგა.[27] სოხუმის ოკრუგის უბნებიც სასოფლო საზოგადოებებისაგან შედგებოდა.

1886 წელს შედგა ამიერკავკასიის მხარის მოსახლეობის საოჯახო სიები, რომელშიც მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით შემდეგი მონაცემები შევიდა: კომლების რიცხვი, მოსახლეობის რაოდენობა, ეროვნული შემადგენლობა, აღმსარებლობა, წოდებრიობა, განათლება და სხვ.

საოჯახო სიების მიხედვით სოხუმის ოკრუგი შედგებოდა გუმისთის (ცენტრი ქ. სოხუმი), გუდაუთის (დ. გუდაუთი), კოდორის (დ. ოჩემჩირი), სამურზაყანოს (დ. ოქუმი) უბნებისაგან. უბნები შემდეგი თემებისაგან შედგებოდა: **გუმისთის უბანი** – აკაფის, ალექსანდროვსკოეს, ანდრეევსკოეს, ბაბუშერის, ბესლეთის, ვლადიმიროვკის, გეორგიევსკოეს, გნადენბერგის, გულრიფშის, გუმისთის, დმიტრიევსკოეს, დრანდის, ეკატერინენსკოეს, კელასურის, კონსტანტინოვსკოეს, ლინდაუს, მარინსკოეს, მერხეულის, მიხაილოვსკოეს, ნაიდორფის, ნიკოლაევო-ანასტასიევსკის, ოლგინსკოეს, პაველოვსკოეს, პოლტავსკოეს, ფშაფის, ჩერნიგოვსკოეს, ესტონსკოეს, ეშირის; **გუდაუთის უბანი** – ანუხვის, აცის, აჭანდარის, ბაკლანკის, ბარმიშის, ბლაბურხეის, ჯირხვის, დურიფშის, ზვანდრიფშის, კალდახვარის, ლიძავის, მუგუძირხვის, მწარის, ოთხარის, ფსირცხის; **კოდორის უბანი** – აძიუბჟის, ბესლახუბის, გუფის, ჯგერდის, ილორის, კვიტაულის, მოქვის, ფოქვეშის, ტამიშის, ჭილოვის; **სამურზაყანოს უბანი** – ბარღების, ბედიის, გალის, გუდავის, მუხურის, ნაბაკევის, ოქუმის, საბერიოს, ჭუბურისხინჯის.[28]

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აფხაზთა 1867 და 1877 წლების მუჰაჯირობის შემდეგ მეფის მთავრობამ საკოლონიზაციოდ ვრცელი ტერიტორია მიიღო. რუსეთის ხელისუფლებას სურდა კვლავ დაესახლებინა ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ გაუკაცრიელებული მხარე. ამ პერიოდში ხელისუფლების საფიქრალს წარმოადგენდა არამარტო აფხაზეთის, არამედ შავი ზღვის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს სანდო მოსახლეობით კოლონიზაცია. მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელებული მიწები სახაზინო მიწების ფონდში შევიდა, რომელსაც კავკასიის მთიელთა მმართველობა განაგებდა. 70-იანი წლებიდან აფხაზეთში მიმდინარეობდა ე.წ. „საკურორტო კოლონიზაცია" – მიწის ნაკვეთები სოხუმსა და მის შემოგარენში შეღავათიანი პირობებით ეძლეოდათ რუს ჩინოვნიკებსა და ოფიცრებს; იმავდროულად, აფხაზეთში სამონასტრო კოლონიზაციაც წარიმართა. ბიჭვინთისა და ახა-

---

[24] **ზ. ცინცაძე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, გვ. 24-25.**

[25] **Маевский В. Кутаисская губерния. Военно-статистическое описание, Тифлис, 1896, приложение №2, გვ. 66; Дзидзария Г. А. Присоединение Абхазии к России, Труды, I, Сухуми, 1988, გვ. 68-70; თ. ბერაძე, ჯ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 21.**

[26] **Маевский В. Кутаисская губерния. Военно-статистическое описание, Тифлис, 1896, приложение №27, გვ. 43; ამბერი (ამბროსი ხელაია), ილორის ბედი, გაზ. „საქართველო", №25, 1918 წ. 31 იანვარი.**

[27] **შ. ვანიშეილი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., თბ., 1989, გვ. 83, 93-94.**

[28] **Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из семейных списков 1886 г., Тифлис, 1893.**

ლი ათონის რუსულ მონასტრებს სარგებლობაში დიდი რაოდენობით მიწა და ტყის მასივი გადაეცა.[29]

ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეყვანის შემდეგ, სოხუმის ოკრუგში სამოქალაქო მმართველობის საქმე მნიშვნელოვნად განვითარდა, გაუმჯობესდა მხარის ეკონომიკური მდგომარეობა და აფხაზეთი დასავლეთ საქართველოს შიდა რეგიონებს მჭიდროდ დაუკავშირდა. აფხაზეთში ქართული ელემენტის აღორძინებამ ხელისუფლება შეაშფოთა, ამიტომ ამ მხარეში ქართული გავლენის მოსპობისა და რუსული ელემენტის გაძლიერების მიზნით 1899 წელს სოხუმის ოკრუგის ქუთაისის გუბერნიისაგან ჩამოშორებისა და შავი ზღვის გუბერნიისათვის* გადაცემის საკითხი დადგა.[30] ეს პროცესი იმჟამად ჩაცხრა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოსაცილებლად ყველა ზომას მიმართავდა.

XIX საუკუნის მიწურულიდან რუსეთის ხელისუფლება აფხაზთა შორის ანტიქართულ განწყობას განათლების საფარველით ნერგავდა. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ ერთობასა და ამ ერთობის საფუძველს ქართულ ენას. ამ მიზანს ემსახურებოდა აფხაზეთის ეკლესიებში ღვთისმსახურების ქართულ ენაზე აკრძალვა და საეკლესიო-სლავურზე გადაყვანა. ასე ცდილობდა ცარიზმი ქართველებისაგან აფხაზთა ჩამოცილებისა და „რუსული აფხაზეთის" შექმნის იდეის განხორციელებას.[31] ასეთი პოლიტიკის მიუხედავად, იმჟამად რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზების ქართველებთან დაპირისპირება ვერ მოახერხა.

1901 წელს სოხუმის ეპისკოპოსმა რუსეთის უწმიდესი სინოდის წინაშე მისდამი რწმუნებული ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფისა და სტავროპოლის ეპარქიასთან მიერთების საკითხი დასვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს წამოწყება ვერ განხორციელდა, იგი 1917 წლამდე მუდმივად იდგა.

რუსეთის მთავრობა აფხაზეთის მცოცავ ანექსიას მიმართავდა. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის (1894-1917 წწ.) 1901 წლის 9 ივლისის ბრძანებულებით, მის ახლო ნათესავს, პრინც ალექსანდრე ოლდენბურგს, გაგრის კლიმატური სადგურის (კურორტის) აშენება დაევალა. იმავე წლის ოქტომბერში შესაბამისი სამუშაოები დაიწყო, რომელიც მალევე დასრულდა. 1903 წლის 9 იანვარს გაგრის კლიმატური სადგური გაიხსნა.[32] 1904 წლის 25 დეკემბერს იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის დებულება გაგრის კლიმატური სადგურის, მისი მიმდებარე ტერიტორიით, სოხუმის ოკრუგიდან ჩამოშორებისა და შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგისათვის გადაცემის შესახებ.[33] ამის შედეგად, სოხუმის ოკრუგის საზღვარმა მდ. ბზიფზე გადმოინაცვლა.

იმპერატორის 1903 წლის 17 მარტის ბრძანებულებით, ქუთაისის გუბერნიიდან გამოიყო სოხუმის ოკრუგი, რომელიც უშუალოდ კავკასიის მთავარმართებელს დაექვემდებარა.[34] ამდენად, მეფის მთავრობამ აფხაზეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად საქართველოს ჩამოაშორა, სოხუმის ოკრუგი სამთავარმართებლოში ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად შევიდა. სულ მალე, იმპერატორის 1905 წლის 26 თებერვლის ბრძანებულებით, კავკასიაში მეფისნაცვლობა აღდგა.[35] სოხუმის ოკრუგი უშუალოდ მეფისნაცვალს დაექვემდებარა. ასეთი ვითარება 1917 წლამდე შენარჩუნდა.

---

[29] ბ. ხორავა, აფხაზეთი 1810-1880 წლებში, გვ. 258-260.

* 1896 წლის 23 მაისს შავი ზღვის ოკრუგი ყუბანის ოლქიდან გამოყვეს და მის ბაზაზე შავი ზღვის გუბერნია შექმნეს. ის მოიცავდა შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიას წამასის ყურიდან სოხუმის ოკრუგამდე. მისი ადმინისტრაციული ცენტრი ქ. ნოვოროსიისკი იყო.

[30] ზ. ცინცაძე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, გვ. 25-26.

[31] ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, გვ. 105-106.

[32] გაგრა (აფხაზეთი), გაზ. „ივერია", №150, 1903 წ. 11 ივლისი; Открытие Гагринской климатической станции, Кавказский календарь на 1905 г., Тифлис, 1904, გვ. 31; ა. დიაჩკოვ-ტარასოვი, გაგრა და მისი შემოგარენი. *რუსულიდან თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს ზურაბ პაპასქირმა და ბეჟან ხორავამ*, თბ., 2003, გვ. 150.

[33] Высочайше утвержденное положение Комитета министров о присоединении Гагринской климатической станции с прилегающим к ней районом, к Черноморской губернии, Кавказский календарь на 1906 г., Тифлис, 1906, გვ. 219-220; თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 21.

[34] Полное собрание законов Российской империи. Собрание третье, т. 23, 1903. СПБ., 1905, გვ. 156; ზ. ცინცაძე, აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, გვ. 31.

[35] Именной Высочайший Указ Правительствующему Сенату, 26 февраля 1905 г. О возстановлении должности Наместника Кавказского, - Кавказский календарь на 1906 год, Тифлис, 1906, გვ. 205; შ. ჟანიშვილი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წწ., გვ. 113. მეფისნაცვლის ინსტიტუტი კავკასიაში იმპერატორ ალექსანდრე III-ის (1881-1894 წწ.) 1881 წლის 22 ნოემბრის ბრძანებულებით გაუქმდა, რითაც მხარემ ადმინისტრაციული თვითმმართველობა დაკარგა. კავკასიის მხარის ადმინისტრაციის მმართველად მთავარმართებელი დაინიშნა, რომელიც უფლებამოსილებით მეფისნაცვალს დიდად ჩამორჩებოდა (შ. ჟანიშვილი, იქვე, გვ. 54).

სოხუმის ოკრუგი გუდაუთის, გუმისთის, კოდორის, სამურზაყანოს უბნებად იყოფოდა, რომლებიც, თავის მხრივ, სასოფლო საზოგადოებებისაგან შედგებოდა.[36]

სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსაგან გამოყოფის საკითხი 1916 წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ დადგა. განიხილებოდა სოხუმის ოკრუგის შავი ზღვის გუბერნიასთან მიერთების საკითხიც. გაზეთი „საქართველო" მაშინ წერდა: „აფხაზები ძალიან შეშფოთებული არიან, რომ არ განხორციელდეს გავრცელებული ხმები შესახებ იმისა, რომ განზრახულია აფხაზეთის ეპარქია გამოჰყონ საქართველოს საეგზარხოსოდანაო. აგრეთვე აფხაზებს ისიც აწუხებს, რომ განზრახულია სოხუმის ოლქი ჩამოშორდეს ქუთაისის გუბერნიას, რათა შავი ზღვის გუბერნიას შეუერთონო".[37] მაშინ, 1916 წლის აპრილში, თბილისში ჩამოვიდა აფხაზთა დეპუტაცია, რომელიც მეფისნაცვალს, დიდ მთავარს ნიკოლოზ რომანოვს (1915-1917 წწ.) და საქართველოს ეგზარქოსს, მიტროპოლიტ პლატონს (1915-1917 წწ.) შეხვდა. დეპუტაციაში შედიოდნენ აფხაზური თავადაზნაურობის ბრწყინვალე წარმომადგენლები: ალექსანდრე შარეაშიძე, გიორგი კონსტანტინეს ძე შარვაშიძე, მელიტონ ემუხვარი, დიმიტრი მარშანია, ასტამურ ინალ-იფა, პეტრე ანჩაბაძე, დიმიტრი მარღანია, ნოჩო მარღანია, აგრეთვე გლეხები: მიხეილ ეზუხბაია და ანტონ ჩუკბარი. დეპუტაციამ აფხაზი ხალხის სახელით მეფისნაცვალს და ეგზარქოსს წარუდგინა მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებდა მთავრობის მხრიდან აფხაზეთისათვის მეტი ყურადღების გამოჩენას, სოხუმის ოლქი არ მიეერთებინათ შავი ზღვის გუბერნიისათვის, სოხუმის ეპარქია საქართველოს საეგზარქოსოსაგან არ გამოეყოთ; აფხაზეთის სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო ყოფილიყო.[38] „იმ შემთხვევაში, – ნათქვამია დეპუტაციის მოთხოვნებში, – თუ შეუძლებელი იქნება სოხუმის ოლქის ცალკე გუბერნიად გარდაქმნა და აუცილებელი გახდება მისი მიწერა რომელიმე გუბერნიასთან, ამ შემთხვევაში სოხუმის ოლქი უნდა გაერთიანდეს ქუთაისის გუბერნიასთან. სოხუმის ეპარქია იმის გამო, რომ თავისი წარსულით და დღევანდელობით სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ქართულ ეკლესიასთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას მას ჩამოშორებული".[39]

იმავე ხანებში გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნდა დეპუტაციის ორი წევრის მელიტონ ემუხვარისა და პეტრე ანჩაბაძის წერილი, სადაც ნათქვამია: „ჩვენ გვინდა ისეთი ადმინისტრაციული და თუ შესაძლებელია, საერობო მმართველობაც, რომელიც განსაკუთრებულად იზრუნებს სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის. ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით, რომ ჩვენი თვით-არსებობის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ჩვენ ყოველივე საშუალებით ვიბრძვით არსებობისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენთან ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებული მოძმენი ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურობა. ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველობასთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთან".[40]

აფხაზური საზოგადოების მოთხოვნას დადებითი შედეგები მოჰყვა. სოხუმის ოკრუგი არ შეუერთეს შავი ზღვის გუბერნიას და სოხუმის ეპარქიაც საქართველოს საეგზარქოსოს შემადგენლობაში დატოვეს.

1917 წლის თებერვალში რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მოხდა. მონარქია დაემხო და ხელისუფლების სათავეში დროებითი მთავრობა მოვიდა, რომელმაც 9 მარტს სამხრეთ კავკასიის მართვა-გამგეობისათვის „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი" (Особый Закавказский Комитет, ОЗАКОМ) შექმნა.[41] ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რჩებოდა: თბილისის გუბერნია 9 მაზრით და ქუთაისის გუბერნია 7 მაზრით, ბათუმის ოლქი, სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგები.[42]

---

[36] Кавказский календарь на 1905 г., Тифлис, 1904, გვ. 250.

[37] აფხაზების დეპუტაცია, გაზ. „საქართველო", №94, 1916 წ. 28 აპრილი.

XIX-XX სს. „ოკრუგი" ქართულ ენაზე „ოლქის" სახელით გადმოჰქონდათ და სამეცნიერო ლიტერატურაშიც მეტნილად ასე დამკვიდრდა, თუმცა „ოკრუგი" და „ოლქი" იდენტური ცნებები არ არის.

[38] აფხაზების დეპუტაცია, გაზ. „საქართველო", №94, 1916 წ. 28 აპრილი; აფხაზთა დეპუტაცია ექსარხოსთან, გაზ. „საქართველო", №100, 1916 წ. 5 მაისი; ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1916 წ. №23; გაზ. „ჩვენი მეგობარი", №47, 1916 წ. 29 აპრილი; ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 30.

[39] აფხაზების დეპუტაცია, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1916 წ. №23. გვ. 4.

[40] მ. ემუხვარი, პ. ანჩაბაძე, მცირედი განმარტება, გაზ. „საქართველო", №99, 1916 წ. 4 მაისი.

[41] ა.კ. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 177; ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001, გვ. 36.

[42] თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 108.

1917 წელს სოხუმის ოკრუგის ფართობი 8273 კვ. კმ შეადგენდა, სამამასახლისოების რაოდენობა 86 იყო.[43]

10 მარტს სოხუმში ოზაკომს დაქვემდებარებული ხელისუფლების ადგილობრივი საოლქო ორგანო, საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომიტეტი შეიქმნა სოხუმის ქალაქის თავის თავად ალექსანდრე გრიგოლის ძე შარვაშიძის თავმჯდომარეობით.[44]

1917 წლის 30 ოქტომბერს ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, წარმოშობით სამურზაყანოს მკვიდრის, სოციალ-დემოკრატ აკაკი ჩხენკელის (1874–1959 წწ.) თავმჯდომარეობით, რუსეთის დროებითი მთავრობის წინაშე სოხუმის ოლქის ძველი საზღვრის აღდგენის აუცილებლობის საკითხი აღძრა. როგორც ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, შუამდგომლობას მხარს უჭერდა ძველი გაგრის, ახალი გაგრის და ალაპაძის მოსახლეობა.[45] საგანგებო კომიტეტის სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი აუცილებლად აღიარებს, ამჟამადვე, დროებით ღონისძიებების სახით აღდგეს სოხუმის ოლქის ძველი საზღვრები და დროებითი მთავრობის წინაშე ამავდროულად აღიძრას შესაბამისი შუამდგომლობა".[46]

ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება რუსეთის დროებით მთავრობას აღარ დასცალდა. 1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული გადატრიალების შედეგად რუსეთის დროებითი მთავრობა დაემხო და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა. ასეთ ვითარებაში, ქართველი სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა 1917 წლის 15 (28) ნოემბერს თბილისში სამხარეო ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატი (მთავრობა) შექმნეს, რომელსაც სათავეში ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი (1881-1954 წწ.) ჩაუდგა.[47] ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები – ეროვნული საბჭოები ჩამოყალიბდა. 1917 წლის 7-8 ნოემბერს აფხაზეთის გლეხთა I ყრილობაზე აფხაზთა სახალხო საბჭო შეიქმნა. ყრილობაზე მიღებული დეკლარაციის თანახმად, აფხაზთა სახალხო საბჭო აფხაზი ხალხის (და არა აფხაზეთის, – ავტ.) ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც აფხაზი ხალხის ინტერესებს იცავდა.[48] 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ საქართველოს ეროვნული საბჭო აირჩია.[49] აფხაზეთში აფხაზთა სახალხო საბჭოს გარდა ქართველთა, ბერძენთა, სომეხთა, ესტონელთა სახალხო საბჭოები შეიქმნა. საქართველოს ეროვნულ საბჭოს ურთიერთობა მხოლოდ აფხაზთა სახალხო საბჭოსთან ჰქონდა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით დააკმაყოფილა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის შუამდგომლობა რუსეთის დროებითი მთავრობისადმი. ამ დადგენილებით გაუქმდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის (1894-1917 წწ.) მიერ დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის 1904 წლის 25 ოქტომბრის დებულება სოხუმის ოლქიდან გაგრის კლიმატური სადგურის რაიონის გამოყოფისა და შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგთან ადმინისტრაციულად მიერთების შესახებ. ამიერკავკასიის კომისარიატმა დაადგინა აღდგენილიყო სოხუმის ოლქის ისტორიული საზღვარი მის შემადგენლობაში გაგრისა და ბზიფის რაიონების შეყვანის გზით.[50]

---

[43] საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, ს.ს ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამოცემა. ქ. ტფილისი, 1930, გვ. 202.

[44] ჯ. გამახარია, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, წიგნ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, გვ. 285.

[45] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. *კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე*, თბ., 2004, გვ. 7.

[46] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 8.

[47] **Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, репринтное издание, Тбилиси, 1990,** გვ. 7; ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 76.

[48] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 8-9; ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 37-38.

[49] ნ. ჭანტურია, ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, თბ., 2006, გვ. 36.

[50] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 13; ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), გვ. 77-80.

ამდენად, მდინარეებს – ბზიფსა და მზიმთას შორის ტერიტორია შავი ზღვის გუბერნიას ჩამოერთვა და გაგრის რაიონის სახელწოდებით სოხუმის ოკრუგის (ოლქის) შემადგენლობაში შევიდა. სოხუმის ოკრუგის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. მზიმთა გახდა.[51]

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებსა და აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაციას შორის შეხვედრა გაიმართა, რომელზეც საქართველო-აფხაზეთის მომავალი ურთიერთობების საკითხები განიხილეს. იმავე დღეს გაფორმდა შეთანხმება „საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის შესახებ", სადაც ნათქვამია: 1. „აღდგეს ერთიანი განუყოფელი აფხაზეთი საზღვრებში მდინარე ენგურიდან მდინარე მზიმთამდე, რომლის შემადგენლობაშიც შევა საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო – ამჟამინდელი სოხუმის ოლქი; 2. ერთიანი აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმა უნდა შემუშავდეს ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული აფხაზეთის დამფუძნებელი კრების მიერ; 3. იმ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთი და საქართველო მოისურვებენ სხვა ეროვნებებთან ან სახელმწიფოებთან დაამყარონ სახელშეკრულებო ურთიერთობა, მაშინ ერთმანეთის წინაშე იღებენ ვალდებულებას წინასწარ მოილაპარაკონ ამასთან დაკავშირებით".[52]

ამრიგად, რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, 1918 წლის 9 თებერვლის შეთანხმებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური აფხაზეთის არსებობას, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება დემოკრატიული წესით არჩეულ დამფუძნებელ კრებას უნდა მიეღო. აღსანიშნავია, რომ ეს შეთანხმება სახელმწიფოებრივი აქტი არ იყო, რადგან მას ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები აწერდნენ ხელს.

1918 წლის 10 თებერვალს თბილისში ამიერკავკასიის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო სეიმი (პარლამენტი) შეიქმნა. იგი შედგებოდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიიდან არჩეული წევრებისა და ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან. ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ქართველი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864-1926 წწ.) გახდა. ორი თვის შემდეგ, 9 (22) აპრილს, სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო.[53] შეიქმნა „დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა" და ბოლშევიკურ რუსეთს ამიერკავკასია ჩამოშორდა. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ქართველი სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი გახდა.[54]

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა შინაგანი წინააღმდეგობების გამო დაიშალა. იმავე დღეს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. 117 წლის განმავლობაში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღდგა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც სოხუმის ოლქი (აფხაზეთი) ავტონომიის უფლებით შევიდა. სოხუმის ოლქი გუდაუთის, გუმისთის, კოდორის, სამურზაყანოს უბნებისაგან შედგებოდა.

2 ივნისს აფხაზთა სახალხო საბჭომ გამოაცხადა, რომ ძალაუფლებას მთელი აფხაზეთის ფარგლებში ხელში იღებდა. იმავდროულად, მან საქართველოს ეროვნულ საბჭოს თხოვნით მიმართა, აფხაზეთში ხელისუფლების ორგანიზების საქმეში მისთვის დახმარება გაეწია.[55] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად თბილისში აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაცია გაიგზავნა. 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზთა სახალხო საბჭოს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ხელშეკრულებით, აფხაზთა სახალხო საბჭო აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას ადასტურებდა; აფხაზეთს სრული შინაგანი ავტონომია ენიჭებოდა; ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მხრიდან აფ-

---

[51] თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, კრებ.: ზურაბ პაპასქირი – 60, „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს", თბ., 2010-2013, გვ. 339-340.

[52] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 14-15; ნ. ჭანტურია, ეროვნული საბჭო..., გვ. 133-134.

[53] **Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии**, გვ. 200-222; ჯ. გამახარია, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 288.

[54] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 87-92.

[55] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 16-17; ჯ. გამახარია, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 288-289.

ხაზთა სახალხო საბჭოსთვის სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებასაც ითვალისწინებდა.[56]

1918 წლის 11 ივნისის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სულ მალე, აფხაზეთში ვითარება გართულდა. 16 ივნისს გააქტიურდნენ გაგრაში გამაგრებული ბოლშევიკები, რომელთა დასახმარებლად სამხრეთ რუსეთის ქალაქებიდან – სოჭი, ტუაფსე, მაიკოპი და სხვ. შეიარაღებული რაზმები მოვიდნენ. მათ საქართველოს ეროვნული გვარდიის მეწინავე რაზმი ამოხოცეს, გუდაუთი დაიკავეს და სოხუმზე შეტევისთვის ემზადებოდნენ. ასეთ ვითარებაში, აფხაზთა სახალხო საბჭომ საქართველოს ხელისუფლებას დახმარების თხოვნით მიმართა.[57]

საქართველოს ჯარის ნაწილები, რომელსაც აფხაზთა სახალხო საბჭოს მიერ შეკრებილი აფხაზთა ცხენოსანი ლაშქარიც შეუერთდა, შეტევაზე გადავიდნენ და 20 ივნისს ახალი ათონი, 22 ივნისს გუდაუთი, 28 ივნისს გაგრა დაიკავეს. ამდენად, მათ ბოლშევიკთა შეიარაღებული ნაწილები აფხაზეთიდან განდევნეს და შავი ზღვის გუბერნიის ყოფილ საზღვარზე, სოფ. პილენკოვოსთან, მდ. მეპადირზე გამაგრდნენ.[58]

ასეთ ვითარებაში, 1918 წლის 24 ივნისს, აფხაზთა სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება „სოჭისა და ტუაფსეს ოლქების დაკავების აუცილებლობის შესახებ", რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაც დაეთანხმა. აფხაზთა სახალხო საბჭომ და საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში მოქმედი ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ გიორგი მაზნიაშვილს დაავალა, სამხრეთ რუსეთში ანარქიის შეწყვეტამდე, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის უსაფრთხოების დაცვის მიზნით და ეკონომიკური მოსაზრებებით (ყუბანის მთავრობისგან პურისა და ნავთობის ხელსაყრელ ფასებში შეძენის მიზნით), შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო ქ. ტუაფსეს ჩათვლით დაეკავებინა.[59]

რუსეთში ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის (1917 წლის ოქტომბერი) შემდეგ ოსმალეთმა აქტიური მოქმედება დაიწყო ამიერკავკასიის დასაპყრობად, რომელსაც რუსეთის ჯარი ტოვებდა. ოსმალეთის ემისრები აფხაზთა ზედაფენას ძველი პრივილეგიების აღდგენას აღუთქვამდნენ, აქეზებდნენ მათ აფხაზეთი საქართველოსაგან გამოეყოთ და ეს მხარე ოსმალეთის გავლენის სფეროში მოექციათ. აფხაზური საზოგადოების ერთმა ნაწილმა, რომელსაც პროთურქული ორიენტაცია ჰქონდა, ოსმალეთს მფარველობის თხოვნით მიმართა და ბოლშევიკების გამოსვლის ჩახშობას თურქთა დახმარებით ცდილობდა. ოსმალეთმა გადაწყვიტა ჯარი გამოეგზავნა სოხუმის ასაღებად და სათანადო მზადებას შეუდგა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს ჯარის ნაწილები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე იბრძოდნენ, პროთურქულად განწყობილ აფხაზთა მონვეევით ოსმალთა დესანტი, რომელიც ძირითადად აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან შედგებოდა, 27 ივნისს მდ. კოდორის შესართავში გადმოსხდა. საქართველოს ჯარის ნაწილები მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირზე გამაგრდნენ და სოხუმის მისასვლელი ჩაკეტეს. დროულად მიღებული ღონისძიებების გამო, ოსმალებმა სოხუმის დაკავება ვერ შეძლეს. აგვისტოში საქართველოს ჯარის ნაწილებმა თურქთა დესანტი აიძულეს აფხაზეთი დაეტოვებინა.[60]

1918 წლის გაზაფხულ-ზაფხულში აფხაზეთში ბოლშევიკებისა და თურქოფილების ერთდროული გამოსვლები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ორივე ძალა აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილებასა და დასაკუთრებას ისახავდა მიზნად.[61]

---

[56] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 17-18, 19-20; **თ. ბერაძე, ბ. ხორავა**, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 341-342.

[57] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 17-18, 19-20; **გ. მაზნიაშვილი**, მოგონებანი. 1917-1925, ბათუმი, 1990, გვ. 59-60; **ჯ. გამახარია**, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 291.

[58] **გ. მაზნიაშვილი**, მოგონებანი, გვ. 63-64; **Ментешашвили А. М. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии**, გვ. 25; **ჯ. გამახარია**, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 291.

[59] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 20-21; **გ. მაზნიაშვილი**, მოგონებანი, გვ. 64, 73; **Гамахария Дж., Гогия Б. Абхазия – историческая область Грузии**, Тб., 1997. გვ. 752-753, 759.

[60] **გ. მაზნიაშვილი**, მოგონებანი, გვ. 69-72; **მ. გაბედავა**, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-1921 წლებში, გვ. 22-24; **ჯ. გამახარია**, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 291-292; **ზ. ნურნუმია**, აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში (XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში), თბ., 2012, გვ. 202-206.

[61] **ზ. ნურნუმია**, აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში, გვ. 209; **ა. ჩაჩხიანი**, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები), თბ., 2014, გვ. 128-142.

გაგრის დაკავების შემდეგ საქართველოს ჯარის ნაწილები იმავე 28 ივნისს პილენკოვოში შევიდნენ, ხოლო მდ. ფსოუსა და მდ. მზიმთის გადალახვის შემდეგ, 29 ივნისს – ადლერი, 5 ივლისს – ხოსთა, ხოლო 6 ივლისს სოჭი დაიკავეს. საქართველოს ჯარის ნაწილები წარმატებით განაგრძობდნენ შეტევას შავიზღვისპირეთში. 26 ივლისს, 12 საათიანი გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, ისინი ტუაფსეში შევიდნენ. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა უშუალო კავშირი დაემყარებინა ყუბანის მთავრობასთან. ამ მიზნით საქართველოს ჯარის ნაწილებმა ტუაფსეს შემდეგ შავიზღვისპირას არხიპო-ოსიპოვკა და კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი ხადიჟენსკი და ბელორეჩენსკი დაიკავეს.[62] ამდენად, საქართველოს ჯარის ნაწილებმა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან ბოლშევიკთა შეიარაღებული რაზმები განდევნა.[63]

მალე, შავიზღვისპირეთში შეტევაზე ნითელი არმიის ნაწილები გადმოვიდნენ. მოხალისეთა არმიის მიერ დამარცხებული ნითელი არმიის ნაწილები ტამანიდან ნოვოროსიისკისაკენ გაემართნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ტუაფსედან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყვნენ და ჩრდილოეთ კავკასიის ნითელ არმიას შეერთებოდნენ. 26-29 აგვისტოს ნითელი არმიის ნაწილებმა ნოვოროსიისკი, გელენჯიკი, ფშადა, არხიპო-ოსიპოვკა, ნოვო-მიხაილოვსკოე აიღეს. საქართველოს ჯარის მცირერიცხოვანმა რაზმებმა არხიპო-ოსიპოვკადან უკან დაიხიეს. 1 სექტემბერს მათ ტუაფსე დატოვეს და ლაზარევსკოეში გამაგრდნენ. ორი დღის შემდეგ, როდესაც ნითელი არმიის ნაწილებმა ტუაფსე დატოვეს და ქედს გაღმა არმავირის გზას დაადგნენ, საქართველოს ჯარის ნაწილებმა ტუაფსე ხელახლა დაიკავეს. იმავდროულად, მას ჩრდილოეთიდან გენერალ ანტონ დენიკინის (1872-1947 წწ.) მოხალისეთა არმია უახლოვდებოდა. მოხალისეთა არმიასთან შეტაკების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ჯარის ნაწილებმა უკან დაიხიეს და ტუაფსესა და სოჭის ოლქების საზღვარზე, მდ. შახეზე გამაგრდნენ. 6 სექტემბერს ტუაფსე მოხალისეთა არმიამ დაიკავა.[64]

18 სექტემბერს სოჭში გაიმართა სოჭის ოლქის სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოს სხდომა. მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც დაცულია დემოკრატიის პრინციპები და რადგან სოჭის ოლქს დენიკინის სამხედრო დიქტატურა ემუქრება, საბჭო გამოთქვამს სურვილს საქართველოს მთავრობამ სპეციალური დეკრეტით დაუყოვნებლივ გააფორმოს სოჭის ოლქის დროებით მიერთება რესპუბლიკასთან. მსგავსი რეზოლუცია 18 სექტემბერს ესერების პარტიის სოჭის ორგანიზაციამაც მიიღო. სოჭის მოსახლეობის საერთო კრებამ, რომელიც სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოს, მუშათა დეპუტატების საბჭოს, მუშათა კავშირის, ქალაქის სათათბიროს წევრთა ინიციატივით 20 სექტემბერს გაიმართა, სოჭის ოლქის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დროებით მიერთების შესახებ რეზოლუცია მიიღო.[65]

1918 წლის 25-26 სექტემბერს ქ. ეკატერინოდარში მოხალისეთა არმიის, ყუბანის მთავრობის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. სამხრეთ რუსეთში ანტიბოლშევიკური მოძრაობის ხელმძღვანელებმა, მეფის არმიის გენერლებმა მიხეილ ალექსეევმა და ანტონ დენიკინმა, სოჭისა და გაგრის ოლქებზე, როგორც რუსულ მიწაზე, პრეტენზია განაცხადეს. ისინი „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის" შექმნისათვის იბრძოდნენ, რომლის შემადგენლობაში აფხაზეთის უშუალოდ შეყვანაც სურდათ. მათ აფხაზთა ერთი ნაწილიც მხარს უჭერდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა ტუაფსეს ოლქის დათმობის შესახებ განცხადება გააკეთა, თუმცა სოჭის ოლქის დროებით, რუსეთში ანარქიის აღკვეთამდე შენარჩუნების სურვილი გამოთქვა. რაც შეეხება გაგრის

---

[62] გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 65, 73, 75; Ментешашвили А. М. Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, გვ. 25; ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 125; ა. ჩაჩხიანი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები), გვ. 128, 143-155.

[63] თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 343.

[64] Ковтюх Е. «Железный поток» в военном изложении, издание второе, *под ред. и с предисловием Вл. Великова*, М. 1931, გვ. 53-65; Деникин А. И. Очерки русской смуты. Белое движение и борьба Добровольческой армии. Май - Октябрь 1918, გვ. 399; გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 77-78; თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 343-344.

[65] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 388-390; თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 344.

ოლქს, ის აფხაზეთის ნაწილად, ხოლო აფხაზეთს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.[66] მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და შეწყდა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს მთავრობა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე შექმნილი ვითარებით იყო დაკავებული, 7 დეკემბერს, საქართველოს სომხეთის რესპუბლიკის ჯარის ნაწილები ვერაგულად თავს დაესხნენ. საქართველო-სომხეთის ომის დაწყებამ სოჭის ოლქის სომხური მოსახლეობა საქართველოს წინააღმდეგ განაწყო. ამის შესაბამისად, მოხალისეთა არმიის აგენტების საქმიანობა გაძლიერდა. ფაქტობრივად, ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმია, სოჭისა და მისი შემოგარენის სომხური მოსახლეობა და სომხეთის მთავრობა შეთანხმებულად მოქმედებდნენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან ჯარის ნაწილების გამოყვანა დაიწყო.[67]

გენერალ-ლეიტენანტი ანტონ დენიკინი, რომელიც 1919 წლის იანვრიდან სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო, კატეგორიულად მოითხოვდა ქართველებს სოჭისა და გაგრის ოლქები მდ. ბზიფამდე დაეცალათ.[68] 1919 წლის თებერვალში ანტონ დენიკინმა საქართველოს ფაქტობრივად ომი გამოუცხადა. 2 თებერვალს (ძველი სტილით 20 იანვარს) მან საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომლითაც მის დაქვემდებარებაში მყოფ სახმელეთო და საზღვაო ძალებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა უბრძანა. ასე დაიწყო ომი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, რომელიც ერთ წელზე მეტხანს გაგრძელდა. 6 თებერვალს (ძვ. სტ. 24 იანვარს), დილის 4 საათზე, სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი შენაერთი მოხალისეთა არმია შეტევაზე გადმოვიდა, დაამარცხა ქართული ჯარის ნაწილები და ლოო და სოჭი დაიკავა. შემდეგ მოხალისეთა არმიამ შეტევა განაგრძო, გაგრა დაიკავა და 10 თებერვალს სოჭის ოლქის (ოკრუგის) ძველ საზღვარზე, მდ. ბზიფის მარჯვენა ნაპირზე გამაგრდა.[69] ამით ანტონ დენიკინმა შავი ზღვის გუბერნიასა და სოხუმის ოლქს შორის ძველი საზღვარი აღადგინა. ასე რომ, სოჭის ოლქი 1918 წლის ივლისიდან 1919 წლის თებერვლამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა.[70]

1919 წლის 13 თებერვალს მთელ აფხაზეთში აფხაზეთის სახალხო საბჭოს დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. არჩეულ იქნა აფხაზეთის სახალხო საბჭო – აფხაზეთის ავტონომიის ფარგლებში საკანონმდებლო ორგანო.[71] უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას აფხაზეთის კომისარიატი (მთავრობა) წარმოადგენდა. 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის სახალხო საბჭომ მიიღო „აქტი ავტონომიის შესახებ", რომლის ძალითაც აფხაზეთი ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლებით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა.[72] ამ აქტით, ოფიციალურად აღდგა რუსეთის ხელისუფლების მიერ 1864 წელს გაუქმებული სახელი „აფხაზეთი". სოხუმის ოლქს აფხაზეთი ეწოდა, უბნებს – მაზრები. ამას წინ უსწრებდა საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 30 იანვრის კანონის მიღება, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა გაუქმდა. იმავდროულად, შენარჩუნდა მაზრებად დაყოფის ძველი სისტემა.[73]

აფხაზეთის სახალხო საბჭოს პირველსავე სხდომაზე დაისვა საკითხი მოხალისეთა არმიის ნა-

---

[66] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, გვ. 391-414; გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 79-113; მ. გაბედავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-1921 წლებში, გვ. 26.

[67] გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 119; ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 131-132; Мирзулин Г. Р. Армяно-грузинские взаимоотношения в 1918-1920 годах. Тб., 2007, გვ. 145; ა. ჩაჩხიანი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები და საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში (1918-1920 წლები), გვ. 226-231; თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 344.

[68] Деникин А. И. Очерки русской смуты. Вооруженные силы юга России. Заключительный период борьбы. Январь 1919 – март 1920. Минск, 2002, გვ. 271.

[69] Деникин А. И. Очерки русской смуты. Октябрь 1918 – январь 1919. Минск, 2002, გვ. 283; გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, გვ. 137; ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 286; ჯ. გამახარია, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 298; თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 345.

[70] თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 345.

[71] ჯ. გამახარია, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 298-299.

[72] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 36; ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 127-128.

[73] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №48, 1919 წ. 1 მარტი.

ნილებისაგან გაგრის უბნის „ისტორიულ საზღვრამდე, მდ. მზიმთამდე" დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ.[74] 1919 წლის 12 აპრილს საქართველოს ჯარის ნაწილებმა მდ. ბზიფი გადალახეს, მოხალისეთა არმიის მეწინავე ქვედანაყოფები გაანადგურეს და გაგრის ოლქი მდ. მზიმთამდე მთლიანად დაიკავეს, მაგრამ დაკავებული ტერიტორიის შენარჩუნება ვერ შეძლეს. საქართველოს ჯარის ნაწილებმა პროდენიკინურად განწყობილი დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის მოთხოვნით უკან დაიხიეს და მდ. მეჰადირის მარცხენა ნაპირზე გამაგრდნენ. ბრიტანეთის სამხედრო მისიის ზენოლით ბზიფსა და მეჰადირს შორის ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის ადმინისტრაციის მმართველობით. ამის შემდეგ, მდ. მეჰადირი წელიწადზე მეტხანს საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს წარმოადგენდა.[75]

1919 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი, ისევე როგორც მთელ საქართველოში, აფხაზეთში დიდი ზეიმით აღინიშნა. ამის თაობაზე გაზ. „სახალხო საქმე" წერდა: „დიდებულად იდღესასწაულა ქ. სოხუმმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლის თავი.

დილიდანვე ამოძრავდა ქალაქი და სადღესასწაულოდ მორთულმა ხალხმა გასწია თავისუფლების მოედნისაკენ. პროცესიებს წინ მიუძღოდა მომღერალთა გუნდი ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი და ამხ. ძუკუ ლოლუას ლოტბარობით...

მოედანზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი და მეორე პოლკიც ლამაზად ჩამწკრივებულიყო აღლუმის მოლოდინში. პარაკლისის შემდეგ მშვენიერი სიტყვით მიმართა ჯარს მეორე რაზმის უფროსმა პოლკ. თუხარელმა. შემდეგ მთავრობის წარმომადგენელმა ის. რამიშვილმა ჩამოუარა ჯარს და ყველა ორგანიზაციებს და ყველას სიტყვით მიმართა. აქედან მთელი ეს პროცესია დაიძრა სანაპირო ქუჩისაკენ, სადაც საუცხოოდ მოერთოთ სტუდენტებს საზეიმო თაღი დროშებით და ყვავილების ხლართულით. აქვე იყო გამოფენილი სურათები საქართველოს გენიის გამომხატველის შოთა რუსთაველის, ილიას, აკაკის, არჩილ ჯორჯაძის და ზდანოვიჩის, ნ. ჟორდანიასი, ნ. ჩხეიძის და ი. ნერეთლის. დაიჭექა თუ არა ზარბაზნებმა, აფრიალდა ეროვნული დროშა. იქვე გამართულ ტრიბუნაზე გამოჩნდა ისევ რამიშვილი, გახსნა მიტინგი და მიესალმა მთავრობის სახელით ხალხს. შემდეგ ილაპარაკა ბერულავამ, სამ. დადიანმა. ბერძნულად ილაპარაკა ბერძნების წარმომადგენელმა. ამის შემდეგ დაიწყო სეირნობა და საგანგებოდ მოწყობილ სეფაში გაიმართა საერთო მეჯლისი. ამხ. ს. დადიანმა მოკლე სიტყვაში მოიხსენია არჩილ ჯორჯაძე, დეკანოზიშვილი, გ. ლასხიშვილი, რომელთა ოცნებას შეადგენდა საქართველოს თავისუფლება. „გაუმარჯოს არ. ჯორჯაძეს და მის იდეალებსო" დაათავა მან და ხალხმაც დასძახა: „გაუმარჯოს, გაუმარჯოსო". ღამით თეატრში გაიმართა სახალხო წარმოდგენა. აქაც მრავალი საგულისხმო სიტყვები წარმოითქვა და განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რომ მთელი ოფიცრობა რაზმის უფროს პოლკ. თუხარელთან ერთად ფიცს სდებდა, რომ სიცოცხლეს შესწირავს საქართველოს თავისუფლებას".[76]

1920 წლის მარტი-აპრილში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხალისეთა არმია საბოლოოდ საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ შეცვალა. ასეთ ვითარებაში, 1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების თანახმად, რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვრად შავიზღვისპირეთში მდ. ფსოუ გამოცხადდა. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ცნო.[77]

7 მაისის ხელშეკრულების მიუხედავად რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარი ისევ მდ. მეჰადირზე გადიოდა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ 1920 წლის 16 ოქტომბერს მიღებული „ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის" I მუხლში აღნიშნულია აფხაზეთის საზღვრები:

---

[74] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 36; ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 127-128.

[75] თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 346.

[76] გაზ. „სახალხო საქმე", №543, 1919 წ. 7 ივნისი.

[77] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 51-52; თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 347.

ჩრდილო-დასავლეთით – მდ. მეჰადირი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – მდ. ენგური.[78] ასეთივე საზღვრებია დაფიქსირებული „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულებაში", რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის 31 დეკემბერს მიიღო.[79]

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების თანახმად, იმავე წლის დეკემბერში, საქართველოს ჯარის ნაწილები მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე განლაგდნენ. ამის თაობაზე, რუსეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საქართველოში აარონ შეინმანმა თავის მთავრობას აცნობა. მისი ინფორმაციით, მდ. ფსოუსთან მოხდა საქართველოს ჯარის გადაჯგუფება და მათ ფსოუს რაიონში ნეიტრალური ზონა დაიკავეს.[80] ამის შედეგად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის საზღვარი მდ. ფსოუზე გავიდა. საქართველოს შემადგენლობაში შემოვიდა პილენკოვოს თემი, რომელიც გაგრის მაზრას შეუერთდა. 1920 წლის მიწურულს აფხაზეთი გაგრის, გუდაუთის, გუმისთის, კოდორის, გალის მაზრებისაგან შედგებოდა.[81]

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღო. კონსტიტუციის თანახმად „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი) ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა მიენიჭა".[82] თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

1921 წლის თებერვალში რუსეთის ჯარის ნაწილები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ რამდენიმე მხრიდან შეტევაზე გადმოვიდნენ. 19 თებერვალს რუსეთის IX წითელი არმიის ნაწილებმა მდინარე ფსოუ გადმოლახეს და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჩრდილო-დასავლეთიდან შემოუტიეს.[83] თებერვალ-მარტში საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. შეიქმნა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა.[84]

---

[78] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 56.

[79] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 61.

[80] საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1864, ანაწ. 1, საქმე 59, ფურც. 70; თ. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 347.

[81] თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 109.

1919 წელს შემუშავდა საქართველოს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პროექტი, რომელიც სამაზრო სისტემის ნაცვლად საოლქო სისტემის შემოღებას ითვალისწინებდა. პროექტის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში უნდა შექმნილიყო 7 ოლქი, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად რჩებოდა ქ. ტფილისი; დასავლეთ საქართველოში – 9 ოლქი (8 მაზრის ნაცვლად), მათ შორის, სოხუმის ოლქი, რომელიც მთელ აფხაზეთს (8 605 კვ. კმ) მოიცავდა. განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „სოხუმის ოლქი, რაც აფხაზეთის კომისარიატი არსებობს, გაყოფილია ოთხ მაზრად: სამურზაყანოს, კოდორის, სოხუმის, გუდაუთის". ასეთი „მინიატურული" მაზრების არსებობას გამართლება არა აქვს არც ეკონომიკური და არც სხვა მოსაზრებით (ტერიტორია, მოსახლეობის რაოდენობა). სოხუმის ოლქის ტერიტორია, გაგრის რაიონის ჩათვლით, სხვა ოლქებზე დიდი გამოდიოდა, მაგრამ მცირე იყო ოლქის მოსახლეობა (1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით – 177 839 სული), კოდორის ხეობის შუა ნელი და ბზიფის ხეობა დაუსახლებელი იყო („უშენი ადგილებია"). ოლქის ცენტრი უნდა ყოფილიყო ქ. სოხუმი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური მიზიდულობის გამო (პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად), ტფილისი, 1920, გვ. 10, 40-41). საბოლოოდ, ეს პროექტი პროექტად დარჩა.

[82] საქართველოს კონსტიტუცია. მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, წიგნ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921, თბ., 1990, გვ. 476.

[83] **История Абхазской АССР (1917-1937)**, *ответ. редактор Г. А. Дзидзария*, Сухуми, 1983, გვ. 71.

[84] ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), გვ. 325-326.

აფხაზეთი 1921-1991 წლებში.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების დროებითი უმაღლესი ორგანო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) გახდა. 4 მარტს წითელი არმიის ნაწილებმა სოხუმი დაიკავეს. აფხაზეთის დროებითმა რევკომმა ქართველი ბოლშევიკის ისაკ ჟვანიას მეთაურობით აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა.[85] 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი ეფრემ ეშბას (თავმჯდომარე), ნესტორ ლაკობას (თავმჯდომარის მოადგილე) და ნიკოლოზ აქირთავას შემადგენლობით. იმავე სხდომაზე აფხაზეთის პარტიული ბიურო შეიქმნა.[86]

საქართველოს რევკომმა მმართველობის ასეთივე ორგანოები ადგილებზეც შექმნა, 8 მარტს გამოაცხადა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, სამაზრო რევკომების შექმნის შესახებ. ამრიგად, შენარჩუნდა ადმინისტრაციული დაყოფის ძველი, სამაზრო ერთეული, ე. ი. სამაზრო რევკომების სისტემა დაწესდა.[87] 21 აპრილის დეკრეტით საქართველოს რევკომმა თავის თავს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ფუნქცია მიანიჭა: „რევოლუციონური კომიტეტი არის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და კონტროლის ორგანო".[88]

რუსეთის წითელი არმიის ნაწილების აფხაზეთში შემოჭრის შემდეგ, სოჭის საოლქო ხელისუფლებამ და რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთის სამხარეო აღმასკომმა პილენკოვოს თემის სოჭის ოლქთან მიერთება გამოაცხადა და იქ რუსული ადმინისტრაცია შექმნა. ამის შედეგად, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს, შესაბამისად, აფხაზეთს შორის, საზღვარი სოხუმის ოლქისა და შავი ზღვის გუბერნიის გამყოფ მდ. ბაღრიფსთაზე (ხოლოდნაია რეჩკა) გავიდა. პილენკოვოს თემი რსფსრ შავი ზღვის ოკრუგის სოჭის რაიონს გადაეცა.[89]

აფხაზეთის რევკომი იყო უმაღლესი საკანონმდებლო და განმკარგულებელი ორგანო აფხაზეთის ფარგლებში. აფხაზეთის რევკომი თბილისთან ურთიერთობის გარკვევის, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური აპარატისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანიზებას დაუყოვნებლივ შეუდგა.[90] 1921 წლის 26 მარტს აფხაზეთის რევკომმა საბჭოთა რუსეთის მთავრობის მეთაურს ვლადიმერ ლენინს და ეროვნებათა სახალხო კომისარს იოსებ სტალინს წერილი გაუგზავნა, რომელშიც დასმული იყო საკითხები საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად აფხაზეთის გამოცხადებისა და რუსეთის ფედერაციაში მისი შეყვანის აუცილებლობის შესახებ. წერილში ნათქვამია: აფხაზეთი უნდა გამოცხადდეს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად; საბჭოთა აფხაზეთი უშუალოდ უნდა შედიოდეს რუსეთის ფედერაციაში.[91]

28 მარტს ქ. ბათუმში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტის, აჭარისა და აფხაზეთის ბოლშევიკთა თათბირი გაიმართა. ბათუმის თათბირმა განიხილა საკითხი „აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურისა და კომპარტიის შესახებ" და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება დაადგინა. ამასთანავე, საკითხი აფხაზეთის სს რესპუბლიკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის ურთიერთობის ფორმების შესახებ ამ ორი რესპუბლიკის მმართველი უმაღლესი ორგანოების – საბჭოების ყრილობების მოწვევამდე ღიად დატოვა.[92]

ბათუმის თათბირმა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით საქართველოს ტერიტო-

---

[85] **ნ. დარსანია,** ნარკვევები საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 2008, გვ. 24.

[86] **ნ. დარსანია,** ნარკვევები საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 27.

[87] **Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской Власти (Март 1921г. – Январь 1922 г.). Сборник документов и материалов.** *Состовитель И. Ахалая,* Сухуми, 1963; ე. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 ნნ.), თბ., 1973, გვ. 27.

[88] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983, გვ. 48.

[89] **История Абхазской АССР (1917-1937),** გვ. 376; **Сагария Б. Е. Из истории восстановления государственных границ Абхазии, -** *Абхазский институт языка, литературы и истории им Д. И. Гулиа. Известия,* XIII, Тбилиси, 1985, გვ. 17; **თ. ბერაძე, ჯ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა,** საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 25, 109.

[90] **Куправа А. Э. Из истории советского строительства в Абхазии,** - *Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа,* т . XXX, Сухуми, 1959, გვ. 35.

[91] **Сагария Б. Е. Национально-государственное строительство в Абхазии (1921-1931 гг.),** Сухуми, 1970, გვ. 25-26.

[92] **ჯ. გამახარია,** აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 310.

რიული მთლიანობა დაარღვია. რუსეთის კპ (ბ) კავკასიის ბიუროს უფლება არ ჰქონდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გადაეწყვიტა. ამასთანავე, იმდროინდელი საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკა არ ითვალისწინებდა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, თუ ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა მილიონზე მეტი არ იქნებოდა. აფხაზეთის მოსახლეობა მაშინ დაახლოებით 200 ათასი იყო, აფხაზები კი მოსახლეობის მხოლოდ 17%-ს შეადგენდნენ, მაგრამ კავბიუროს ბათუმის თათბირის გადაწყვეტილებით აფხაზი ბოლშევიკების მოთხოვნა დაკმაყოფილდა. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მეთაური და შემდეგში საბჭოთა აფხაზეთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე, ეფრემ ეშბა (1893-1939 წწ.) აღნიშნავდა: „ჩვენც კი, რომლებიც იქიდან, ჩრდილოეთიდან მოვიწევდით, ვფიქრობდით, რომ აფხაზეთი, როგორც საბჭოთა საქართველოს შემადგენელი ნაწილი იარსებებდა, მაგრამ, როდესაც აქ ჩამოვედით და გავერკვიეთ თუ როგორ ატმოსფეროში აღმოვჩნდით, იძულებული ვიყავით აფხაზეთის დამოუკიდებლობის ასეთი ფორმა მიგვეღო".[93] მოგვიანებით, ნესტორ ლაკობაც აღნიშნავდა, რომ „ეს დამოუკიდებლობა მათ სჭირდებოდათ როგორც აბრა".[94]

აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება რეალურად საქართველოზე ზემოქმედებით იყო ნაკარნახევი. საბჭოთა რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში პაველ სიტინი 1921 წლის აპრილში მოსკოვში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ „ქართული შოვინიზმის ტერიტორიულად და მატერიალურად დასუსტებისათვის აუცილებელ გასატარებელ ზომას წარმოადგენდა აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება". იგი ასევე მოითხოვდა განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ აფხაზეთის მოსაზღვრე სამეგრელოსათვის და ისიც რუსეთის სფს რესპუბლიკისთვის შეეერთებინათ.[95]

1921 წლის 21 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ", რომლითაც აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებელი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა და ამ ფაქტს მიესალმა. აფხაზეთის დამოუკიდებელ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადებამ აფხაზეთში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. 1921 წლის 20 ივნისს აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე ეფრემ ეშბა (1921 წ. მარტი – 1922 წ. თებერვალი) გალში ჩავიდა და მოსახლეობას საგანგებო სამაზრო ყრილობაზე შეხვდა. ეფრემ ეშბას განცხადებამ, რომ ბოლშევიკური პარტიისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა აფხაზეთი რუსეთზე იქნებოდა მინერილი თუ საბჭოთა საქართველოზე, ხალხი არ დააკმაყოფილა. ყრილობაზე საქართველოსთან კავშირისაკენ მისწრაფება აშკარად გამოიკვეთა. მოსახლეობამ აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარეს ასევე მოსთხოვა, რომ განათლება მაზრაში ქართულ ენაზე ყოფილიყო.[96]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რევკომმა აღიარა აფხაზეთის სსრ, იქვე გამოთქვა იმედი, რომ საკითხი საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ ურთიერთობის შესახებ საბოლოოდ ორივე რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველ ყრილობაზე გადაწყდებოდა.[97]

რეალურად, აფხაზეთის სსრ დამოუკიდებელი არ ყოფილა. ეს აღიარებაც ფორმალურ ხასიათს ატარებდა. საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები აფხაზეთის რევკომს უგზავნიდნენ თავიანთ განკარგულებებს ქართულ ენაზე, „ცნობად და სახელმძღვანელოდ", „სისწორით შესასრულებლად".[98] არც რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო განიხილავდა აფხაზეთს დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ამ ორგანოს პლენარულ სხდომებს აფხაზეთის, მთიელთა რესპუბლიკისა და დაღესტნის, როგორც ავტონომიების წარმომადგენლები, მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდნენ. არ არსებობს რკპ (ბ) ცკ-ის, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების ყრილობის, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, საბჭოების ყრილობებს შორის უმაღლესი საკანონმდებლო

---

[93] **Сагария Б. Е.** Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии. 1921-1938., Сухуми, 1981, გვ. 44.

[94] **Лакоба Н. А.** Из речи на IV съезде компартии Грузии, в кн. Лакоба Н. А., Статьи и речи, Сухуми, 1987, გვ. 176.

[95] **Гамахария Дж., Гогия Б.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 471-472.

[96] გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ. 20 ივლისი; **Гамахарии Дж., Гогия Б.** Абхазия – историческая область Грузии, გვ. 474-475.

[97] ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 117.

[98] ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 118.

ორგანოს, თუნდაც ერთი დოკუმენტი, სადაც აფხაზეთი „დამოუკიდებელ" რესპუბლიკად ან საერთოდ მოიხსენიება. აფხაზეთის დამოუკიდებლობა საქართველოზე ზემოქმედების მიზნით იყო მოგონილი.[99]

აფხაზი ბოლშევიკების ერთი ნაწილი კვლავინდებურად იცავდა აზრს აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შენარჩუნების ან საბჭოთა რუსეთთან ავტონომიურ საწყისებზე ფედერირების შესახებ. რუსეთის კპ (ბ) ცკ-ის კავბიურომ 1921 წლის 16 ნოემბერს ხელახლა განიხილა საქართველოსა და აფხაზეთის სს რესპუბლიკებს შორის ურთიერთობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „1. დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონლად ჩაითვალოს; 2. მიეცეს წინადადება ამხ. ე. ეშბას წარმოადგინოს თავისი საბოლოო დასკვნა აფხაზეთის შესვლის შესახებ ან საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ხელშეკრულების საფუძველზე, ან რსფსრ-ში ავტონომიური ოლქის სახით".[100]

ამრიგად, დადგენილებაში განსაზღვრული იყო აფხაზეთის სტატუსი საბჭოთა კრიტერიუმებით – ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარემ, ეფრემ ეშბამ, სხვა აფხაზ კომუნისტებთან ერთად, რუსეთის სფს რესპუბლიკაში ოლქის სტატუსით შესვლას საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლა არჩია.

1921 წლის 16 დეკემბერს თბილისში ხელი მოეწერა „საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ შორის სამოკავშირო ხელშეკრულებას". ამ დროიდან აფხაზეთის სსრ საქართველოს სსრ შემადგენლობაში „სახელშეკრულებო რესპუბლიკის" სტატუსით შევიდა.[101] სახელშეკრულებო სანყისებზე საქართველოსთან ფედერირების შემდეგ, აფხაზეთმა თუმცა შეინარჩუნა სახელწოდება – სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ის განიხილებოდა როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის სსრ საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, აფხაზი მკვლევრები სადავოდ ხდიან, თუმცა ამას თუნდაც რამდენიმე დოკუმენტი ადასტურებს, მათ შორის, 1922 წლის იანვარში საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ შორის დადებული სამხედრო ხელშეკრულება.[102] ეს დოკუმენტი პირველად ქვეყნდება:

ВОЕННОЕ СОГЛАШЕНИЕ

между Правительствами С.С.Р. ГРУЗИИ и С.С.Р. АБХАЗИИ по военным вопросам.

На основании пункта 3-го Союзного договора между С.С.Р. Грузией и С.С.Р. Абхазией, состоявшегося 16-го декабря 1921 г. в г. Тифлисе, Правительства С.С.Р. Грузии с одной стороны и Правительства С.С.Р. Абхазии с другой, исходя из общности интересов названных Республик, требующих объединения всех сил и средств для взаимной вооруженной поддержки, решили заключить настоящее военное соглашение, для чего назначили своими уполномоченными:

Правительство С.С.Р. Грузии – Петра АГНИАШВИЛИ, Заместителя Наркомвоенмора С.С.Р. Грузии и Правительство С.С.Р. Абхазии – Ивана НЕРОНОВА, Замнаркомвоен С.С.Р. Абхазии.

Означенные уполномоченные по взаимном предъявлении своих полномочий, признанных составленными в надлежащем форме, согласились о нижеследующем:

1.Центральным органом военно-административного управления С.С.Р. Республик Грузии и Абхазии является Народный Военно-морской Комиссариат С.С.Р. Грузии.

2.Нарвоенкомрат Абхазии объединяет и направляет деятельность уездных военных комиссариатов Абхазии в отношении: а) производства учета населения, рабочих животных и материальных средств; б) производства призыва военнообязанных на действительную военную службу; в) производства мобилизации и составления мобилизационных планов; г) допризивной и спортивной подготовки местного населения.

---

[99] ჯ. გამახარია, აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, გვ. 311-313.
[100] ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 125.
[101] Гамахария Дж., Гогия Б. Абхазия – историческая область Грузии, გვ. 483-484; ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, გვ. 125..
[102] საქართველოს ეროვნული არქივის ახალი და უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 600, ანან. 2, საქმე 5, ფურც. 67.

617

ТОЕ ВОЕННОЕ СОГЛАШЕНИЕ

между Правительствами С.С.Р.Грузии и С.С.Р.Абхазии по военным вопросам.

На основании пункта 3-го Союзного договора между С.С.Р. Грузией и С.С.Р.Абхазией, состоявшегося 16-го декабря 1921 г. в г.Тифлисе, Правительств С.С.Р.Грузии с одной стороны и Правительства С.С.Р.Абхазии с другой, исходя из общности интересов названных Республик, требующих об'единения всех сил и средств для взаимной вооруженной поддержки, решили выключить настоящее военное соглашение, для чего назначили своими уполномоченными:

Правительство С.С.Р.Грузии - Петра АРШИБАШВИЛИ, Заместителя Народного Комиссара С.С.Р.Грузии; Правительство С.С.Р.АБХАЗИИ - Ивана ПЕТРОВА, Заместителя Народного Комиссара С.С.Р.Абхазии.

Означенные по установленной по взаимном представлении своих полномочий, признанных обоюдно правильными в надлежащей форме, согласились о нижеследующем:

1. Центральным органом военно-административного управления С.С.Республики Грузии и Абхазии является Народный Военно-Морской Комиссариат С.С.Р.Грузии.

2. Наркомвоенкомат Абхазии об'единяет и направляет деятельность уездных военных комиссариатов Абхазии в отношении: а/производства учета населения, рабочих животных и материальных средств; б/ производства приема военнообязанных на действительную военную службу; в/ производства мобилизации и составления мобилизационных планов; г/ допризывной и спортивной подготовки местного населения.

3. Наркомвоенкомат Абхазии состоит при Губвоенкомате и существует по особому, утвержденному Народным Военно-Морским Комиссариатом С.С.Р.Грузии, штату.

4. Наркомвоенкомат Абхазии в работе своей руководствуется приказами, инструкциями, постановлениями и прочими распоряжениями, и указаниями по Народному Военно-Морскому Комиссариату С.С.Р. Грузии.

5. Наркомвоенкомат С.С.Р.Абхазии назначается по взаимному соглашению Народного Военно-Морского Комиссариата С.С.Р.Грузии и Реввоенсовета С.С.Р.Абхазии, приказом по Народному Военно-Мор



...у Комиссариату С.С.Р.Грузии.

6. Волокита в военно-комиссариатских учреждениях С.С.Р. ...ния новых заявлений о льготах и рассрочках распоряжением соответствующих органов Народного Военно-Морского Комиссариата С.С.Р. Грузии.

7. Настоящее постановление входит в силу с момента его опубликования.

ПРЕДСТАВИТЕЛЬ С.С.Г.Р.У. Ломашвили

ПРЕДСТАВИТЕЛЬ С.О.Р.АРХИВНЫЙ

30 января 1940 года, г. Тифлис.

3. Нарвоенкомрат Абхазии облекается правами Губвоенкомрата и существует по особому, утвержденному Народным Военно-Морским Комиссариатом С.С.Р. Грузии, штату.

4. Нарвоенкомрат Абхазии в работе своей руководствуется приказами, инструкциями, наставлениями и прочими распоряжениями и узаконениями по Народному Военно-Морскому Комиссариату С.С.Р. Грузии.

5. Нарвоенком С.С.Р. Абхазии назначается по взаимному соглашению Народного Военно-Морского Комиссариата С.С.Р. Грузии и Ревкомом С.С.Р. Абхазии, приказом по Народному Военно-Морскому Комиссариату С.С.Р. Грузии.

6. Войска и военно-комиссариатские учреждения С.С.Р. Абхазии всеми видами довольствия снабжаются распоряжением соответствующих органов Народного Военно-Морского Комиссариата С.С.Р. Грузии.

7. Настоящее соглашение входит в силу с момента его подписания.

ПРЕДСТАВИТЕЛЬ С.С.Р. Грузии П. Агниашвили

ПРЕДСТАВИТЕЛЬ С.С.Р. Абхазии И. Неронов

30 января 1922 года.
гор. Тифлис

ამდენად, დოკუმენტის თანახმად, საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის მთავარი ორგანო საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო კომისარიატი იყო; აფხაზეთის ასსრ სამხედრო კომისარიატი იძენდა საგუბერნიო სამხედრო კომისარიატის უფლებებს და არსებობდა საგანგებო, საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული შტატით; აფხაზეთის ასსრ სამხედრო კომისარიატი თავის მუშაობაში საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო კომისარიატის ბრძანებულებებით, ინსტრუქციებით, დარიგებებით და სხვა განკარგულებებით ხელმძღვანელობდა; აფხაზეთის სსრ სამხედრო კომისარი ინიშნებოდა საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო კომისარიატისა და აფხაზეთის სსრ რევკომის ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო კომისარიატის ბრძანებულებით; აფხაზეთის სსრ ჯარებისა და სამხედრო კომისარიატის დაწესებულებების ყველა სახის საშუალებით უზრუნველყოფა საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შესაბამისი ორგანოების დადგენილებით ხდებოდა.

დოკუმენტს ხელს აწერდნენ: პეტრე აღნიაშვილი, საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო ძალების სახკომის მოადგილე, და ივან ნერონოვი, აფხაზეთის სსრ სამხედრო ძალების სახკომის მოადგილე.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც რუსეთის კომპარტიის ნაწილს წარმოადგენდა (Оргбюро РКП в Абхазии), 1922 წლის იანვარში შეერწყა საქართველოს კომპარტიას და საქართველოს კპ (ბ) აფხაზეთის ორგანიზაცია შეიქმნა;[103] აფხაზეთის სსრ მთავრობის შტატებს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ამტკიცებდა.[104]

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მემკვიდრეობით მიიღო ადმინისტრაციული დაყოფის ორსაფეხურიანი სისტემა: თემი – მაზრა.[105] საქართველოს რევკომმა 1921 წლის 15 აპრილს გამოსცა დროებითი დებულება მაზრისა, ქალაქისა და თემის რევოლუციური კომიტეტის ორგანიზების შესახებ.[106] აფხაზეთის რევკომი აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბებას რუსეთის სფსრ მაგალითზე ცდილობდა. ამ მიზნით შემუშავდა „მოკლე ინსტრუქცია აფხაზეთის სათემო და სასოფლო რევკომების ორგა-

[103] Мерквиладзе В. Н. Создание и укрепление советской государственности в Грузии (1921-1936). Тб., 1969, გვ. 149.

[104] ასე, მაგალითად: 1924 წლის 30 აპრილს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა შემდეგი საკითხები: „აფხაზეთის სსრ შტატების დამტკიცების შესახებ; აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის 1923 წლის დავალიანების დასაფარავად საჭირო თანხების გაღების შესახებ" და სხვა (საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 600, ანან. 1, საქმე 315, ფურც. 6).

[105] საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ახალი დარაიონება, წიგნ.: საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატულ-ტერიტორიალური დაყოფა, ს.ს ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამოცემა. ქ. ტფილისი, 1930, გვ. I.

[106] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 36-44.

ნიზების შესახებ". ადგილებზე სამაზრო, სათემო და სასოფლო რევკომები შეიქმნა. სამაზრო რევკომები უშუალოდ აფხაზეთის რევკომს ექვემდებარებოდა.[107]

1921 წელს აფხაზეთის სსრ ფართობი 8254 კვ. კმ შეადგენდა. საბჭოთა აფხაზეთის შემადგენლობაში გაგრის, გუდაუთის, გუმისთის, კოდორის, სამურზაყანოს მაზრები შედიოდა; თემრევკომების რაოდენობა 80 იყო. გაგრის მაზრაში შეიქმნა 5 სასოფლო თემი, გუდაუთის მაზრაში – 22 სასოფლო თემი, გუმისთის მაზრაში – 8 სასოფლო თემი, კოდორის მაზრაში – 20 სასოფლო თემი, სამურზაყანოს მაზრაში – 25 სასოფლო თემი.[108]

1921 წლის დეკემბერი – 1922 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოების არჩევის შემდეგ, 1922 წლის 25 თებერვალს საქართველოს საბჭოების I ყრილობა გაიხსნა. 2 მარტს საბჭოების I ყრილობამ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია დაამტკიცა. კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობას ეკუთვნოდა. ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებდა ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი), რომელიც ანგარიშვალდებული იყო საქართველოს საბჭოების ყრილობის წინაშე.[109] ცაკი* აყალიბებდა საქართველოს სსრ მთავრობას – სახალხო კომისართა საბჭოს.

ამრიგად, 1922 წლის თებერვალში რევკომების ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანი სისტემა ცენტრში და ადგილებზე – მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

1922 წლის 12-17 თებერვალს, აფხაზეთის საბჭოების I ყრილობამ აფხაზეთის ცაკი აირჩია. აფხაზეთის რევკომმა უფლებამოსილება აფხაზეთის ცაკს გადააბარა. 18 თებერვალს, აფხაზეთის ცაკის პირველ სხდომაზე, არჩეულ იქნა ცაკის პრეზიდიუმი და შეიქმნა მთავრობა – სახალხო კომისართა საბჭო. ცაკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ეფრემ ეშბა, ხოლო სახკომსაბჭოს თავმჯდომარე – ნესტორ ლაკობა გახდა.[110]

1922 წლის 12 მარტს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკებს შორის დაიდო სამოკავშირეო ხელშეკრულება ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ. იმავე წლის 13 დეკემბერს, ამიერკავკასიის სამი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის – აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, – გაერთიანებით ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა შეიქმნა.[111] აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკა, როგორც საქართველოს სსრ ნაწილი შევიდა ამიერკავკასიის სფსრ შემადგენლობაში. იმავე წლის 30 დეკემბერს რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფსრ გაერთიანებით – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი შეიქმნა. ნიშანდობლივია, რომ სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთი საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიურ რესპუბლიკად მოიხსენიება.[112]

---

[107] **ნ. დარსანია**, ნარკვევები საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 63.

[108] **Куправа А. Э.** Из истории советского строительства в Абхазии, – *Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа*, т . XXX, Сухуми, 1959, გვ. 35-36; **Ахалая И. Д.** Гумистинский Ревком, – *სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტ. 14, სოხუმი, 1961, გვ. 16; **ნ. დარსანია**, ნარკვევები საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 64-70.

[109] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 76.

*ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი) – საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციის მიღებამდე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. იგი ასრულებდა საკანონმდებლო, განმკარგულებელ, აღმასრულებელ და საკონტროლო ფუნქციებს. მას ირჩევდნენ საბჭოების ყრილობაზე და ყრილობებს შორის პერიოდში მოქმედებდა. იგი აძლევდა საერთო მიმართულებას მთავრობისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს საქმიანობას, მეთვალყურეობას უწევდა კონსტიტუციის დაცვას, ქმნიდა მთავრობას, გამოსცემდა დეკრეტებს.

[110] **Куправа А. Э.** Из истории советского строительства в Абхазии, გვ. 62; **ნ. დარსანია**, ნარკვევები საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 70.

[111] **Меркviладзе В. Н.** Создание и укрепление советской государственности в Грузии (1921-1936), გვ. 327-329.

[112] **ჯ. გამახარია**, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 წწ., ნიგნ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 315.

«Совет Национальностей образуется из представителей союзных и автономных Советских социалистических республик – по 5 представителей от каждой и из представителей автономных областей РСФСР – по одному представителю от каждой. Состав Совета Национальностей в целом утверждается съездом Советов Союза Советских Социалистических Республик.

Примечание. Автономные Республики – Аджария и Абхазия – и автономные области – Юго-Осетия, Нагорный Карабах и Нахичеванская – посылают в Совет Национальностей по одному представителю» (Основной Закон (Конституция) Союза Советских Социалистических Республик. Принят второй сессией ЦИК СССР первого созыва 6 июля 1923 года и в

1922 წლის დასაწყისში აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმმა, საფიქრებელია, საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, აფხაზეთთან პილენკოვოს რაიონის შეერთების საკითხი დააყენა. 27 აპრილს აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი პილენკოვოს რაიონის აფხაზეთთან შეერთების შესახებ და რუსეთის სფსრ ცაკის პრეზიდიუმს მიმართა თხოვნით, აფხაზეთსა და რუსეთს შორის ადმინისტრაციულ საზღვრად „მდინარე ფსოუს ცნობის შესახებ".[113] აფხაზეთის ცაკმა და სახკომსაბჭომ რსფსრ ცაკის პრეზიდიუმს აღნიშნულ საკითხზე 3 ივლისს კვლავ მიმართა. წერილში ნათქვამია: „თავს ნებას ვაძლევთ შევახსენოთ პრეზიდიუმი ჩვენი თხოვნით, ამ რაიონის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო. რომ არაფერი ვთქვათ ისტორიულ მხარეზე ამ რაიონის შესახებ, რომელიც ყოველთვის შედიოდა აფხაზეთის შემადგენლობაში, თვით მენშევიკების დროსაც კი, თავს მოვალედ ვთვლით აღვნიშნოთ: ეკონომიკურად და ტერიტორიულად პილენკოვოს რაიონი მჭიდროდაა დაკავშირებული აფხაზეთთან. გაგრისა და პილენკოვოს რაიონები ეკონომიკურად და კულტურულად შეადგენენ ერთ მთლიანობას და მათი ხელოვნურად გაყოფა ორივე რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობას გამოუსწორებელ დარტყმას აყენებს".[114] აფხაზეთის ცაკმა და სახკომსაბჭომ ასეთივე შინაარსის წერილით მიმართა ამიერკავკასიის სფსრ ცაკსაც, რომელმაც თავის მხრივ, 1923 წლის 24 აპრილისა და 27 სექტემბრის დადგენილებებით პილენკოვოს თემის აფხაზეთთან მიერთების აუცილებლობა დაადასტურა.[115]

1923 წლის ივლისში აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ნესტორ ლაკობამ მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა სსრ კავშირის ცაკს, სადაც აღნიშნავდა, რომ გაგრის ნორმალური განვითარება მისი ბუნებრივი ეკონომიკური ბაზის – პილენკოვოს რაიონის გარეშე, შეუძლებელი იყო. ნ. ლაკობა წერდა, რომ პილენკოვოს რაიონი, რომელიც მდებარეობს გაგრასა და ადლერს შორის, და რომლის მოსახლეობა 15 ათასია, მეტწილად სომხებით და ბერძნებითაა დასახლებული. ისინი ენევიან თამბაქოსა და სიმინდის მოყვანას. ეს რაიონი ეკონომიკურად წინათ დაკავშირებული იყო გაგრასთან და ახლაც იქითკენ აქვს მიდრეკილება. პილენკოვოს რაიონის გაგრისაგან ხელოვნურად ჩამოშორებას ორივე რაიონისათვის გამოუსწორებელი ეკონომიკური ზიანი აქვს. პილენკოვოს მოსახლეობას თავისი მეურნეობის პროდუქტები უახლოესი გაგრის ნავსადგურის მეშვეობით გააქვს, თვით გაგრა, ფაქტობრივად, პილენკოვოს პროდუქტებით არსებობს. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას მოხდა გაგრის რაიონის, რომელიც ადრე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულს წარმოადგენდა, გადანაწილება. მისი ნაწილი, პილენკოვოს რაიონი, სოჭის რაიონის შემადგენლობაში გადავიდა, ხოლო მეორე ნაწილი – გაგრის რაიონის შემადგენლობაში დარჩა. ეს მდგომარეობა, როცა სერიოზულად დგას გაგრის აღდგენის საკითხი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად. აუცილებელია პილენკოვო გაგრას შეუერთდეს. ეს ნაკარნახევია არა „აფხაზური ნაციონალიზმით" (თუკი შესაძლებელია ასეთ ნაციონალიზმზე საერთოდ საუბარი), არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობით და ადმინისტრაციული მართვის მოხერხებულობით. ამ ორი რაიონის ყოფის ერთობა და მეურნეობის ერთგვაროვნობა ნათლად მეტყველებს მათი გაერთიანების აუცილებლობაზე. ამ მხრივ პილენკოვოს რაიონის მოსახლეობამ არაერთხელ გამოთქვა სურვილი თავიანთ შეკრებაზე, რომელზეც გამოჰქონდათ დადგენილება გაგრასთან გაერთიანების შესახებ.[116]

1924 წლის 31 ოქტომბერს სსრ კავშირის ცაკმა მიიღო დადგენილება პილენკოვოს თემის აფხაზეთისთვის გადაცემის შესახებ.[117] ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ რუსეთის სფსრ ცაკი და შავი ზღვის გუბერნიის ხელმძღვანელობა გამოვიდა.[118] 1925 წლის 25 აპრილს სსრ კავშირის ცაკმა მიიღო დადგენილება 1924 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.[119] მიუხედავად ამისა, რუსეთის სფსრ ცაკმა საკითხის შესწავლა მოითხოვა.[120]

окончательной редакции II съездом Советов СССР 31 января 1924 года, в кн. История Советской Конституции. Сборник документов. 1917-1957. М., 1957, с. 227-229).

[113] **Сагария Б. Е.** Из истории восстановления государственных границ Абхазии, *Известия АБИЯЛИ*, XIII, Тб., 1985, გვ. 17-18.

[114] **Сагария Б. Е.** Из истории восстановления государственных границ Абхазии, გვ. 17.

[115] **Сагария Б. Е.** Из истории восстановления государственных границ Абхазии, გვ. 17-18.

[116] **Лакоба Н. А.** О состоянии и мерах восстоновления курорта Гагры, в кн. Лакоба Н. А. Статьи и речи, გვ. 83-84.

[117] **Сагария Б. Е.** Из истории восстановления государственных границ Абхазии, გვ. 18.

[118] **Сагария Б. Е.** Из истории восстановления государственных границ Абхазии, გვ. 18.

[119] **Сагария Б. Е.** Из истории восстановления государственных границ Абхазии, გვ. 18-19.

[120] **Сагария Б. Е.** Из истории восстановления государственных границ Абхазии, გვ. 19.

საქართველოს სსრ 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის თანახმად, აფხაზეთის სსრ ფართობი 8254 კვ. კმ შეადგენდა.[121] აფხაზეთში იყო 5 მაზრა 70 თემით და 350 სოფლით: გაგრის მაზრაში შედიოდა 4 თემი 7 სოფლით, გუდაუთის მაზრაში – 17 თემი 109 სოფლით, გუმისთის მაზრაში – 18 თემი 108 სოფლით, კოდორის მაზრაში – 12 თემი 44 სოფლით, სამურზაყანოს მაზრაში – 17 თემი 82 სოფლით.[122]

1923-1924 წლებში ახალი სასოფლო საბჭოები შეიქმნა. გაგრის მაზრაში: აფხაზ-კალდახვარის; გუდაუთის მაზრაში: ანუხვისა და ბლაბურხვა-ბარმიშის ს/საბჭოების გაყოფის შედეგად – ანუხვა სომხური, ანუხვა აფხაზური, ბარმიშის, ბლაბურხეის, აგრეთვე – პეტრეპავლოვსკის, ბაკლანოვკის, ბომბორის; გუმისთის მაზრაში: აჟარის, ლათის; კოდორის მაზრაში: ჯალის, კინდღის, ოხურის, ლაბრის; სამურზაყანოს მაზრაში: გალის, გინძე-ეწერის, დიხაზურგის, ლეკუხონის, სანარდოს, ღუმურიშის.

1924 წელს აფხაზეთში 5 ადმინისტრაციული ერთეული შედიოდა 87 სასოფლო საბჭოთი: გაგრის მაზრა (ცენტრი გაგრა), 5 სასოფლო საბჭო; გუდაუთის მაზრა (ცენტრი გუდაუთი), 21 სასოფლო საბჭო; გუმისთის მაზრა (ცენტრი სოხუმი), 20 სასოფლო საბჭო; კოდორის მაზრა (ცენტრი ოჩემჩირე), 18 სასოფლო საბჭო; სამურზაყანოს მაზრა (ცენტრი გალი), 23 სასოფლო საბჭო.[123] 1924 წლის ოქტომბერში, აფხაზეთის ცაკის დადგენილებით, გუმისთის მაზრას სოხუმის მაზრა ეწოდა. მის ადმინისტრაციულ ცენტრად ქალაქი სოხუმი რჩებოდა.[124]

1925 წლის 1 აპრილს აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ (26 მარტი – 1 აპრილი) ყოველგვარი განხილვის გარეშე დაამტკიცა კონსტიტუცია, რომელიც, ფაქტობრივად, საქართველოს სსრ 1922 წლის კონსტიტუციას იმეორებდა. ამის გამო ის საქართველოს სსრ, ამიერკავკასიის სფსრ, სსრ კავშირის კონსტიტუციებს და საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა. კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთი სუვერენულ რესპუბლიკად ცხადდებოდა; მასში დეკლარირებული იყო ამიერკავკასიის ფედერაციიდან და სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება; სახელმწიფო ენად რუსული იყო აღიარებული.[125]

1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუცია არ გამოქვეყნებულა, შესაბამისად, ძალაში არ შესულა. უფრო მეტიც, საბჭოების III ყრილობის ბიულეტენში, რომელიც ცაკმა გამოსცა, ის აღიარებულია პროექტად, რომელიც დამუშავებას საჭიროებდა და საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ კონსტიტუციებთან შესაბამისობაში უნდა მოყვანილიყო.[126]

აფხაზეთის კონსტიტუციის საკითხი 1925 წლის ივლისში განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ხოლო სექტემბერში – რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ 11 სექტემბერს ცაკს და სახკომსაბჭოს დაავალა აფხაზეთის კონსტიტუციის იმ მუხლების გადასინჯვა, რომლებიც საქართველოსთან ურთიერთობას შეეხებოდა, აგრეთვე კონსტიტუციის ახალი პროექტის მომზადება. საკონსტიტუციო კომისიამ ნ. ლაკობას ხელმძღვანელობით აფხაზეთის კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტი მოამზადა. ცვლილებები შეეხებოდა „სუვერენიტეტისა" და სახელმწიფო ენის საკითხებს.[127] ეს ცვლილებები აფხაზეთის სსრ 1926 წლის კონსტიტუციაში აისახა. იმხანად, სრულიად საქართველოს ცაკის III სესიაზე 1926 წლის 13 ივნისს სოხუმში, ნ. ლაკობა აღნიშნავდა: „აფხაზეთის მშრომელთა მასებისათვის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ ასე დგას – აფხაზეთის ბედი საქართველოსთან ერთიანია".[128]

1926 წლის 27 ოქტომბერს აფხაზეთის ცაკის III სესიამ მიიღო აფხაზეთის სსრ პირველი კონსტიტუცია, რომელიც 1927 წლის 7 მარტს აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ უცვლელად დაამტკიცა.[129] კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთის სსრ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა საბჭოების ყრილობა, ყრილობებს შორის პერიოდში – აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. აფ-

---

[121] საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, ქ. ტფილისი, 1930, გვ. 205.
[122] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწ. I. სათემო ჯამები, ტფ. 1925, გვ. 82-95.
[123] ს.ს.ს.რ. ადმინისტრატული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფილისი, 1925, გვ. 127-128.
[124] газ. «Трудовая Абхазия», 1924 г., 23 октября.
[125] აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1925 წ., ნიგნ.: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 90-96; ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 წწ., გვ. 315.
[126] ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 წწ., გვ. 316.
[127] ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 წწ., გვ. 317.
[128] «Для трудящихся масс Абхазии вопрос раз и навсегда стоит так – судьба Абхазии с Грузией едина», – Лакоба Н. А. Из доклада о деятельности правительства Абхазии на III сессии всегрузинского ЦИК в г. Сухуме, 13 июня 1926 г., в кн. Лакоба Н. А. Статьи и речи, გვ. 211.
[129] История Абхазской АССР (1917-1937), გვ. 199-200.

ხაზეთის ხელისუფლების დამოუკიდებლობა იზღუდებოდა არა მხოლოდ ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციებით, არამედ საქართველოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობითაც. კონსტიტუციაში მთლიანად შევიდა სპეციალური თავი „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სამოკავშირო ურთიერთობების შესახებ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკასთან", რომელიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისი თავის ყველა მუხლს იმეორებდა. ნათლად იყო განმარტებული, რომ აფხაზეთის სსრ შედის განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით საქართველოს სს რესპუბლიკაში და მისი მეშვეობით, ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკაში; სახელმწიფო ენებად ცხადდებოდა აფხაზური, ქართული და რუსული.[130] იმავე მუხლში, სადაც სახელმწიფო ენები იყო განსაზღვრული, შენიშვნებში ნათქვამია: „1. აფხაზეთის სოციალ. საბჭ. რესპუბლიკაში ყველა მკვიდრს მინიჭებული აქვს უფლება თავისუფალი განვითარებისა და მშობლიური ენის ხმარებისა, როგორც საკუთარი ეროვნულ კულტურულსა, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში; 2. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულის ენა (მაზრების, უბნების, სოფლების), ირკვევა აფხაზეთის სოციალ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ".[131]

1925 წლის 1 იელისისათვის, სსრ კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, საქართველოს სსრ ფართობი 69 008 კვ. კმ-ს, ხოლო აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკის ფართობი 8 254 კვ. კმ-ს შეადგენდა, სასოფლო საბჭოების რიცხვი აფხაზეთში 1925 წელს 94 იყო.[132] მოგვიანებით, კიდევ სამი ს/საბჭო შეიქმნა და მათი რაოდენობა 97 გახდა. 1925 წლის ნოემბერში სამურზაყანოს მაზრას გალის მაზრა ეწოდა.[133] 1926 წელს დაბა გუდაუთმა და დაბა ოჩემჩირემ ქალაქის სტატუსი მიიღეს.[134]

1925-1926 წლებში გალის მაზრაში გაიყო ბედიის ს/საბჭო და შეიქმნა პირველი ბედიის, მეორე ბედიის, აგუ-ბედიის ს/საბჭოები; გინძე-ეწერის ს/საბჭო შეუერთდა გუდავის ს/საბჭოს, ეს უკანასკნელი გაიყო და შეიქმნა პირველი გუდავის და მეორე გუდავის ს/საბჭოები; ბარღების ს/საბჭო გაიყო და შეიქმნა ზემო ბარღებისა და ქვემო ბარღების ს/საბჭოები; შეიქმნა აგრეთვე ჩხორთოლის რეკის, ხუმუშქურის (გალის მაზრა), გუფის (კოდორის მაზრა) და ფსხუს (სოხუმის მაზრა) ს/საბჭოები.

იმავე ხანებში, საბჭოთა აპარატის მოსახლეობასთან დაახლოებისა და სამაზრო აღმასკომებსა და სასოფლო საბჭოებს შორის შუალედური ორგანოს შექმნის მიზნით, მაზრებში, სათემო აღმასკომების ნაცვლად, გამოიყო რაიონები – სასოფლო საბჭოები, რომელთაგან თითოეული რამდენიმე სოფელს აერთიანებდა.[135] 1926 წელს რაიონები შეიქმნა: გუმისთის მაზრაში – დრანდის რაიონი; გუდაუთის მაზრაში – ფსირცხის რაიონი; კოდორის მაზრაში – აძიუბჟის რაიონი; გალის მაზრაში – აჩიგვარის რაიონი.[136] თუმცა სარაიონო სისტემა მალევე გაუქმდა და ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული კვლავ თემი გახდა.[137]

1926 წლის პირველ ნახევარში აფხაზეთის სს რესპუბლიკაში იყო 5 მაზრა – გაგრის, გალის, გუდაუთის, კოდორის, სუხუმის; სასოფლო საბჭოების რაოდენობა 93 იყო.

გაგრის მაზრაში: ალახაძის, ხოლოდნორეჩენსკის, ახალი გაგრის, კოლხიდის, კალარის (5 ს/საბჭო); *გუდაუთის მაზრაში:* ააცის, აჭანდარის, აბგარხუკის, ანუხვა-სომხურის, ანუხვა-აფხაზურის, ბლაბურხვის, ბარმიშის, ბომბორის, ბაკლანოვკის, ჯირხვის, დურიფშის, ზვანდრიფშის, ლიძავის, ლიხნის, მწარის, მუგუძირხვის, კავაძლუქის, კალდახვარის, ოთხარის, პეტროპავლოვსკის, ფსირცხის (21 ს/საბჭო); *სოხუმის მაზრაში:* ეშერის, გუმისთის, მიხაილოვსკის, ბეშკარდაშის, ანდრეევსკის, კონსტანტინოვსკის, ეკატერინინსკის, ვოლოდარსკის, ნიკოლაევო-ანასტასიევსკის, წებელდის, ლათის, აზანთის, ოლგინ-

---

[130] აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1926, გვ. 3-27; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 107-109; История Абхазской АССР (1917-1937), გვ. 199-200; ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 წწ., გვ. 316-317.

[131] აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1926, გვ. 12.

[132] Административно-территориальный состав СССР на 1 июля 1925 г. и 1 июля 1926 г., М., 1926, с. 46; Советы Абхазии (1922-1937 гг.), გვ. 130; საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, გვ. 207; Ведомости Верховного Совета Абхазской АССР, 1939 г. №7, გვ. 7.

[133] Абхазская областная организация Компартии Грузии в цифрах (1921-1980 г.г.). Сборник статистических материалов, Сухуми, 1980, გვ. 321.

[134] СССР. Административно-территориальное деление союзных республик. Январь 1965 года. М. 1965, გვ. 413.

[135] გრ. ზარდალიშვილი, საქართველოს სსრ ეკონომიური დარაიონება, თბ., 1970, გვ. 50-51.

[136] Советы Абхазии (1922-1937 гг.), Сборник документов и материалов, Сухуми, 1976, გვ. 130.

[137] გრ. ზარდალიშვილი, საქართველოს სსრ ეკონომიური დარაიონება, გვ. 51.

სკის, მერხეულის, გულრიფშის, დრანდის, ბაბუშერის, ვლადიმირსკის, ატარის, ფსხუს (სულ 20); *კოდორის მაზრაში:* ილორის, ოხურეის, ბესლახუბის, ფოქვეშის, გუფის, ტყვარჩელის, მოქვის, ჭილოვის, კოჩარის, თხინის, ჯალის, ტამიშის, ლაბრის, კვიტოულის, ჯგერდის, ათარა-სომხურის, აძუბჟის, ათარა-აფხაზურის, კინდღის (19 ს/საბჭო); *გალის მაზრაში:* საბერიოს, ლეკუხონის, დიხაზურგის, რეჩხო-ცხირის, ღუმურიშის, გალის, ოქუმის, ჩხორთოლის, აგუ-ბედიის, პირველი ბედიის, მეორე ბედიის, რეკის, მუხურის, აჩიგვარის, პირველი გუდავის, მეორე გუდავის, რეფო-შეშელეთის, პირველი გალის, ცხირო-გალის, ჭუბურისხინჯის, თაგელონის, სიდა-ნაბაკევის, ნაბაკევის, ზემო ბარღების, ქვემო ბარღების, ოტობაიის, გაგიდა-ნაჭკადუს, ხუმუშქურის (28 ს/საბჭო).[138]

1926 წლის მეორე ნახევარში აფხაზეთში კიდევ 4 ს/საბჭო შეიქმნა და მათი რიცხვი 97-მდე გაიზარდა.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი, მთელი სსრ კავშირის მასშტაბით, დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შეცვლა იყო. ჩვეულებრივ, შეცვლას ექვემდებარებოდა რუსეთის სამეფო სახლის წევრთა, მეფის რუსეთის დიდმოხელეებისა და სარდლების, მემამულეების, რელიგიურ რწმენასთან დაკავშირებული სახელები. ისინი იცვლებოდა იდეოლოგიზებული სახელებით, – რევოლუციონერების, ბოლშევიკი სამხედრო პირებისა და ფუნქციონერების სახელებითა და გვარსახელებით, კომუნისტურ იდეოლოგიასთან დაკავშირებული ცნებების აღმნიშვნელი სახელებით. სსრ კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკაში მასობრივად ცვლიდნენ ტოპონიმებს. ბუნებრივია, ამ პროცესს აფხაზეთი ვერ ასცდებოდა.[139]

აფხაზი მკვლევრის ვ. კვარჭიას ცნობით, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, დასახლებული პუნქტებისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების დაზუსტების მიზნით, აფხაზეთში მასალების შეგროვება დაიწყო.[140] იმ სახელებიდან, რომლებიც შეცვლას ექვემდებარებოდა, 1921-1924 წლებში, აფხაზეთში არცერთი შეცვლილი არ იყო. 1925-1931 წლებშიც, ძირითადად, დარჩა ძველი გეოგრაფიული სახელწოდებები, მხოლოდ რამდენიმე დასახლებული პუნქტის სახელი შეიცვალა. იმავე ვ. კვარჭიას ცნობით, 1925 წელს ახალ ათონს (ნოვი აფონ) ფსირცხა ეწოდა.[141] აფხაზეთის ნაციონალისტურად განწყობილი ნომენკლატურა ცდილობდა ტოპონიმები აფხაზური სახელწოდებებით შეეცვალა, ამიტომაც უწოდეს ახალ ათონს (ნოვი აფონ) ფსირცხა, სახელწოდება, რომელიც მხოლოდ XIX საუკუნიდან დასტურდება საისტორიო წყაროებში, მაგრამ არ აღადგინეს მისი ისტორიული სახელი ანაკოფია, აფხაზთა საერისთაოს პოლიტიკური ცენტრის სახელი.

20-იან წლებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების უწყებაში შედიოდა. 1926 წლის 11 ნოემბერს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა აფხაზეთის ცაკს სასოფლო საბჭოების შემცირების წინადადებით მიმართა. წარმოდგენილი წინადადების თანახმად: 1. გაგრის მაზრის სასოფლო საბჭოების რაოდენობა უცვლელი რჩებოდა მათი მცირე რაოდენობის (5 სასოფლო საბჭო) გამო; 2. გუდაუთის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლებლად ჩათვალა შეემცირებინა ორი სასოფლო საბჭო: ბლაბურხვის ს/საბჭო ერთიანდებოდა ბარმიშის ს/საბჭოსთან; ანუხვა-აფხაზურის ს/საბჭო ერთიანდებოდა ანუხვა-სომხურის ს/საბჭოსთან სახელწოდებით ანუხვის ს/საბჭო; 3. სოხუმის სამაზრო-საქალაქო აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლებლად ჩათვალა შეემცირებინა სამი სასოფლო საბჭო: ა) ბეშკარდაშის, ანდრეევსკის და მიხაილოვკის ს/საბჭოები ერთიანდებოდა ერთ – მიხაილოვკის ს/საბჭოში; ბ) ეკატერინენსკის და კონსტანტინოვსკის ს/საბჭოები ერთიანდებოდა ერთ – ეკატერინენსკის ს/საბჭოში; 4) კოდორის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლებლად ჩათვალა შეემცირებინა ორი ს/საბჭო: ა) კინდღის და ტამიშის ს/საბჭოები ერთიანდებოდა ერთ – ტამიშის ს/საბჭოში; ბ) ოხურეის თემის ნაწილი აფხაზური მოსახლეობით უერთდებოდა ფოქვეშის ს/საბჭოს, მეორე ნაწილი – მეგრული მოსახლეობით, – ილორის ს/საბჭოს. ამდენად, უქმდებოდა ოხურეის ს/საბჭო; 5) გალის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა შესაძლებლად ჩათვალა შეემცირებინა ხუთი ს/საბჭო: ა) პირ-

---

[138] **Статистический Справочник 1927 г. Центральное Статистическое Управление ССР Абхазии. г. Сухум. 1928, გვ. 5-11** (სტატისტიკური ცნობარი 1926 წლის ვითარებას ასახავს); შდრ.: **Советы Абхазии (1922-1937 гг.)**, გვ. 165-172, 174, 177.

[139] თ. გეგანცელაძე, ტოპონიმთა მასობრივი ცვლის მცდელობანი აფხაზეთში 1921-1937 წლებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XIII. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, თბ., 2015, გვ. 21-30.

[140] **Кварчия В. Е. Ойконимы Абхазии в письменных источниках**, Сухуми, 1985, გვ. 7-8.

[141] **Кварчия В. Е. Ойконимы Абхазии в письменных источниках**, გვ. 25.

ველი გუდავის და მეორე გუდავის ს/საბჭოები ერთიანდებოდა ერთ – გუდავის ს/საბჭოში; ბ) წარჩესა და მუხურის ს/საბჭოები ერთიანდებოდა ერთ – მუხურის ს/საბჭოში; გ) აგუ-ბედიის, რეჩხის სასოფლო და გალის სადაბო საბჭოები უქმდებოდა მათი მეზობელ ს/საბჭოებთან შეერთებით.

სულ, აფხაზეთში 97 ს/საბჭო იყო, 10 ს/საბჭოს შემცირების შედეგად 87 ს/საბჭო რჩებოდა.

მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ პროექტის მომზადების პროცესში კინდღის, გუდავის, მეორე გუდავის, აგუ-ბედიის ს/საბჭოებიდან შემოვიდა საჩივრები ს/საბჭოების შემცირებისა და სხვა ს/საბჭოებთან გაერთიანების წინააღმდეგ, მაგრამ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინა ეს საჩივრები და ისინი მიზანშეუწონლად მიიჩნია. შინსახკომმა გაიზიარა სამაზრო აღმასკომების გადაწყვეტილება ს/საბჭოების შემცირების თაობაზე და აფხაზეთის ცაკს სთხოვა სასოფლო საბჭოების გამსხვილება ჩამოთვლილი წესით დაემტკიცებინა.[142]

აღნიშნული ცვლილებები აფხაზეთის ცაკმა დაამტკიცა.

1928 წლის სექტემბრისთვის აფხაზეთში 19 ს/საბჭო შემცირდა. შესაბამისად, 68 ს/საბჭო დარჩა: გაგრის მაზრაში – 5 ს/საბჭო, გუდაუთის მაზრაში – 16 ს/საბჭო, სოხუმის მაზრაში – 14 ს/საბჭო, კოდორის მაზრაში – 13 ს/საბჭო, გალის მაზრაში – 15 ს/საბჭო.[143]

20-იან წლებში აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ნესტორ ლაკობამ აფხაზეთში შექმნა ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმი, რომლის მიზანი აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტა იყო. ამ მიზნით შეიქმნა სიმონ ბასარიას, სიმონ აშხანავას, კონსტანტინე კუდრიაეცევის ნაშრომები აფხაზეთის ისტორიაში, რომელთა მიზანი შესაბამისი ისტორიული ფონის შექმნა იყო.[144] აფხაზეთის ნაციონალისტურად განწყობილ ხელისუფლებას და მის ლიდერს, ნესტორ ლაკობას, განსაკუთრებით აწუხებდათ ის საკითხი, რომ რესპუბლიკაში აფხაზური მოსახლეობის რაოდენობა შედარებით მცირე იყო. 1926 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობამ 201 016 შეადგინა. აღწერის თანახმად, რესპუბლიკაში 67 494 ქართველი და 55 918 აფხაზი ცხოვრობდა. შედარებით მცირე იყო რუსების (12 533), ბერძნების (14 045), სომხების (25 677) რაოდენობა.[145] ამასთანავე, აღწერის მიხედვით, 8 920 აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს აღიარებდა.[146] 1927 წლის 7 მარტს აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობაზე გამოსვლისას სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ნ. ლაკობა აღნიშნავდა: „უკანასკნელი აღწერის (საკავშირო) წინასწარი მონაცემებით აფხაზეთის მოსახლეობა ორიოდ სქესის თითქმის 200 ათას სულს შეადგენს. 200 ათასიდან აფხაზები, დიდი ძალდატანებით, დაახლოებით 57-60 ათასია ... რატომ დიდი ძალდატანებით? იმიტომ, რომ რამდენიმე ათასი ადამიანი თავს აფხაზურ ეროვნებას აკუთვნებს, მაგრამ მათი ენა არის არა აფხაზური, არამედ მეგრული. მეგრელები, იგივე ქართველები, აფხაზეთში ყოველ შემთხვევაში, არანაკლებ 65-70 ათასი იქნება.[147]

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში აფხაზების ხვედრითი წილის გაზრდის მიზნით, უხეში ადმინისტრაციული ზემოქმედებით, ქართველებს აიძულებდნენ აფხაზებად ჩაწერილიყვნენ.[148] ამას ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ პასპორტები არ არსებობდა და სამოქალაქო აქტების ჩაწერა სასოფლო საბჭოებში ხდებოდა. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური კოდორისა და გალის მაზრის სოფლებში იყო. იმავდროულად, ნ. ლაკობა ცდილობდა თემებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, ამა თუ იმ სოფლის ერთი ს/საბჭოდან გამოყოფითა და სხვა ს/საბჭოსათვის ან სხვა მაზრისათვის მიკუთვნებით, მეტნაკლებად დაებალანსებინა. იმის გამო, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების – მაზრების, უბნების, სოფლების, – ენას აფხაზეთის ცაკი და სახკომსაბჭო განსაზღვრავდა, ნაციონალისტურ-სეპარატისტულ ხელისუფლებას მანიპულირების საშუალება ჰქონდა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები – სასოფლო საბჭოების დაარსება-გაუქმება, საზღვრების შეცვლა ან მათი სახელწოდების შეცვლა, აფხაზეთში ხშირად საქართველოს სსრ ცაკის

---

[142] Советы Абхазии (1922-1937 гг.), გვ. 142-143.
[143] Советы Абхазии (1922-1937 гг.), გვ. 186.
[144] ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II, თბ., 2007, გვ. 110-111.
[145] Население Закавказья. Всесоюзная перепись населения 1926 г. Краткие итоги, Тифлис, 1928, გვ. 16.
[146] ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995, გვ. 88.
[147] Лакоба Н. А. Из доклада о деятельности правительства Абхазии на IV съезде Советов Абхазии 7 марта 1927 г., в кн. Лакоба Н. А. Статьи и речи, გვ. 213.
[148] ბ. ხორავა, ეთნიკური და დემოგრაფიული პროცესები აფხაზეთში, კრებ.: ელდარ მამისთვალიშვილი – 75, თბ., 2015, გვ. 635.

პრეზიდიუმის სანქციის გარეშე ხდებოდა. ასეთი პოლიტიკის შედეგად, აფხაზეთში სასოფლო საბჭოების რაოდენობა ისევ გაიზარდა.

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს საბჭოთა აფხაზეთი დღევანდელ საზღვრებში ჩამოყალიბდა. საკითხის შესწავლის შემდეგ, 1928 წლის 31 დეკემბერს, სსრ კავშირის ცაკმა მიიღო დადგენილება პილენკოვოს თემის აფხაზეთისათვის გადაცემისა და ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად პარიტეტული კომისიის შექმნის შესახებ. პარიტეტული კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა პილენკოვოს თემის აფხაზეთისათვის გადაცემის საკითხები, 1929 წლის 28 მარტს სოხუმში გაიმართა. კომისიამ მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის ცაკის 1928 წლის 31 დეკემბრის დადგენილების თანახმად, რსფსრ ჩრდილოკავკასიის მხარის შავიზღვისპირეთის ოკრუგის სოჭის რაიონის ოთხი სასოფლო საბჭოს – პილენკოვოს, მიქელრიფშის, ხრისტოფოროვოს და სალმეს ტერიტორიების ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკისათვის გადაცემისა და ახალ საზღვრად მდ. ფსოუს ცნობის შესახებ.[149]

ამ დადგენილების შესაბამისად, 1929 წლის 1 აპრილს ტერიტორია მდ. ბაღრიფსთასა (Багрепста) და მდ. ფსოუს შორის აფხაზეთს გადაეცა, სასოფლო საბჭოები გაგრის მაზრაში შევიდა. გაგრის მაზრაში შეიცვალა აგრეთვე მდ. ფსოუს ზემო წელში სოფ. აიბგას ერთი ნაწილი, რომელიც მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. სოფლის მეორე ნაწილი მდინარის მარჯვენა ნაპირზე სოჭის მაზრის და, შესაბამისად, რსფსრ შემადგენლობაში დარჩა. ამ დროიდან, რუსეთ-საქართველოს საზღვარი მდ. ფსოუს მარცხენა ნაპირზე გავიდა.[150]

1929 წლის დასაწყისში აფხაზეთის ფართობი 8254 კვ. კმ შეადგენდა, თემსაბჭოების რაოდენობა 90 იყო.[151] იმავე წლის 15 დეკემბრისთვის ს/საბჭოების რიცხვი უკვე 93 იყო. აქედან, ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით, 35 აფხაზური, 27 ქართული, 13 ეროვნული უმცირესობების: 8 სომხური (*მიქელრიფში, ხრისტოფოროვო, ალახაძი, ანუხვა-არმიანსკაია, კავაქლუქი, მწარა, ათარა-არმიანსკაია, ლაბრა*), 3 ბერძნული (*ბეშკარდაში, მიხაილოვსკოე, ანდრეევსკოე*), 2 ესტონური (*სალმე, ეკატერინენსკი*). დანარჩენი ს/საბჭოები შერეული იყო.[152] 1930 წლის 1 მარტისთვის უკვე აფხაზეთის ასსრ ფართობი 8584 კვ. კმ შეადგენდა. აფხაზეთში იყო: 4 ქალაქი (გაგრი, გუდაუთი, ოჩემჩირე, სოხუმი), 1 დაბა (გალი), 5 მაზრა (გაგრის, გალის, გუდაუთის, კოდორის, სოხუმის), 96 სასოფლო საბჭო, 527 სოფელი.[153] ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით, სასოფლო საბჭოებიდან 23 მხოლოდ აფხაზებით იყო დასახლებული, 20 – ქართველებით, 11 – ქართველებით და აფხაზებით, 7 – აფხაზებით და ქართველებით, 6 – სომხებით, 3 – სომხებით და ქართველებით, 2 – ქართველებით და სომხებით, 2 – რუსებით.[154] დანარჩენი დასახლებული იყო ბერძნებით, ესტონელებით და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლიდან, საქართველოში ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულს მაზრა წარმოადგენდა. 20-იანი წლების მინურულს დღის წესრიგში ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის აუცილებლობა დადგა. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა – მაზრა, თემი, – თავისი ფორმითა და შინაარსით დროის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. სოფლის მეურნეობის გარდაქმნა, საკოლმეურნეო მშენებლობა, ახალ ამოცანებს აყენებდა. საჭირო იყო პარტიულ-საბჭოთა და სამეურნეო-კოოპერაციული აპარატის მიახლოება სოფელთან, რათა დროულად გადაჭრილიყო სოფლის მეურნეობის, მისი გარდაქმნის მტკივნეული საკითხები. ამ მიზნით, საჭიროდ ჩაითვალა რაიონის, როგორც ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ერთეულის, შექმნა.[155] 1929 წლის მარტში საქართველოს კპ ცკ მიიღო დადგენილება „საქართველოს დარაიონების შესახებ".[156]

---

[149] Собрание узаконений и распоряжений Рабоче-Крестьянского Правительства РСФСР, I отдел, №12, М., 1929, გვ. 155; Сагария Б. Е. Из истории восстановления государственных границ Абхазии, გვ. 18-19.

[150] Сагария Б. Е. Из истории восстановления государственных границ Абхазии, გვ. 19; ო. ბერაძე, ბ. ხორავა, როდის გახდა ფსოუ საქართველოს სასაზღვრო მდინარე, გვ. 352.

[151] საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, გვ. 214.

[152] Советы Абхазии (1922-1937 гг.), გვ. 222.

[153] საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, გვ. 151-169, 210-211.

[154] საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ახალი დარაიონება, ნიგნ.: საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, გვ. V.

[155] ი. კაჭარავა, საბჭოთა სახელმწიფო ხელისუფლების განვითარებისა და განმტკიცების ისტორიისათვის საქართველოში (1926-1929 წწ.), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, „მაცნე", 1967, №5, გვ. 81; გრ. ზარდალიშვილი, საქართველოს სსრ ეკონომიური დარაიონება, გვ. 51-52.

[156] ვ. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ.), გვ. 81. ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შემოღებასთან დაკავშირებით, სამი

23 აგვისტოს საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმისა და სახკომსაბჭოს ერთობლივმა სხდომამ განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ დარაიონების შესახებ". სხდომამ დაამტკიცა დადგენილების პროექტი „საქართველოს სსრ ადმინისტრატიულ-ეკონომიური დაყოფისა და ახალი ერთეულების დაარსების წესის შესახებ". ამასთანავე, შესაძლებლად ჩაითვალა, რომ „აფხაზეთში 1929/1930 წლისათვის შენარჩუნებულ იქნეს არსებული ადმინისტრატიულ-ტერიტორიული დაყოფა".[157]

საქართველოს სსრ 1929 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით დაწესდა სამსაფეხურიანი სისტემა – ოლქი-რაიონი-სასოფლო საბჭო. აფხაზეთში დარაიონებისაგან თავი შეიკავეს, რამდენადაც იქ მაზრები ფაქტობრივად რაიონებს წარმოადგენდა.[158] ამდენად, აფხაზეთში კვლავ დარჩა ძველი დაყოფა – გაგრის, გუდაუთის, გალის, კოდორისა და სოხუმის მაზრებად.[159]

მალე, აღმოჩნდა, რომ ოლქი ზედმეტი რგოლი იყო, ამიტომ ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ოლქებისა და მაზრების გაუქმებისა და მმართველობის ძირეული ორგანოების ორსაფეხურიანი სისტემის, რაიონი—სასოფლო საბჭო, შემოღების შესახებ.[160] საქართველოს სსრ ცაკმა და სახკომსაბჭომ 1930 წლის 30 ივლისს მიიღეს დადგენილება ოლქებისა და მაზრების გაუქმებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ორსაფეხურიანი სისტემის: სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული და რაიონი, შემოღების შესახებ.[161]

ამრიგად, 1930 წლიდან საქართველოში მაზრებად დაყოფა რაიონებად დაყოფით შეიცვალა. აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმმა და ეკონომიკურმა საბჭომ* 28 აგვისტოს მიიღეს დადგენილება აფხაზეთის მაზრების, როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების, გაუქმებისა და გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, კოდორის, გალის რაიონების შექმნის შესახებ; ქ. სოხუმი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად გამოიყო. სამაზრო აღმასკომების ლიკვიდაცია ხდებოდა 1 ოქტომბრიდან და მათი ფუნქცია რაიონის აღმასკომებს გადაეცემოდა. ყველა ეს ცვლილება საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმმა 1935 წლის 16 აგვისტოს დადგენილებით დაამტკიცა.[162]

1930 წლის აპრილში აფხაზეთის ცაკის III სესია გაიმართა. სესიამ მიიღო გადაწყვეტილება გაეუქმებინა სახალხო კომისართა საბჭო და მისი ფუნქციები ცაკის პრეზიდიუმისთვის გადაეცა.[163] იმავდრო-

---

პროექტი მომზადდა. აქედან ორი, ხელისუფლებისა იყო, ხოლო მესამე – ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს პავლე ინგოროყვას (1893-1983 წწ.) ეკუთვნოდა (პ. ინგოროყვა, საქართველოს რაიონები. *ნაშრომი გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ისტორიის დოქტორმა ლევან ჯიქიამ*, თბ., 2019). პ. ინგოროყვამ, როგორც მას სჩვეოდა, სკრუპულოზურად შეისწავლა ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა რესპუბლიკებში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრინციპები, მაგრამ ჩათვალა, რომ მათი პირდაპირ გადმოღება არასწორი იქნებოდა. მან აქცენტი საქართველოს რაიონებისა და თემების სპეციფიკაზე გააკეთა. მისი პროექტი სამ მთავარ პრინციპს ემყარებოდა: ეკონომიკა, ადმინისტრაციული დაყოფის სიმარტივე და აპარატის შენახვის ეკონომიურობა. მისი აზრით, რაიონებად დაყოფას ხელი არ უნდა შეეშალა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარებისთვის და ზედმეტი ბიუროკრატიული რგოლები თავიდან აეცილებინა, რაც, თავის მხრივ, რაიონების დაკავშირებას რესპუბლიკის ცენტრთან, გააადვილებდა. საბოლოოდ, ხელისუფლებამ პ. ინგოროყვას პროექტი არ მიიღო, თუმცა შესწორებებით მიღებულ პროექტთან ყველაზე ახლოს მისი პროექტი იდგა (ლ. ჯიქია, პავლე ინგოროყვა საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ, წიგნ.: პ. ინგოროყვა, საქართველოს რაიონები, გვ. 3-8).

[157] საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ახალი დარაიონება, წიგნ.: საქართველოს ს.ს.რ. ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, გვ. XIX.

[158] ვ. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ.), გვ. 150-152.

[159] ვ. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ.), გვ. 155).

[160] ვ. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ.), გვ. 157.

[161] საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული. 1921-1940 წ.წ., ტ. 1, გვ. 178-179; ვ. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ.), გვ. 160.

*ეკონომიკური საბჭო (Экономический совет, ЭКОСО), ეკონომიკური პოლიტიკის ხელმძღვანელობის, სამეურნეო და ფინანსური ღონისძიებების გაერთიანების მიზნით შეიქმნა აფხაზეთის სახკომსაბჭოსთან. მისი მიზანი იყო აფხაზეთის სახალხო მეურნეობის საერთო სამეურნეო გეგმის შედგენა, ამ გეგმის შესრულებაზე კონტროლი, ეკონომიკური სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა სამმართველოების მუშაობის შეთანხმება და წარმართვა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ თავმჯდომარისა და მისი მოადგილის სახით – სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე, წევრები: მინათმოქმედებისა და შრომის სახალხო კომისრები, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს სსრ მუშგლეხინის ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები აფხაზეთში; ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე; აფხაზეთის სახელმწიფო სავაჭრო ამხანაგობის და აფხაზეთის მომხმარებელთა კოოპერატივების კავშირის წარმომადგენლები (Советы Абхазии, გვ. 107).

[162] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქმე 2894, ფურც. 12.

[163] ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 წწ., გვ. 321.

ულად, 17 აპრილს აფხაზეთის ცაკის III სესიამ განიხილა აფხაზეთსა და საქართველოს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის გადასინჯვის საკითხი. აფხაზეთის მთავრობის მიერ სესიისთვის მომზადებულ ცნობაში ნათქვამია: „იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებამ დაკარგა რეალური მნიშვნელობა და, შესაბამისად, იგი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც შეთანხმება აფხაზეთის სსრ და საქართველოს სსრ გაერთიანების შესახებ, ხოლო ამ რესპუბლიკების ნამდვილი ურთიერთობები ზუსტადაა განსაზღვრული მათ კონსტიტუციებში, – აუცილებელია ვალიაროთ, რომ აფხაზეთის სსრ სახელწოდებას „სახელშეკრულებო რესპუბლიკა" რეალური შინაარსი არ გააჩნია".[164] ხელშეკრულება წინააღმდეგობაში მოდიოდა ასევე საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციებთან, ამიტომ დაკარგა მან რეალური შინაარსი. სესიამ კონსტიტუციიდან ამოიღო სახელწოდება „სახელშეკრულებო რესპუბლიკა" და იგი „ავტონომიური რესპუბლიკით" შეცვალა.[165]

1931 წლის 11 თებერვალს აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ დაამტკიცა ცაკისა და სახკომსაბჭოს შერწყმა. ამდენად, 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის ცაკი და სახკომსაბჭო გაერთიანდა ერთ ორგანოდ – ცაკი. მასთან არსებობდა შესაბამისი სახალხო კომისარიატები. საბჭოების VI ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთის სახელწოდების შეცვლა.[166] 1931 წლის 19 თებერვალს საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ დაადასტურა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შესვლის შესახებ საქართველოს სსრ შემადგენლობაში, ხოლო 1921 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულება ძალადაკარგულად გამოაცხადა.

სრულიად საქართველოს საბჭოების 1931 წლის 19 თებერვლის დადგენილებაში „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლის შესახებ", ნათქვამია:

1. საქართველოს სსრ-ის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-9 მუხლის თანახმად აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შევიდეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით და მასზე გავრცელებულ იქნეს აღნიშნული ძირითადი კანონის IV თავის მოქმედება.

2. საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ას შორის ქალაქ ტფილისში 1921 წლის დეკემბრის 16-ს დადებული ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვალოს.[167]

ამდენად, აფხაზეთის სახელწოდება მის რეალურ სტატუსთან შესაბამისობაში მოვიდა. ეს ცვლილება განხორციელდა სახელმწიფოებრივი მოწყობის იმ პოლიტიკის კონტექსტში, რომელსაც 30-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა. კერძოდ, მიმდინარეობდა ხელისუფლების ცენტრალიზაციის, სსრ კავშირის უნიტარიზაციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების უნიფიცირების პროცესი, რომელიც აფხაზეთისთვის გამონაკლისს ვერ დაუშვებდა.[168]

იმავე ხანებში, აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, სოხუმის რაიონი გაუქმდა. სსრ კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად 1931 წლის 1 იანვრისათვის აფხაზეთის ასსრ ფართობი 8 615 კვ. კმ შეადგენდა. რესპუბლიკაში იყო 3 ქალაქი (სოხუმი, გუდაუთი, ოჩემჩირე), 4 რაიონი – გაგრის (ადმ. ცენტრი დ. გაგრა), გალის (ადმ. ცენტრი სოფ. გალი), გუდაუთის (ადმ. ცენტრი ქ. გუდაუთი), კოდორის (ადმ. ცენტრი ქ. ოჩემჩირე), 96 სასოფლო საბჭო, მათ შორის – გაგრის რაიონში – 9 ს/საბჭო, გალის რაიონში – 25 ს/საბჭო, გუდაუთის რაიონში – 22 ს/საბჭო, კოდორის რაიონში – 20 ს/საბჭო.[169]

სსრ კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად, 1931 წლის 1 ნოემბრიდან 1932 წლის 1 ივლისისათვის მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, აფხაზეთის ასსრ ფართობი 8,6 კვ. კმ შეადგენდა. რესპუბლიკა შედგებოდა 4 რაიონისაგან და 96 სასოფლო საბჭოსაგან.[170] 1932 წელს დაბა გალმა, ხოლო 1933 წელს დაბა გაგრამ რაიონული დაქვემდებარების ქა-

---

[164] **Тоидзе Л. К вопросу о политическом статусе Абхазии. Страницы истории. 1921-1931 гг., Тб., 1986, გვ. 27;** ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 ᲑᲑ., გვ. 321.

[165] ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 ᲑᲑ., გვ. 321.

[166] **Гамахария Дж., Гогия Б. Абхазия – историческая область Грузии, გვ. 125, 503-504.**

[167] საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული. 1921-1940 წ.წ., ტ. 1, თბ., 1959, გვ. 178-179.

[168] ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 ᲑᲑ., გვ. 322.

[169] **Административно-территориальное деление Союза ССР , М., 1931, გვ. 240-241.**

[170] **Административно-территориальное деление Союза ССР , М., 1932, გვ. 122-123.**

ლაქის სტატუსი მიიღეს.[171] აფხაზეთის ასსრ ცაკის 1933 წლის 4 აპრილის დადგენილებით, კოდორის რაიონს სახელი გადაერქვა და ოჩემჩირის რაიონი ეწოდა.[172]

მალე, სოხუმის რაიონი აღადგინეს. სსრ კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1934 წლის ცნობარის თანახმად აფხაზეთის ასსრ ფართობი 8 665 კვ. კმ შეადგენდა. რესპუბლიკა შედგებოდა 5 რაიონისაგან – გაგრის (ადმ. ცენტრი ქ. გაგრი), გალის (ადმ. ცენტრი ქ. გალი), გუდაუთის (ადმ. ცენტრი ქ. გუდაუთა), ოჩემჩირის (ადმ. ცენტრი ქ. ოჩემჩირე), სოხუმის (ადმ. ცენტრი ქ. სოხუმი), 105 სასოფლო საბჭოსაგან, მათ შორის: გაგრის რაიონში – 11 ს/საბჭო, გალის რაიონში – 24 ს/საბჭო, გუდაუთის რაიონში – 22 ს/საბჭო, ოჩემჩირის რაიონში – 28 ს/საბჭო, სოხუმის რაიონში – 20 ს/საბჭო; 547 დასახლებული პუნქტისაგან.[173]

აფხაზეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები: აფხაზეთის სტატუსის შეცვლა, ცაკისა და სახკომსაბჭოს შერწყმა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებები, აფხაზეთის ასსრ ახალ კონსტიტუციაში აისახა, რომელიც აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობამ 1935 წლის 7 იანვარს დაამტკიცა.[174] ახალმა კონსტიტუციამ განსაზღვრა ავტონომიური რესპუბლიკის სამართლებრივი მდგომარეობა. თუ აფხაზეთის 1926 წლის კონსტიტუცია ფორმალურად მაინც მიჯნავდა უფლებამოსილებას თბილისსა და სოხუმს შორის, ახალმა კონსტიტუციამ დააფიქსირა სრული ცენტრალიზაცია – ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატი საქართველოს შესაბამის უწყებას დაექვემდებარა.[175]

აფხაზი მკვლევრის ვ. კვარჭიას ცნობით, 1935 წელს აფხაზეთის ცაკმა დასახლებული პუნქტებისა და გეოგრაფიული სახელწოდებების დაზუსტების მიზნით სპეციალური კომისია შექმნა. კომისიამ შეძლო გაესწორებინა მრავალი სახელწოდება, რომელიც ადრე მცდარად ინერებოდა.[176] თუმცა, უფრო მეტი ინფორმაცია კომისიის მუშაობის, მის მიერ დასახლებული პუნქტების სახელწოდებების გასწორების შესახებ, ვ. კვარჭიას ნაშრომიდან არ ჩანს.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1935 წლის 16 აგვისტოს მიიღო საგანგებო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ-ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის შესახებ". მასში ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ ცაკის 1930 წლის დადგენილების თანახმად აფხაზეთში ყოველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გადაჯგუფების მოხდენა, სასოფლო საბჭოების დაარსება-გაუქმება, საზღვრების შეცვლა ან მათი სახელწოდების შეცვლა ცხოვრებაში უნდა ტარდებოდეს საქართველოს სსრ ცაკის დამტკიცების შემდეგ. აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სანქციის გარეშე მრავალი ასეთი ცვლილება მოხდა. აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელი ორგანოები სათანადო ყურადღებით არ ეპყრობიან აღნიშნულ საკითხებს, რისი შედეგიც არის ის, რომ მთელი რიგი სასოფლო საბჭოების დადგენილებანი ამა თუ იმ ორგანოებში გაუფორმებლად ტარდება, რაც აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში არევ-დარევას და სერიოზულ გაუგებრობებს იწვევს.

აფხაზეთის ასსრ ცაკს წინადადება მიეცა, რომ საქართველოს ცაკის სანქციის გარეშე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებები ან რომელიმე დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლა შემდეგში არ განეხორციელებინა. იმავდროულად, საქართველოს ცაკმა დაამტკიცა აფხაზეთის ცაკის დადგენილება აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად:

გაგრის რაიონის პილენკოვის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: მაპადარი ზემო, მაპადარი ქვემო, ოთლუქი, ვოსემსოტი, ეედოკიმოვკა და როგოჟინო და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ქვემო მაპადირში; პილენკოვის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ხოშუფსე, კოვა-

---

[171] СССР. Административно-территориальное деление союзных республик. Январь 1965 года, М., 1965, გვ. 413; ვ. ჯაოშვილი, თ. ბერაძე, გალი, ქსე, ტ. 2, გვ. 639. სსრ კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1965 წლის ცნობარის თანახმად, დაბა გალმა რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი 1932 წელს მიიღო, ხოლო გაგრამ – 1933 წელს, შდრ.: შ. ლაშხია, თ. ბერაძე, ლ. რჩეულიშვილი, გ. უშვერიძე, გაგრა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 612.

[172] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქმე 2894, ფურც. 12; История Абхазской АССР (1917-1937), გვ. 249.

[173] Административно-территориальное деление Союза ССР на 15 июля 1934 года, М., 1934, გვ. 250-251.

[174] აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1935 წ., ნიგნ.: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 134-141.

[175] ჯ. გამახარია, აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში. 1921-1937 წწ., გვ. 322.

[176] Кварчия В. Е. Ойконимы Абхазии в письменных источниках, გვ. 8; Кварчия В. Е. Адсны атопонимика, Алаа, 2002, გვ. 14.

ლევსკოე შუა და ცერკოვნი-კოვალევსკოე და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ხოშუფსეში.

გუდაუთის რაიონის ჯირხვის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: კონაპა, ათვახუ, ელირთა და შკვანა და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრი სოფელ ათვახუში, ხვაფის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით; აბგარხუკის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ცეშაა-რჭაბლა, ითმკუაჩ-იგუარა, არიუთა, აბგაუერა, აჩკანა და თასრაყუა-ყაფში და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ აჩკანაში – ყულანურხვის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

სოხუმის რაიონის ბაბიშრას სასოფლო საბჭო გაუქმდა და მასში შემავალი სოფლები: ბაბიშრა, უარჩე და ფშაფი ქვედა გაერთიანდა ამავე რაიონის დრანდის სასოფლო საბჭოში; ანდრეევსკის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ცხარა-შუბარა და ფშართ-ლუქი და დაარსდა ცალკე სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ცხარა-შუბარაში; ეშერის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ამჟაერა, ფშალთლუქი და ლაკობა და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ამჟაერაში – ეშერა სომხების სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

ოჩემჩირის რაიონში: გუფის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: არასაძიხი, ზურაბი და გუფ-აგუ და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ არასაძიხში; ათარა-აფხაზების სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: არაკიჩი 1, არაკიჩი 2 და არაკიჩი 3 და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ არაკიჩ 1-ში; გუფის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები აკუასკე და ზაგანი და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ აკუასკეში; ჭილოუს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: წყარ-ხუმული და მრამბა და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ბრამბაში, ოტაპის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით; ჯღერდის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები აბაატ-ახუ, ღვადა, ჯირგული და ახუნა და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ღვადაში; მოქვის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: არადუ და მერკულა და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ მერკულაში.

გალის რაიონში: გაგიდის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ნაჭკადუ, ნაკარ-ღალი და ფიჩორი და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ფიჩორში; წარჩეს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: საბულეისკირიო და საშარანგიო და დაარსდა ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ საშარანგიოში – მუხურის სასოფლო საბჭოს სახელწოდებით.

გალის რაიონს გამოეყო და ოჩემჩირის რაიონს შეუერთდა სასოფლო საბჭოები: 1. *აგუ-ბედიის* – სოფლებით: პატრა-ხუწა, მიშველი, ახეცარა, ამხანაგობა, აგუ-ბედია, ქვალონი და აჯარა, 2. *რეკის* – სოფლებით: საჩინო, რეკა-ქვემო, რეკა-ზემო და ჯგერიანი და 3. *ჩხორთოლის* – სოფლებით: ჩხორთოლი ზემო, არადუქვა და ჩხორთოლი ქვემო.

იმავდროულად, საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმმა უარყო შემდეგი დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შეცვლა: ამჟაერას – III ინტერნაციონალად, ფშართლუკის – კარლ-მარქსად, ზემო ჭილოუს – რევოლუსიონეტად, ქვემო სერთის – კომინტერნად.

აფხაზეთის ცაკს წინადადება მიეცა განეხილა და საქართველოს ცაკისთვის დასამტკიცებლად წარმოედგინა საკითხი იმ დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შეცვლის შესახებ, რომელნიც წარმომდგარნი არიან თავად-აზნაურების, კაპიტალისტების და ფეოდალების გვარებიდან, როგორც მაგალითად: პილენკოვო, ბარანოვო, შაფრანოვო, ერმოლოვსკოე, ხრისტოფოროვო, ევდოკიმოვკა, როგოჟინო, კოვალევსკოე, ცერკოვნო-კოვალევსკოე, შურინოვო, ტროიცკოე, ზვანდრიფში და სხვ. საქართველოს ცაკის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული სახელწოდებების შეცვლა ძირითადად ადგილობრივ არსებული გეოგრაფიული სახელწოდებებით უნდა მომხდარიყო.[177]

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება გეოგრაფიული სახელწოდებების ხელაღებით შეცვლის წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა სახელწოდებების შეცვლა ადგილობრივი გეოგრაფიული სახელებით მომხდარიყო. ამასთანავე, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ვერ ჩაწვდა ან ყურადღება არ მიაქცია აფხაზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას *აგუბედიის, რეკისა* და *ჩხორთოლის* ს/საბჭოების გალის რაიონიდან გამოყოფისა და ოჩემჩირის რაიონთან შეერთების შესახებ. სწორედ ამ სოფლების მოსახლეობა იყო, ნ. ლაკობას თქმით, თავს აფხაზად რომ აღიარებდა, მაგრამ აფხაზური ენა არ იცოდა. *აგუბედიის, რეკისა* და *ჩხორთოლის* ს/საბჭოების ოჩემჩირის რაიონთან

[177] საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, №1, საქმე 2894, ფურც. 11.

შეერთება გალის რაიონის ქართული მოსახლეობის მეტნაკლებად შემცირებასა და ამ სოფლების მოსახლეობის სრულად გააფხაზებას ისახავდა მიზნად.[178]

იმავე ხანებში რუსულ ენაზე დაზუსტდა აფხაზეთის ასსრ დედაქალაქისა და სხვა ქალაქების სახელწოდებები. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 17 აგვისტოს დადგენილებით „დასახლებული პუნქტების სახელწოდებების სწორი დაწერილობის შესახებ", აფხაზეთის ასსრ დედაქალაქის სახელწოდების ტრანსკრიფცია შეიცვალა. ქალაქს ნაცვლად Сухум ფორმისა, ოფიციალურად Сухуми ეწოდა; ასევე შეიცვალა სახელწოდებები: Ткварчелы – Ткварчели, Очамчиры – Очемчири.[179] დასახლებული პუნქტების სახელწოდებების დაზუსტება არა მარტო აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, არამედ სსრ კავშირის სხვა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებსაც შეეხო. სწორედ მაშინ შეიცვალა სახელწოდებები: Батум – Батуми, Тифлис – Тбилиси, Эриван – Ереван და სხვ.[180]

1936 წლის 5 დეკემბერს საკავშირო საბჭოების VIII ყრილობამ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მიიღო. ახალი კონსტიტუციის თანახმად ამიერკავკასიის სფსრ გაუქმდა და მასში შემავალი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკები სსრ კავშირის შემადგენლობაში უშუალოდ შევიდნენ.[181] 1937 წლის 13 თებერვალს საქართველოს სსრ საბჭოების VIII ყრილობამ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა.[182]

1937 წლის 2 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) მიიღო.[183] ახალმა კონსტიტუციამ საკანონმდებლო წესით განამტკიცა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფოებრივ-საკანონმდებლო მდგომარეობის ფორმა საქართველოს სსრ შემადგენლობაში. კონსტიტუციის მე-13 მუხლში ნათქვამია, რომ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედის საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით.[184]

კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო – აფხაზეთის ასსრ ერთადერთი კანონმდებელი ორგანო. იგი უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა ყველა საკითხი, რომელიც საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციებით ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნებოდა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო ირჩევდა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, პრეზიდიუმის მდივანს და პრეზიდიუმის 8 წევრს. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანგარიშვალდებული იყო უმაღლესი საბჭოს წინაშე და უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში ახორციელებდა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო ქმნიდა აფხაზეთის ასსრ მთავრობას – სახალხო კომისართა საბჭოს.[185]

1937 წლის კონსტიტუციის თანახმად აფხაზეთის ასსრ „შესდგება გაგრის, გალის, გუდაუთის, სოხუმის, ოჩემჩირის რაიონებისაგან და ქალაქ სოხუმისაგან, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს".[186] კონსტიტუციაში აღნიშნული

---

[178] ნესტორ ლაკობას (1893-1936 წწ.) გარდაცვალებისა და ხალხის მტრად შერაცხვის შემდეგ, აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი 1937-1938 წწ. მიხეილ დელბა აღნიშნავდა, რომ „ნ. ლაკობამ მწვავე აუცილებლობის მოტივით გალის რაიონის რამდენიმე მეგრულ-აფხაზური სასოფლო საბჭო 1931 წელს ოჩემჩირის რაიონს მიუერთა. ოჩემჩირის რაიონს მიერთებულ სოფლებში, ნ. ლაკობას ერთ-ერთი ყველაზე სანდო პირი, აფხაზეთის განათლების სახკომი ბაგრატ ზანთარია მეგრულ ბავშვებს, რომლებმაც სრულებით არ იცოდნენ აფხაზური ენა, აიძულებდა აფხაზურ ენაზე გაეარათ სწავლება, მშობლიურ ენაზე, ქართულზე, განათლების მიღების უფლება მათ ჩამოართვა" (М. Делба, Беспощадно бороться с врагами народа, газ. «Советская Абхазия», 1937 г. 15 августа).

[179] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов. *Отв. ред. Б. Е. Сагария*, Сухум, 1992, გვ. 488.

[180] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов, გვ. 489.

[181] **Меркviладзе В. Н.** Создание и укрепление советской государственности в Грузии (1921-1936 гг.), გვ. 435.

[182] საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), გვ. 128.

[183] **История** Абхазской АССР (1917-1937), გვ. 367.

[184] **Конституция (основной закон) Абхазской автономной Советской социалистической республики**, Сухуми, 1937, გვ. 8; აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), სოხუმი, 1937, ნიგნ.: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 151.

[185] **Конституция (основной закон) Абхазской автономной Советской социалистической республики**, Сухуми, 1937, გვ. 8-12; აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), სოხუმი, 1937, ნიგნ.: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 153.

[186] **Конституция (основной закон) Абхазской автономной Советской социалистической республики**, Сухуми, 1937, გვ. 8; აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), სოხუმი, 1937, ნიგნ.: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 151.

იყო ასევე, რომ აფხაზეთის ასსრ ტერიტორია არ შეიძლებოდა შეცვლილიყო აფხაზეთის ასსრ თანხმობის გარეშე.[187] აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გამგებლობაში შედიოდა ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული დაყოფის, რაიონების საზღვრების დაწესების და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში დასამტკიცებლად წარდგენა.[188]

ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, 1938 წლის ივნისში არჩეულ იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო. ივლისში, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, არჩეულ იქნა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო.[189] ამრიგად, ხელისუფლების უმაღლესი ორგანო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უმაღლესმა საბჭომ შეცვალა.

1938 წლიდან აფხაზეთში საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებით, დასავლეთ საქართველოს მცირემინიანი რაიონებიდან კოლმეურნეთა ჩასახლება მიმდინარეობდა, თუმცა მას არ პქონია ინფილტრაციის ხასიათი. ქართველების ჩასახლება გამოუყენებელ მიწის მასივებზე ხდებოდა. 1939-1941 წლებში აფხაზეთის თავისუფალ მიწებზე 10 ახალი კოლმეურნეობა შეიქმნა: ოჩემჩირის რაიონში 4, გუდაუთის რაიონში – 3, გაგრის რაიონში – 3. იმავდროულად, ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარეობდა რუსების, უკრაინელების, სომხების და სხვათა შემოდინების პროცესი. ეს ფაქტი გამოწვეული იყო ობიექტური რეალობით: ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარება და სამრეწველო საწარმოების შექმნა; საკურორტო, კომუნალური, სატრანსპორტო მშენებლობა; მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება, პირველ რიგში, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციაში შესვლა, მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ავტონომიური რესპუბლიკის გარედან მუშახელსა და კვალიფიციურ საინჟინრო-ტექნიკურ კადრებს მოითხოვდა. ამის გამო აფხაზთა ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა.[190] ამ ფაქტთან იყო დაკავშირებული აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ზოგიერთი ახალი სოფლისა და სასოფლო საბჭოს შექმნა.

1938 წელს აფხაზეთში რიგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილება განხორციელდა:

1938 წლის სექტემბერში ლიძავის სასოფლო საბჭო გამოეყო გუდაუთის რაიონს და გაგრის რაიონს გადაეცა, რაიონული ცენტრიდან მისი დაშორებისა და გაგრის რაიონისაკენ მისი ეკონომიკური მისწრაფების მოტივით.[191] იმავე წლის ნოემბერში გუდაუთის რაიონის ფსირცხის ს/საბჭოს გამოეყო კურორტი ფსირცხა, რომელიც დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებად) გარდაიქმნა.[192] იმავე ნოემბერში ოჩემჩირის რაიონის ტყვარჩელის სადაბო საბჭოს გამოეყო სოფელი აკარმარა და დაბად გარდაიქმნა.[193] გაგრის რაიონის პილენკოვოსა და სალმეს ს/საბჭოებიდან გამოიყო ქალაქის ტიპის დასახლება პილენკოვო.[194] იმავე ნოემბერში სოხუმის რაიონის წებელდის ს/საბჭოს სოფელ თოფჩიანოეკას კომინტერნოესკოე ეწოდა.[195]

---

[187] **Конституция (основной закон) Абхазской автономной Советской социалистической республики**, Сухуми, 1937, გვ. 8; აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), სოხუმი, 1937, ნიგნ.: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 151.

[188] **Конституция (основной закон) Абхазской автономной Советской социалистической республики**, Сухуми, 1937, გვ. 8; აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), სოხუმი, 1937, ნიგნ.: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 151.

[189] **История Абхазской АССР (1917-1937)**, გვ. 370-371.

[190] **მ. ნათმელაძე**, დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში, თბ., 2002, გვ. 69-71; **ბ. ხორავა**, ეთნიკური პროცესები აფხაზეთში (უძველესი დროიდან დღემდე), კრებ. საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები, თბ., 2009, გვ. 34; **ბ. ხორავა**, ეთნიკური და დემოგრაფიული პროცესები აფხაზეთში, გვ. 636; შდრ.: **Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов**, Сухум, 1992.

დასავლეთ საქართველოს მცირემინიანი რაიონებიდან აფხაზეთში კოლმეურნეთა ორგანიზებულ ჩასახლებას აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგები საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის გაქართველების მიზანმიმართულ აქციად აცხადებენ. ეს იყო ეკონომიკური აუცილებლობით გამოწვეული ღონისძიება, რომელიც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის მიზნით განხორციელდა, ქვეყნის შიგნით ჭარბი მოსახლეობის ქვეყნის მეორე კუთხეში ჩასახლება. მოსახლეობის მსგავსი ჩასახლებები სსრ კავშირის არსებობის დროს ან სხვა დროსაც, ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ სხვა მიზეზებით ჩვეულებრივი ამბავია. იმავდროულად აფხაზეთში მიმდინარეობდა რუსების, სომხების ჩასახლება და, ნიშანდობლივია, რომ მათი რაოდენობა აფხაზეთში 1886 წლიდან 1989 წლამდე 70-ჯერ გაიზარდა (**ზ. პაპასქირი**, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II, გვ. 148-151).

[191] აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. №2, გვ. 3; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", № 227, 1938 წ. 3 ოქტომბერი.

[192] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. №2, გვ. 4

[193] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. №2, გვ. 5

[194] აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. №2, გვ. 7-8.

[195] **Ведомости Верховного Совета Абхазской АССР**, 1938, №2, გვ. 5.

В Ы П И С К А

из протокола № 11 об"единенного заседания президиума ЦИК"а и Экосо ССР Абхазии от 28/УП-1930 года.

§ 1. СЛУШАЛИ: О районировании ССР Абхазии (докл. т.Лакоба Н.)

ПОСТАНОВИЛИ: 1. Упразднить уезды ССР Абхазии, как территориально-административные единицы и образовать районы, а именно:

1. Гагрипский
2. Гудаутский
3. Сухумский
4. Кодорский
5. Гальский - всего 5 районов.

2. Город Сухум выделить в самостоятельную административно-территориальную единицу; остальные города: Гудауты, и Очемчиры, а также Новые Гагры и Гали, как населенные пункты городского типа, включаются в состав соответствующих районов в качестве низовых единиц.

3. Существующие уездные центры и исполкомы ликвидировать не позднее 1-го октября с передачей их функций районным исполкомам.

4. В соответствии с решением Зак.Комиссии при Президиуме Зак.ЦИК"а (З.В. № 221 от 18/УП-1930 г.), учитывая экономическую мощность районов, географическое их положение и нацсостав населения - отнести все районы к первой категории.

5. В целях удешевления аппарата и приближения органов власти к населению - обслуживание сельского населения Сухумского района передать соответствующим республиканским органам Управления, одновременно передав ведомствам соответствующие кредиты и штаты.

6. Поручить Орготделу, совместно с Уп.НКТруда, РКИ и Госпланом проработать типовые штаты и оклады для РИК"ов и Сух.Горсовета, а также оклады и штатные единицы, передаваемые республиканским ведомствам для обслуживания Сухумского района.

7. Намеченную реорганизацию Сух.уездно-городского Исполкома провести таким образом, чтобы добиться сокращения существующих штатных единиц не менее чем на 30%.

8. Поручить редакции газеты "Советская Абхазия" широко провести через печать популяризацию вопроса реорганизации.

п.п. Председатель - Лакоба
Секретарь - Мелянницкий

Верно: юрисконсульт Пада

З/МН.

apsnis a. s. s. r. centr nagsare komitet susujel, anxajel, ar-qapiel rdeputatja sovetkun

აფხაზეთის ა. ს. ს. რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ИСПОЛНИТЕЛЬНЫЙ КОМИТЕТ СОВЕТОВ РАБОЧИХ, КРЕСТЬЯНСК. И КРАСНОАРМЕЙСКИХ ДЕПУТАТОВ АССР АБХАЗИИ

Исх. № [illegible] 193 г.

ak. aqua, frunze ixis zrau salica № 54.
ქ. სოხუმი, ფრუნზეს ქ. № 54. Сухум, ул. Фрунзе № 54.

В ЦИК ССР ГРУЗИИ.-

28-го августа 1930 г. Президиум ЦИК и Экосо ССР Абхазии упразднил уезды Абхазии, как территориально- административные единицы и образовал следующие районы:

1) Гагринский .....
2) Гудаутский.....
3) Сухумский.....
4) Кодорский.....
5) Гальский.....

Гор. Сухум был выделен в самостоятельную административно-территориальную единицу.

4-го апреля 1933 г. ЦИК АССР Абхазии Кодорский район переименовал в Очемчирский район.

Все вышеуказанные изменения были утверждены постановлением Президиума ЦИК ССР Грузии от 16/VII-1935 г. (пр.№ 8 п.7) об административно-территориальном делении АССР Абхазии.

В настоящее время по сообщению УНКВД АССР по Абхазии - НКВД СССР не отпускает ассигнований на содержание Сухумского районного отделения НКВД и районной милиции на том основании, что НКВД СССР не имеет официального подтверждения от ЦИК Союза ССР о существовании Сухумского района, как самостоятельной административно-территориальной единицы.

В виду такого положения, ЦИК АССР Абхазии просит ЦИК ССР Грузии поставить перед ЦИК СССР вопрос о включении Сухумского района в список районов АССР Абхазии, как самостоятельной административно-территориальной единицы.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ЦИК АССР АБХАЗИИ (Н.Лакоба)

1939 წელს აფხაზეთში ისევ განხორციელდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები, შეიქმნა ან გაუქმდა სასოფლო საბჭოები.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თებერვალში განიხილა საკითხი სოხუმის რაიონში ამტყელის, ბაღმარანის, სვობოდის, ფშაფის, ვარჩე-ბაბუშერის, წითელი-ბესლეთის და მაჭარის ს/საბჭოების შექმნის, სოხუმის რაიონში ცხარო-შუბარის ს/საბჭოს გაუქმების, გალის რაიონის რეჩხო-ცხირის სასოფლო საბჭოს ორ ნაწილად გაყოფის, და ოჩემჩირის რაიონში ნაას ს/საბჭოს შექმნის შესახებ.

წებელდის ს/საბჭოს გამოეყოს სოფლები: ამტყელი, გეორგიევსკოე, ჩინ, ჩალ, ბალ, ამზარა, კრასნიცკოე, დიდი კრაევიჩი, ზახაროვკა, პლანტა, ბუდუკი, დანძუთი და შეიქმნა *ამტყელის ს/საბჭო* სოფლების: ამტყელი, გეორგიევსკოე, ჩინ, ჩალ, ბალ, ამზარა, კრასნიცკოე, დიდი კრაევიჩი, ზახაროვკა, პლანტა, ბუდუკი, და დანძუტის შემადგენლობით, ცენტრით სოფელ ზახაროვკაში;

მერხეულის ს/საბჭოს გამოეყოს სოფლები ბაღმარანი და ახალი ჩერნიგოვკა, ეკატერინენსკის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ალექსანდროვკა, ოლგინსკოეს ს/საბჭოს – სოფელი პოლტავო-ალექსანდროვკა და მათგან შეიქმნას *ბაღმარანის ს/საბჭო* შემდეგი სოფლების შემადგენლობით: ბაღმარანი, ახალი ჩერნიგოვკა, ალექსანდროვკა, პოლტავო-ალექსანდროვკა, ცენტრით სოფელ ბაღმარანში.

გუმისთის ს/საბჭოს გამოეყოს სოფლები: სვობოდა, ზემო იაშთხვა, ქვემო იაშთხვა, წითელი იაშთხვა, ცუგუროვკა და შეიქმნას *სვობოდის ს/საბჭო* შემდეგი სოფლების შემადგენლობით: თავისუფლება, ზემო იაშთხვა, ქვემო იაშთხვა, წითელი იაშთხვა, ცუგუროვკა, ცენტრით სოფელ *სვობოდაში*;

დრანდის ს/საბჭოს გამოეყოს სოფლები: ზემო ფშაფი, ქვემო ფშაფი, გულრიფშის ს/საბჭოს გამოეყოს სოფლები: პირველი ბაგაფოშტა, ფშაფი და შეიქმნას *ფშაფის ს/საბჭო* შემდეგი სოფლების შემადგენლობით: ზემო ფშაფი, ქვემო ფშაფი, პირველი ბაგაფოშტა, ფშაფი, ცენტრით სოფელ ქვემო ფშაფში.

დრანდის ს/საბჭოს გამოეყოს სოფლები: ბაბუშერი, ვარჩე, კორასკი (უნდა იყოს ყორასი, - ავტ.), და შეიქმნას ვარჩე-ბაბუშერის ს/საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: ბაბუშერი, ვარჩე, კორასკი, ცენტრით სოფელ ბაბუშერაში.

სოხუმის რაიონში შეიქმნას წითელი-ბესლეთის და მაჭარის სასოფლო საბჭოები და განხორციელდეს ვოლოდაროვსკის სასოფლო საბჭოს დაწვრილერთეულება. ეკატერინენსკის ს/საბჭოს გამოეყოს სოფლები: ზემო ლინდა და თავისუფალი გვარდა; გულრიფშის ს/საბჭოს, სოფლები – მაჭარკა და მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორია; მერხეულის ს/საბჭოს – ქვემო მერხეული; ვოლოდაროვსკის ს/საბჭო დაწვრილერთეულდეს და შეიქმნას ს/საბჭოები: 1. წითელი ბესლეთის, შემდეგი სოფლების შემადგენლობით: წითელი ბესლეთი, ქვემო ბირცხა, ზემო ბირცხა და ბესლეთი ცენტრით სოფელ წითელ ბესლეთში; 2. მაჭარის ს/საბჭო, შემდეგი სოფლების შემადგენლობით: კილასური, ქვემო მერხეული, მაჭარკა, და მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორია, ცენტრით სოფელ მაჭარკაში; 3. ვოლოდაროვსკის ს/საბჭო, დაწვრილერთეულების და მასთან სოფლების თავისუფალი გვარდასა და ზემო ლინდას შეერთების შემდეგ, განისაზღვროს შემდეგი სოფლების შემადგენლობით: გნადენბერგი, ნაიდორფი, ალექსეევკა, ვოლოდაროვკა, თავისუფალი გვარდა, ზემო ლინდა, ცენტრით სოფელ გნადენბერგში (უნინდელი სახელწოდების შენარჩუნებით).

სოხუმის რაიონის ცხარა-შუბარის ს/საბჭო გაუქმდეს. სოფლები, რომლებიც შედიოდა ს/საბჭოში ანდრეევსკის და ზემო ეშერის ს/საბჭოებს შეუერთდეს. სოფელი ჩალთლუქი შეუერთდეს ზემო ეშერის ს/საბჭოს; სოფლები – კესტენელუქი, შუბარა, არქა-მახალე, ხეტინა და ცხარა – ანდრეევსკის ს/საბჭოს.

გალის რაიონის რეჩხო-ცხირის ს/საბჭო გაიყოს ორ ნაწილად: რეჩხის ს/საბჭო ცენტრით სოფელ რეჩხში და ცხირის ს/საბჭო ცენტრით სოფელ ცხირში. რეჩხის ს/საბჭოს ტერიტორია განისაზღვრა შემდეგი სოფლების შემადგენლობით: რეჩხი, ხოლეს ზემო ნაწილი, კოლმეურნეობა „წითელი არმიის" მიწების ფარგლებში; ცხირის ს/საბჭოს ტერიტორია განისაზღვროს შემდეგი სოფლების შემადგენლობით: ფართოლალი, ნამარკელი, ნკელკარი, და ხოლეს ქვემო ნაწილი „კომინტერნის" სახელობის კოლმეურნეობისა და „კომუნიზმის" სახელობის კოლმეურნეობის მიწებით.

ოჩემჩირის რაიონული აღმასკომის შუამდგომლობა ნაას ს/საბჭოს შექმნის შესახებ უარყოფილ იქნას იმ მოტივით, რომ ნაას ს/საბჭოს შექმნა 2 სოფლის შემადგენლობით, 71 გლეხური კომლით, ათარა-აფხაზურისა და ათარა-სომხურის ს/საბჭოების დაწვრილერთეულების გზით, მიზანშეწონილი არ არის, რის გამოც შუამდგომლობა უარყოფილია.[196]

---

[196] Абхазия: документы свидетельствуют.1937-1953. Сборник материалов. გვ. 495.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სოხუმის რაიონში ამტყელის, სვობოდის, ვარჩე-ბაბუშერის, წითელი-ბესლეთის და მაჭარის ს/საბჭოების შექმნის შესახებ და მათი დამტკიცება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სთხოვა.[197]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1939 წლის სექტემბერში დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება სოხუმის რაიონში ზახაროვკის (და არა ამტყელის, - ავტ.), სვობოდის, ბაბუშერის (და არა ვარჩე-ბაბუშერის, - ავტ.), წითელი ბესლეთის და მაჭარის ს/საბჭოების შექმნის შესახებ.[198]

წებელდის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები ამტყელი, გეორგიევსკოე, ჩინი, კრასნიცკოე, დიდი კრაევიჩი, ჩალი, ზახაროვკა, პლანტა, ბუდუკი, ბალი, დანძუთი, ამზარა და მათგან შეიქმნა ზახაროვკის ს/საბჭო ცენტრით სოფელ ზახაროვკაში;

გუმისტის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები სვობოდა, ზემო იაშტუხი, ქვემო იაშტუხი, წითელი იაშტუხი, ცუგუროვკა და მათგან შეიქმნა სვობოდის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ სვობოდაში;

დრანდის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ბაბუშერა, ვარჩე, კორასკი და მათგან შეიქმნა ბაბუშერის ს/საბჭო ცენტრით სოფელ ბაბუშერაში;

ეკატერინეს ს/საბჭოს გამოეყო სოფლები ზემო-ლიხდა, თავისუფალი გვარდა და ისინი მიეკუთვნა ვოლოდარსკის ს/საბჭოს, ვოლოდარსკის სასოფლო საბჭოს – სოფლები ქვედა-ბირცხა, ზედა-ბირცხა, წითელი ბესლეთი, ბესლეთი და კელასური, გულრიპშის სასოფლო საბჭოს – სოფელი მაჭარა და მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორია, მერხეულის ს/საბჭოს – სოფელი ქვემო-მერხეული და შეიქმნა შემდეგი ს/საბჭოები: ა) წითელი ბესლეთისა – სოფლების წითელი ბესლეთის, ქვემო ბირცხის, ზემო ბირცხისა და ბესლეთის შემადგენლობით ცენტრით სოფელ წითელ ბესლეთში; ბ) მაჭარისა – სოფლების კელასურის, ქვემო-მერხეულის, მაჭარისა და მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიის შემადგენლობით ცენტრით სოფელ მაჭარაში.[199]

ახალი ს/საბჭოების შექმნა დაკავშირებული იყო მხარის ეკონომიკურ განვითარებასთან, ინდუსტრიალიზაციასა და დასავლეთ საქართველოს მცირემინიანი რაიონებიდან კოლმეურნეობების გადმოსახლებასთან. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 13 სექტემბრის დადგენილებით, ოჩემჩირის რაიონის კინდღის ს/საბჭო ორ ნანილად გაიყო. იმის გამო, რომ კინდღის ს/საბჭოს ტერიტორიაზე არსებული გადმოსახლებული ბერიას სახელობის კოლმეურნეობა მნიშვნელოვნად იყო დაშორებული ადმინისტრაციული ცენტრიდან, რაც აფერხებდა კინდღის ს/საბჭოს მხრიდან კოლმეურნეობის მოსახლეობის ნორმალურ მომსახურებას, კინდღის ს/საბჭოდან გამოიყო კინდღის გადმოსახლებული კოლმეურნეობა და მის ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი ს/საბჭო, ახალი კინდღის სახელწოდებით.[200] აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იმავე წლის 20 სექტემბერს დაამტკიცა.[201]

უფრო ადრე, 1939 წლის აგვისტოში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 9 თებერვლის დადგენილება სოხუმის რაიონში ცხარა-შუბარის ს/საბჭოს გაუქმებისა და მასში შემავალი სოფლების: კესტანელუქ, შუბარა, არქა-მახალე, ხეტინა და ცხარა – ანდრეევსკოეს ს/საბჭოზე, ხოლო სოფელ ჩალთლუქის – ზემო-ეშერის ს/საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.[202]

იმავე 1939 წლის ივლისში აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ოჩემჩირის რაიონის ჩხორთოლის ს/საბჭოს გალის რაიონისათვის გადაცემის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველი მისი რაიონული ცენტრიდან დაშორება და ეკონომიკურად გალის რაიონთან მეტი მიზიდულობა გახდა. ამის შესაბამისად, იცვლებოდა გალისა და ოჩემჩირის რაიონების ადმინისტრაციული საზღვრები. საკითხი დასამტკიცებლად გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.[203]

---

[197] Ведомости Верховного Совета Абхазской АССР, 1939, №1, გვ. 3-5;

[198] რაც შეეხება ბაღმარანის ს/საბჭოს, ის 1943 წელს, ხოლო ფშაფის ს/საბჭო – 1975 წელს შეიქმნა.

[199] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1939 წ. №4-5, გვ. 13-14.

[200] Ведомости Верховного Совета Абхазской АССР, 1939, №4 (6), გვ. 9; Абхазия: документы свидетельствуют.1937-1953. Сборник материалов, გვ. 496.

[201] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1939 წ. №4-5, გვ. 14.

[202] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1939 წ. №4-5, გვ. 6.

[203] Ведомости Верховного Совета Абхазской АССР, 1939, №4 (6), გვ. 9; Абхазия: документы свидетельствуют.1937-1953. Сборник материалов, გვ. 495.

1939 წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 115 სასოფლო საბჭო იყო.[204]

1940 წლის თებერვალში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სოხუმისა და ოჩემჩირის რაიონების დაწვრილერთეულების შესახებ, მათგან მერხეულის რაიონის (სოფლებით: მერხეულის, მაჭარის, ეკატერინინსკოეს, ოლგინსკოეს, ნებელდის, აზანთის, ზახაროვკის, აჟარის, და ლათის, რაიონულ ცენტრად სოფ. მერხეული); დრანდის რაიონის (სოფლებით: დრანდის, გულრიფშის, ბაბუშერის, ვლადიმიროვსკის, ანასტასიევსკის, ცენტრით სოფელ მერხეულში – სოხუმის რაიონიდან და აძიუბჟის, არაგიჩის, ათარა-აფხაზურის, ათარა-სომხურის, ახალი კინდღის და კინდღის ს/საბჭოების, ცენტრით სოფელ დრანდაში – ოჩემჩირის რაიონიდან გამოყოფის შესახებ), რაიონების ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით.

სოხუმის რაიონიდან მერხეულისა და დრანდის რაიონების გამოყოფის შემდეგ, მის შემადგენლობაში დარჩა: ეშერა-აფხაზურის, ზემო ეშერის, მიხაილოვსკის, ანდრეევსკის, ფსხუს, ბეშკარდაშის, კონსტანტინოვსკის, ვოლოდაროვსკის, გუმისთის, თავისუფლების და წითელი ბესლეთის ს/საბჭოები, მასვე შეუერთდა ფსირცხის ს/საბჭო და ფსირცხის სადაბო საბჭო გუდაუთის რაიონიდან.[205]

დრანდისა და მერხეულის რაიონების გამოყოფამ ვერ გაამართლა, ამიტომ ისინი სასოფლო საბჭოების სახით ისევ სოხუმისა და ოჩემჩირის რაიონებს შეუერთეს.

1940 წლის 1 მაისისათვის აფხაზეთის ასსრ შედგებოდა 5 რაიონისაგან: გაგრის (ცენტრი ქ. გაგრა), გალის (ცენტრი ქ. გალი), გუდაუთის (ცენტრი ქ. გუდაუთა), ოჩემჩირის (ცენტრი ქ. ოჩემჩირე), სოხუმის (ცენტრი ქ. სოხუმი), და ერთი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისგან (ქ. სოხუმი).

1940 წლის 14 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეიქმნა „დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ტრანსკრიფციის კომისია". კომისიის წევრები იყვნენ: მ. ლ. ხაშბა (თავმჯდომარე), ა. კ. ბერია, გ. ი. ბერულავა, ნ. ე. გერია, დ. ი. გულია, ს. ნ. კოსტინა (მდივანი), ნ. ა. ლაბაშია, ა. მ. ჭოჭუა, ა. ლ. ხურცილავა.[206] კომისიის წარდგინებათა საფუძველზე 40-იან წლებში

---

[204] Ведомости Верховного Совета Абхазской АССР, 1939 г. №7, გვ. 7.

[205] საქართველოს სსს არქივი, ფ. 14, აღწ. 14, საქმე 403, ფურც. 203-204.

[206] **Пачулиа В. П. Советы Абхазской АССР в период Великой отечественной войны** (1941-1945 гг.). გვ. 15.

ხაშბა მუშნი ლავრენტის ძე (1903-1992 წწ.), აფხაზი მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. დაამთავრა მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი (1927 წ.), იყო აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1932-1933 წწ.), გაზ. „აფსნი ყაფშის" პასუხისმგებელი რედაქტორი (1932-1944 წწ.), აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი (1938 წ. 23 ნოემბერი – 1957 წ. 18 იანვარი), ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ალაშარას" (1955-1956 წწ.) და საბავშვო ჟურნალ „ამცაბზის" (1957-1975 წწ.) რედაქტორი.

ბერია ალექსანდრე კვათანის ძე, აფხაზეთის ასსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს ნეერი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საკანონმდებლო წინადადებების კომისიის თავმჯდომარე.

ბერულავა გიორგი ივანეს ძე (1905-1976 წწ.), ქართველი სამეურნეო მუშაკი და ფუნქციონერი. 30-იან წლებში იყო აფხაზეთის მინათმოქმედების სახალხო კომისარიატის უფროსი აგრონომი, თამბაქოს სამმართველოს უფროსი; აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე (1940 წ.); მინათმოქმედების სახკომი (1940-1946 წწ.); სოფლის მეურნეობის მინისტრი (1947-1950 წწ.); აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1954-1973 წწ.).

გერია ნიკოლოზ ერასტის ძე (1909-1985 წწ.), აფხაზი პედაგოგი, განათლების ორგანიზატორი. დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1937 წ.). 1937 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის დ. გულიას სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, შემდეგ იყო ქ. სოხუმის აფხაზური მე-10 საშუალო სკოლის დირექტორი, აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე (1940-1945 წწ.), განათლების მინისტრი (1954-1962 წწ.). რუსულიდან აფხაზურ ენაზე თარგმნიდა პოლიტიკურ ლიტერატურას. იყო რესპუბლიკური სატერმინოლოგო კომიტეტის წევრი და ბევრი გააკეთა აფხაზური ენის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკის (სამეცნიერო ტერმინების) შექმნისათვის. შეადგინა რიგი სახელმძღვანელოები აფხაზური სკოლებისათვის.

გულია დიმიტრი იოსების ძე (1874-1960 წწ.), აფხაზი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, აფხაზური მხატერული ლიტერატურის ფუძემდებელი, ფოლკლორისტი, ეთნოლოგი, ისტორიკოსი და ჟურნალისტი. სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში. ერთხანს მასწავლებლობდა. მას ეკუთვნის გამოკვლევები აფხაზეთის ისტორიის, ხალხური ზეპირსიტყვიერების, ეთნოგრაფიისა და ენის საკითხებზე. შეადგინა ქრესტომათიები და სახელმძღვანელოები აფხაზური სკოლებისათვის. 50-იან წლებში იყო აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

ლაბაშია ნიკანდრო ათონოგენის ძე, 1939-1940 წწ. იყო აფხაზეთის ასსრ საგზაო სამმართველოს უფროსი.

ჭოჭუა ანდრია მაქსიმეს ძე (1879-1965 წწ.), აფხაზი საზოგადო მოღვაწე, განმანათლებელი და განათლების ორგანიზატორი. 1901 წელს თბილისში დაამთავრა მებაღეობის სკოლა მებაღე-დეკორატორისა და მეღვინის სპეციალობით, 1905 წელს – თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი. 1905 წლიდან მუშაობდა მასწავლებლად. იგი კ. უშინსკისა და ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ პრინციპებზე შედგენილი აფხაზური ენის სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორია. აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი (1925-1931 წწ.); აფხაზური ენისა და ლიტერატურის აკადემიის ხელმძღვანელი (1925-1927 წწ.); სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი (1932-1934 წწ.); 1938 წლიდან იყო აფხაზური ენის სატერმინოლოგო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი (1939). აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1948-1958 წწ.) და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე (1953-1958 წწ.).

განხორციელდა დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ცვლილებები, რაც ძირითადად რუსულ, თურქულ, სომხურ და გერმანულ სახელწოდებებს შეეხო.[207]

სსრ კავშირ-გერმანიის 1941-1945 წწ. ომის დროს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილება განხორციელდა: შეიცვალა ზოგიერთი სასოფლო საბჭოს შემადგენლობა, შეიქმნა ახალი სასოფლო საბჭოები; ამასთანავე, შეიცვალა გეოგრაფიული სახელწოდებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1942 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება *ტყვარჩელისა* და *აკარმარის* მუშათა დასახლებების ოჩემჩირის რაიონის შემადგენლობიდან გამოყოფისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, *ტყვარჩელის*, შექმნის შესახებ.[208]

კოლმეურნეობის გადმოსახლებასთან იყო დაკავშირებული გუდაუთის რაიონში ახალი ს/საბჭოს შექმნა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 26 მაისის ბრძანებულებით, გუდაუთის რაიონის ლიხნის ს/საბჭოს გამოეყო დასახლებული პუნქტი აშიცრა (ტერიტორია, რომელიც ეკავა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას), იმავე რაიონის ზვანდრიფშის ს/საბჭოს – დასახლებული პუნქტი აფშდინი და დასახლებული პუნქტების ალაპაშხუ, არაშახუსა და ბაადარხუას ერთი ნაწილი (ტერიტორია, რომელიც ეკავა გადმოსახლებულ სტალინის სახელობისა და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებს). ისინი გააერთიანეს ერთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში და შექმნეს ახალი ს/საბჭო ცენტრით დასახლებულ პუნქტში აშიცრა, რომელსაც ახალ-სოფლის ს/საბჭო ეწოდა.[209]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 19 თებერვლის ბრძანებულებით დამტკიცდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება სოხუმის რაიონის ორ რაიონად – სოხუმის, ცენტრით ქალაქ სოხუმში და გულრიფშის, ცენტრით სოფელ გულრიფშში, გაყოფის შესახებ. ამის შესაბამისად, სუხუმის რაიონს გამოეყო და ახლად დაარსებულ გულრიფშის რაიონს მიეკუთვნა შემდეგი ს/საბჭოები: აზანთის, აჟარის, ანასტასიევკის, ბაბუშერის, გულრიფშის, დრანდის, ვლადიმიროვკის, ზახაროვკის, ლათის, მაჭარის, მერხეულის, ოლგინსკოესა და წებელდისა; სუხუმის რაიონის შემადგენლობაში დარჩა შემდეგი ს/საბჭოები: ანდრეევკის, ბეშკარდაშის, გუმისთის, ეკატერინოვკის, ეშერის, ვოლოდაროვკის, ზემო-ეშერის, კონსტანტინოვკის, მიხაილოვკის, სვობოდის, ფსხუს და წითელი ბესლეთის.[210] ამდენად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში უკვე 6 რაიონი იყო: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, სოხუმის, ოჩემჩირის.

სოხუმის რაიონის სოხუმისა და გულრიფშის რაიონებად გაყოფის გამო მათ შორის საზღვრის დაზუსტების საკითხი დადგა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 6 მარტის დადგენილებით, გულრიფშის რაიონის მერხეულის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ბაღმარანი, სოხუმის რაიონის ეკატერინოვკის ს/საბჭოს – სოფელი ალექსანდროვკა, გულრიფშის რაიონის ოლგინსკოეს ს/საბჭოს – სოფელი პოლტავო-ალექსანდროვკა და შეიქმნა ახალი ს/საბჭო გულრიფშის რაიონის შემადგენლობაში, რომელსაც ბაღმარანის ს/საბჭო ეწოდა; სოხუმის რაიონის ვოლოდაროვსკის ს/საბჭოდან გამოიყო სოფლები თავისუფალი გვარდა და ზემო ლინდა და სოხუმის რაიონის ეკატერინოვკის სასოფლო საბჭოს მიეკუთვნა; გულრიფშის რაიონის მაჭარის ს/საბჭოს გამოეყო სოფელ კელასურის ნაწილი მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე და სოხუმის რაიონის ვოლოდაროვსკის ს/საბჭოს შეუერთდა.[211]

იმავე ხანებში რიგ სოფლებს და სასოფლო საბჭოებს სახელები შეეცვალა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 9 აპრილის დადგენილებით: ვოლოდაროვსკის ს/საბჭოს სოფელ გნადენბერგს ძიკუტა ეწოდა, ნაიდორფს – ახალსოფელი, ვოლოდაროვკის ს/საბჭოს – ახალსოფლის

---

[207] დ. ჯოჯუა, აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში. 1938-1990 წწ., ნიგნ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, გვ. 329.

[208] газ. «Советская Абхазия», №86, 1942 г. 11 апреля.

[209] Абхазия: документы свидетельствуют.1937-1953. Сборник материалов, გვ. 497; Пачулия В. П. Советы Абхазской АССР в период Великой отечественной войны (1941-1945 гг.), გვ. 15.

[210] საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 28, ფურც. 33; გაზ. „კომუნისტი", №42, 1943 წ. 20 თებერვალი.

[211] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 28, ფურც. 67.

ს/საბჭო.[212] აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 17 ივნისის დადგენილებით: გაგრის რაიონის სოფელ პილენკოვოს განთიადი ეწოდა, პილენკოვოს ს/საბჭოს – განთიადის ს/საბჭო.[213]

პილენკოვო დასახლებულ პუნქტს XIX საუკუნის 70-იან წლებში შეერქვა გენერალ-მაიორ დიმიტრი პილენკოს, 1867-1876 წწ. შავი ზღვის ოკრუგის პირველი უფროსის, პატივსაცემად. 40-იან წლებში განიხილებოდა სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის აფხაზური სახელწოდებაც. საბოლოოდ, არჩევანი „განთიადზე" შეჩერდა იმ მოტივით, რომ ესაა ლამაზი, კეთილხმოვანი სახელწოდება, კარგად ტრანსკრიბირდება სხვა ენებზე, აქვს მკაფიო ხმოვანება და და ადვილი დასამახსოვრებელია.[214]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1943 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფლებისა და სასოფლო საბჭოების გადარქმევის შესახებ: სოფელ ანასტასიევკას ეწოდა განახლება და ანასტასიევსკის ს/საბჭოს – განახლების ს/საბჭო; სოფელ ვლადიმიროვკას – კოდორი და ვლადიმიროვკის ს/საბჭოს – კოდორის ს/საბჭო; სოფელ ოლგინსკოეს – ოქტომბერი და ოლგინსკოეს ს/საბჭოს – ოქტომბრის სასოფლო საბჭო.[215]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1943 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება, რომლის თანახმადაც გუდაუთის რაიონის სოფელ აშიცრას ეწოდა სოფელი ახალ-სოფელი და შეიქმნა ახალი ს/საბჭო ცენტრით სოფელ ახალ-სოფელში, ახალ-სოფლის ს/საბჭოს სახელწოდებით.[216]

1943 წლის დეკემბერში სოხუმის რაიონის სოფელ ბეშკარდაშს ეწოდა მთისუბანი და ბეშკარდაშის ს/საბჭოს – მთისუბნის ს/საბჭო; სოფელ ეკატერინოვკას – კელასური და ეკატერინოვკის ს/საბჭოს – კელასურის ს/საბჭო; სოფელ მიხაილოვკას – შრომა და მიხაილოვკის ს/საბჭოს – შრომის ს/საბჭო.[217]

1944 წლის იანვარში გაგრის რაიონის სოფელ ხრისტოფოროვოს ეწოდა ბაღნარი და ხრისტოფოროვოს ს/საბჭოს – ბაღნარის ს/საბჭო; სოხუმის რაიონის სოფელ კონსტანტინოვკას – ოდიში და კონსტანტინოვკის ს/საბჭოს – ოდიშის ს/საბჭო, იმავე რაიონის სოფელ ანდრეევკას – ახალშენი და ანდრეევკის ს/საბჭოს – ახალშენის ს/საბჭო; გულრიფშის რაიონის სოფელ ზახაროვკას – ხევი და ზახაროვკის ს/საბჭოს – ხევის ს/საბჭო.[218]

1944 წლის ივნისში გაგრის რაიონის სალმეს ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ერმოლოვსკს, 1941-1945 წწ. ომის გმირის გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის პატივსაცემად, ლესელიძე ეწოდა, ხოლო სალმეს ს/საბჭოს – ლესელიძის ს/საბჭო.[219] ამ შემთხვევაში მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ გენერალი კონსტანტინე ლესელიძე (1903-1944 წწ.) ომის დროს კავკასიის მისადგომებს იცავდა, მისი შენაერთის სარეზერვო ნაწილები აფხაზეთში იყო განლაგებული. გენერალმა ლესელიძემ თავი გამოიჩინა კავკასიონის ქედის ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილებზე გამართული ბრძოლებისას და სრულიად ახალგაზრდა, 1944 წლის 21 თებერვალს, გარდაიცვალა.[220]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის მერვე სესიამ 1945 წლის 1 აგვისტოს მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შესაბამისი ცვლილება შეიდა. კონსტიტუციის მე-20 მუხლი ასეთი სახით ჩამოყალიბდა: „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩემჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონის შემადგენლობაში არ შედიან.[221]

1945 წლის ნოემბერში ოჩემჩირის რაიონის აძუბჟას ს/საბჭოს გამოეყო სოფლები: ახალდაბა,

---

[212] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 28, ფურც. 154

[213] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 28, ფურც. 4.

[214] გ. ფიფია, აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხისათვის, გაზ. „სახალხო განათლება", №17, 1990 წ. 26 აპრილი.

[215] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 30. ფურც. 159.

[216] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 30. ფურც. 268.

[217] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 30, ფურც. 273; **Абхазия: документы свидетельствуют.1937-1953. Сборник материалов**, გვ. 499.

[218] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 30, ფურც. 298.

[219] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1944 წ. 4 ივნისი; **Абхазия: документы свидетельствуют.1937-1953. Сборник материалов**, გვ. 500.

[220] გ. ფიფია, აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხისათვის, გაზ. „სახალხო განათლება", №17, 1990 წ. 26 აპრილი.

[221] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 99, ფურც. 20-22.

აგარაკი, წყურგილი, ბალანი და მათგან შეიქმნა: ახალდაბის ს/საბჭო ცენტრით სოფელ ახალდაბაში; აგარაკის ს/საბჭო სოფლებით: აგარაკი, წყურგილი და ბალანი ცენტრით სოფელ აგარაკში; სოფელს, რომლის ტერიტორიაზეც არსებობდა ოჩემჩირის რაიონის ტამიშის ს/საბჭოში შემავალი მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, მიეკუთვნა სახელი ცაგერა; ოჩემჩირის რაიონის ტამიშის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ცაგერა და ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და მათგან შეიქმნა ცაგერას ს/საბჭო ცენტრით სოფელ ცაგერაში.[222]

დასავლეთ საქართველოს მცირემინიანი რაიონებიდან სასოფლო-სამეურნეო ჩასახლების პროცესი სსრ კავშირ-გერმანიის ომის დროს შეწყდა. ომის დამთავრების შემდეგ, საქართველოს სსრ მთავრობის 1945 წლის 12 ივნისის დადგენილებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ეს პროცესი განახლდა.[223] ამ პროცესთან იყო დაკავშირებული 1945 წელს ცაგერას ს/საბჭოს შექმნა.

1947 წლის მარტში, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული დასახლებული პუნქტების სახელწოდებების ტრანსკრიფციის კომისიის ახალი შემადგენლობა. კომისიაში შევიდნენ: მუშნი ხაშბა (თავმჯდომარე), კომისიის წევრები: ნიკანდრო ბასილაია, ხუხუტ ბღაჟბა, ნიკოლოზ ვეკუა, დიმიტრი გულია, ბაგრატ ჯანაშია, სერგო სიგუა, ვერა ხარაზია, ანდრია ჭოჭუა.[224]

---

[222] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 86, ფურც. 22.

[223] მ. ნათმელაძე, დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში, გვ. 44.

[224] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов. გვ. 500-501.

ბასილაია ნიკანდრო ერასტის ძე (1906-1986 წწ.), ქართველი ენათმეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1932-1966 წლებში იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, 1967-1969 წწ. – ამავე ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე; სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში (1940-1947 წწ.). ავტორია ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოების.

ბღაჟბა ხუხუტ სოლომონის ძე (1914-2000 წწ.), აფხაზი ენათმეცნიერი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1937 წ.). ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1969 წ.). იკვლევდა აფხაზურ ენას, ფოლკლორს, მხატვრულ ლიტერატურას. 1933 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა მისი გამოკვლევები აფხაზური ლიტერატურისა და ფოლკლორის საკითხებზე. სხვადასხვა დროს იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1945-1948 წწ.), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე, შემდეგ – დირექტორი (1953-1966 წწ.).

ვეკუა ნიკოლოზ გიორგის ძე (1881-1967 წწ.), ქართველი პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. სკოლის დამთავრების შემდეგ, 1900 წელს დაამთავრა ერთწლიანი სამასწავლებლო კურსები და მასწავლებლის ნოდება მიიღო. 1900-1905 წწ. ზუგდიდის მაზრის სოფლებში, ხოლო 1905 წლიდან – აფხაზეთის სოფლებში მუშაობდა მასწავლებლად. 1921 წლიდან მონაწილეობდა ახალი სკოლის ჩამოყალიბებაში. სხვადასხვა დროს იყო სკოლის დირექტორი ქ. სოხუმში, განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორი. როგორც გამოცდილი პედაგოგი, მონაწილეობდა ახალი პროგრამებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნაში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1940 წლიდან მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო პედინსტიტუტში. ავტორია სახელმძღვანელოებისა რუსულ ენასა და გეოგრაფიაში ეროვნული სკოლებისათვის.

ჯანაშია ბაგრატ პეტრეს ძე (1901-1978 წწ.), ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი (1955 წ.). დაამთავრა სოხუმის მთიელთა სკოლა, ხოლო შემდეგ – სოხუმის სამასწავლებლო სემინარია (1920 წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი (1930 წ.). მუშაობდა აფხაზეთის სხვადასხვა სკოლაში მასწავლებლად, სოხუმის სახელმწიფო პედინსტიტუტში აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1937 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში. მისი კვლევის ძირითადი სფერო იყო აფხაზური ენის ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია. ავტორია „აფხაზურ-ქართული ლესიკონის" (თბილისი, 1954 წ.), ერთ-ერთი ავტორია „რუსულ-აფხაზური ლექსიკონის" (სოხუმი, 1964 წ.); მონაწილეობდა აფხაზური სკოლებისთვის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შედგენაში; მასვე ეკუთვნის გამოკვლევა მევენახეობა-მეღვინეობის აფხაზური ლექსიკის შესახებ.

სიგუა სერგო ნოეს ძე (დ. 1901 წ.), ქართველი პედაგოგი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი (1962 წ.), პროფესორი. პედაგოგიური საქმიანობა 1920 წლიდან დაიწყო დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. 1934 წ. დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა თბილისის სკოლებში მასწავლებლად, იყო სკოლის დირექტორი, სახალხო განათლების განყოფილების გამგე; სახალხო განათლების სახალხო კომისარიატის ბავშვთა სახლების სამმართველოს უფროსი; თსუ დაუსრებელი განყოფილების დირექტორი. 1936 წლიდან თბილისის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელია. 1944 წლიდან იყო აფხაზეთის ასსრ განათლების სახალხო კომისარი (1946 წლიდან მინისტრი). იმავდროულად, 1947 წლიდან, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1959 წლიდან პედაგოგიკის კათედრის გამგეა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგურ ინსტიტუტში. იკვლევდა საქართველოში განათლებისა და ქართული პედაგოგიკის ისტორიის საკითხებს.

ხარაზია ვერა ნიკოლოზის ასული (1896-1967 წწ.), აფხაზი პედაგოგი, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სასკოლო საქმის ორგანიზატორი. დაამთავრა ბოდბის (სიღნაღის მაზრა) ქალთა საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სამწლიანი პედაგოგიური კურსები. 1915 წლიდან მუშაობდა გუდაუთის უბნის სოფლების – ლიხნის, ააცის, ჯირხვის, ზვანდრიფშის სკოლებში მასწავლებლად. 1925-1931 წწ. იყო გუდაუთის ცხრაწლიანი სკოლის მასწავლებელი, 1931 წლიდან სოხუმის აფხაზური საშუალო სკოლის მასწავლებელი. თავი გამოიჩინა როგორც ნოვა-

1948 წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სახელები შეეცვალა რიგ სოფლებსა და სასოფლო საბჭოებს, განხორციელდა სახელწოდებების ტრანსკრიფციული ცვლილებები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1948 წლის 7 აგვისტოს ბრძანებულებით დაამტკიცა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება ზოგიერთი ქალაქის სახელწოდების ტრანსკრიფციის შესახებ. ბრძანებულების თანახმად, უნდა დაიწეროს *ოჩამჩირე – ოჩემჩირე*-ს ნაცვლად, *გუდაუთა – გუდაუთი*-ს ნაცვლად, რუსულ ენაზე *Гагра – Гагры*-ს ნაცვლად.[225]

სექტემბერში სახელები შეეცვალა რიგ სოფლებსა და სასოფლო საბჭოებს:

ოჩამჩირის რაიონში: 1. სომხური ათარას ს/საბჭოს სოფელ ასარ-რიმვას ეწოდა მეორე ათარა, ხოლო სომხური ათარას ს/საბჭოს – მეორე ათარას ს/საბჭო, ცენტრით მეორე ათარაში; აფხაზური ათარას ს/საბჭოს სოფელ ნაბჟოუს – ათარა, ხოლო აფხაზური ათარას ს/საბჭოს – ათარას ს/საბჭო; მეორე ათარას ს/საბჭოს სოფელ სომხურ ნაას – ნაა; მეორე ათარას ს/საბჭოს სოფელ კირქლუქს – ოტორონჯია.

გულრიფშის რაიონში: აზანთის ს/საბჭოს სოფელ სულის – კირნათი; აზანთის ს/საბჭოს სოფელ ქვემო ფუნდუკლუკს – ქვემო თხილოვანი; აზანთის ს/საბჭოს სოფელ ზემო ფუნდუკლუკს – ზემო თხილოვანი; კოდორის ს/საბჭოს სოფელ ესტონკას – ბაღნაშენი; ხევის ს/საბჭოს სოფელ ასლანგიარს – მთიანი; ხევის ს/საბჭოს სოფელ კრასნიცკოეს – ცაცხვნარი; ხევის ს/საბჭოს სოფელ დიდ კრაევიჩს – შუამთა; ხევის ს/საბჭოს სოფელ დანძუთს – კაკლიანი; ლათის ს/საბჭოს სოფელ ჩემბერგს – კადარი; ლათის ს/საბჭოს სოფელ ხიზარუხას – ნეძონა; ლათის ს/საბჭოს სოფელ ზემო ბებუთოვკას – ზენობანი; ლათის ს/საბჭოს სოფელ ქვემო ბებუთოვკას – ქვენობანი; განახლების ს/საბჭოს სოფელ ნიკოლაევკას – ჭალა; განახლების ს/საბჭოს სოფელ სომხურ ნაას – ნაა; ოქტომბრის ს/საბჭოს სოფელ ქართულ პოლტავას – მარანი; ოქტომბრის ს/საბჭოს სოფელ პოლტავო-კელასურს – კელასური; წებელდის ს/საბჭოს სოფელ ქვემო ლემსას – ქვემო წყარო; წებელდის ს/საბჭოს სოფელ ზამაისკოეს – მაისი; წებელდის ს/საბჭოს სოფელ პატარა კრაევიჩს – წიფლოვანი; წებელდის ს/საბჭოს სოფელ ბოღაზს – ველი; წებელდის ს/საბჭოს სოფელ კავაქლუქს – ოჭანდარე;

სოხუმის რაიონში: წითელ ბესლეთის ს/საბჭოს – ბესლეთის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ აბუაყვაში; ახალშენის ს/საბჭოს სოფელ დერეკეის – მთისკალთა; ახალშენის ს//საბჭოს სოფელ რეპერს – სათავე; ახალშენის ს/საბჭოს სოფელ კესტანელუქს – ოჭუბურე; მთისუბნის ს/საბჭოს სოფელ ჩევიზლუქს – ტბეთი; მთისუბნის ს/საბჭოს სოფელ აბაზადაღს – ქვაღონი; მთისუბნის ს/საბჭოს სოფელ სემენდლის – წყურგილი; კელასურის ს/საბჭოს სოფელ მარინსკოეს – ლეკუხონა; შრომის ს/საბჭოს სოფელ ხაბიუკს – ზეგანი; შრომის ს/საბჭოს სოფელ პიპერანტოს – ჩეგოლა; თავისუფლების ს/საბჭოს სოფელ ცუგუროვკას – გორანა; შრომის ს/საბჭოს სოფელ ასტეროვკას – ამზარა.

გუდაუთის რაიონში: კავაქლუქის ს/საბჭოს სოფელ კავაქლუქს – აგარაკი; ხოლო კავაქლუქის ს/საბჭოს – აგარაკის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ აგარაკში; სომხური ანუხვას ს/საბჭოს – მეორე ანუხვას ს/საბჭო, ცენტრით სოფელ მეორე ანუხვაში; დაბა ფსირცხას – დაბა ახალი ათონი, ხოლო ფსირცხის სადაბო საბჭოს – ახალი ათონის სადაბო საბჭო; აბღარხუქის ს/საბჭოს სოფელ ლადარიაა-რჩაბლას – აბღარხუქი; მეორე ანუხვას ს/საბჭოს სოფელ ჩობანლუქს – საჯოგე; მეორე ანუხვას ს/საბჭოს სოფელ მესამე ქარხანას – გოგირდწყალი; მეორე ანუხვას ს/საბჭოს სოფელ კალმუთს – ბამბუკოვანი.

გაგრის რაიონში: კალდახვრის ს/საბჭოს სოფელ აბგაბორთას – ბზიფი, ხოლო კალდახვრის ს/საბჭოს – ბზიფის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ ბზიფში; მიხელრიფშის ს/საბჭოს სოფელ ყაზარმას – სალხინო, ხოლო მიხელრიფშის ს/საბჭოს – სალხინოს ს/საბჭო; მეჰადირის ს/საბჭოს სოფელ მეჰადირს – ნაკადული, ხოლო მეჰადირის ს/საბჭოს – ნაკადულის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ ნაკადულში; სალხინოს ს/საბჭოს სოფელ ტროიცკოეს – ჩანჩქერი; სალხინოს ს/საბჭოს სოფელ შურინოვკას – ცოდნისკარი; სალხინოს ს/საბჭოს სოფელ დემერჩენცს – ფსოუსხევი; ნაკადულის ს/საბჭოს სოფელ როგოტინოს – ვაშლოვანი; ნაკადულის ს/საბჭოს სოფელ ევდოკიმოვკას – ზეგანი; ნაკადულის ს/საბ-

---

ტორმა პედაგოგმა, რომელიც სრულყოფილად ფლობდა სწავლებისა და მოსწავლეთა აღზრდის მეთოდიკას. მან მოამზადა დაწყებითი სკოლების ასობით მასწავლებელი. 1941-1943 წწ. იყო სკოლების თანამშრომელთა პროფკავშირების საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, 1946 წლიდან – აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

[225] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231, ფურც. 8.

ჭოს სოფელ ვოსემსოტსკოეს – მუხნარი; ნაკადულის ს/საბჭოს სოფელ ოთლუქს – კლდიანი; განთიადის ს/საბჭოს სოფელ ბარონოვოს – ნალკოტი; განთიადის ს/საბჭოს სოფელ ერმოლოვკას – ხეივანი; ბაღნარის ს/საბჭოს სოფელ ზემო კოვალევსკოეს – ველი; ბაღნარის ს/საბჭოს სოფელ მანაქლუქს – კლდეკარი; ხაშუფსის ს/საბჭოს სოფელ კოვალევსკოეს – ვაკე; კოლხიდის ს/საბჭოს სოფელ ოტრადნოეს – სიხარული; კოლხიდის ს/საბჭოს სოფელ სომხურ-ხეობას – ზემო-ხევი; ახალგაგრის ს/საბჭოს სოფელ ხუტორს – დაბა; ბზიფის ს/საბჭოს სოფელ სომხურ-ხეობას – სოფელი იფნარი;

იმავე ბრძანებულების მეორე პუნქტით, გაერთიანდა, როგორც უკვე გაერთიანებული, შემდეგი სოფლები:

გალის რაიონში: ცხირის ს/საბჭოსთან სოფლები მეორე ქვემო-ცხირი და პირველი ქვემო-ცხირი და ეწოდა სოფელი ცხირი.

გულრიფშის რაიონში: აზანთის ს/საბჭოს სოფლები იაიკინლუქი და ივთერლუქი და ეწოდა სოფელი გორიანი; გულრიფშის ს/საბჭოს სოფლები ივანოვო-ალექსეევკა, ორდუ, კუჩუკსტამბული და ნახალოვკა და ეწოდა ფარნაუთი; ხევის ს/საბჭოს სოფლები ჩინ, ჩალ და ბალი და ეწოდა სოფელი ჯამპალი; განახლების ს/საბჭოს სოფლები ვიდებარი, ალანოვკა და ტეხი და ეწოდა სოფელი ტეხი; წებელდის ს/საბჭოს სოფლები ბაზარ-ხაჩტური, მეგრელოვკა და ეწოდა სოფელი წებელდა; ნებელდის ს/საბჭოს სოფლები ზემო ლემსა და შუა ლემსა და ეწოდა სოფელი ზემო წყარო; წებელდის ს/საბჭოს სოფლები კომინტერნოვსკოე და ქესიანოვკა და ეწოდა სოფელი მზისეული.

სოხუმის რაიონში: ახალშენის ს/საბჭოს სოფლები არქა-მახალე, ცხარა, შუბარა და ხეტინა და ეწოდა სოფელი იმერწყალი.

გუდაუთის რაიონში: დურიფშის ს/საბჭოს სოფლები ქვემო აბგარა და ზემო აბგარა და ეწოდა სოფელი აბგარა; დურიფშის ს/საბჭოს სოფლები ქვემო ტვანაა-რხუ და ზემო ტვანაა-რხუ და ეწოდა სოფელი ტვანა; მწარის ს/საბჭოს სოფლები ართინუსთა, კოჩკანიანოვკა, პაპასცესკიული და ხაჩტური და ეწოდა სოფელი შუამთა; მწარის ს/საბჭოს სოფლები სანაპცაცკიული და ატნაპცაცკიული და ეწოდოს სოფელი ქვემო-მწარა; ფსირცხის ს/საბჭოს სოფლები ცენტრალნოე, კომსომოლსკოე და კრასნოე და ეწოდა სოფელი ფსირცხა; ფსირცხის ს/საბჭოს სოფლები მინგრელსკოე და გრეჩესკოე და ეწოდა სოფელი ციტრუსოვანი; ფსირცხის ს/საბჭოს სოფლები ოქტიაბრსკოე და სოვეტსკოე და ეწოდა სოფელი ოქტომბერი.

გაგრის რაიონში: სალხინოს ს/საბჭოს სოფლები დერეკეი და ღაშინთაქი და ეწოდა სოფელი წაბლიანი.[226]

ამრიგად, 1948 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 63 დასახლებული პუნქტის სახელწოდებაში ნაწილობრივი ან სრული ცვლილება მოხდა. 1943-1948 წლებში აფხაზეთში მასიურად შეიცვალა უცხოური – რუსული, სომხური, გერმანული, თურქული, ბერძნული გეოგრაფიული სახელწოდებები, ძირითადად ქართული ან აფხაზური ტოპონიმებით. ის ტოპონიმები, რომლებიც შეიცვალა, არ იყო ძველი გეოგრაფიული სახელწოდებები და XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის კოლონიზაციისა და ეთნოდემოგრაფიული ინფილტრაციის შედეგს წარმოადგენდა.[227]

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1949 წლის ცნობარის თანახმად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 6 ადმინისტრაციული რაიონი: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის; 1 დაბა, 118 სასოფლო საბჭო, 543 სოფელი: გაგრის (12 ს/საბჭო, 52 სოფელი), გალის (25 ს/საბჭო, 94 სოფელი), გუდაუთის (1 დაბა, 23 ს/საბჭო, 114 სოფელი), გულრიფშის (14 ს/საბჭო, 101 სოფელი), ოჩამჩირის (32 ს/საბჭო, 118 სოფელი), სოხუმის (12 ს/საბჭო, 64 სოფელი).[228]

50-იან წლებში აფხაზეთში კვლავ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები მოხდა: შეიქმნა, გაუქმდა რაიონები, ქალაქის ტიპის დასახლებები; შეიცვალა ზოგიერთი ს/საბჭოს ცენტრი, გამოიყო სოფლები ერთი ს/საბჭოდან და შეუერთდა სხვა ს/საბჭოს; შეიცვალა დასახლებული პუნქტების სახელწოდებები.

---

[226] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231, ფურც. 10-15; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ. №1-2 (14-15), გვ. 30-34.

[227] დ. ჯოჯუა, აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში. 1938-1990 წწ., გვ. 330.

[228] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის. თბ., 1949, გვ. 120-134.

1950 წლის ივნისში *გაგრის რაიონის* ცივწყაროს ს/საბჭოს გამოეყო სოფელი იმერხევი და იმავე რაიონის ხაშუფსის ს/საბჭოს მიეკუთვნა; *გულრიფშის რაიონის* წებელდის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ყადა და იმავე რაიონის ხევის ს/საბჭოს მიეკუთვნა; *გულრიფშის რაიონის* გულრიფშის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ზემო გულრიფში და იმავე რაიონის მაჭარის ს/საბჭოს სოფელ ზემო გულრიფშს შეუერთდა; *ოჩამჩირის რაიონის* ილორის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი დოდღანი და იმავე რაიონის ბესლახუბის ს/საბჭოს მიეკუთვნა; *ოჩამჩირის რაიონის* ათარის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ნაა და იმავე რაიონის მეორე ათარის ს/საბჭოს მიეკუთვნა; *ოჩამჩირის რაიონის* აგარაკის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები წყურგილი და ბალანი და იმავე რაიონის ახალდაბის ს/საბჭოს მიეკუთვნა; *ოჩამჩირის რაიონის* არაკიჩის ს/საბჭო გაუქმდა, ხოლო სოფელი არაკიჩი იმავე რაიონის აგარაკის ს/საბჭოს მიეკუთვნა.[229]

იმავე წლის აგვისტოში აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ამიერკავკასიის რკინიგზის ზოგიერთი გაჩერებისა და დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლის შესახებ. სახელწოდება შეეცვალა შემდეგ დასახლებულ პუნქტებს:

გაგრის რაიონში: ცივწყაროს ს/საბჭოს, მისი ცენტრის სახელის შესაბამისად, ეწოდა თხემის ს/საბჭო; ახალი გაგრის ს/საბჭოს სოფელ ალპურს – ახალი გაგრა; ლძაანის ს/საბჭოს სოფელ რაფიწას – ლძაანი, კოლხიდის ს/საბჭოს სოფელ საქართველოს ხეობას – კოლხიდა;

გუდაუთის რაიონში: ააცის ს/საბჭოს სოფელ ბაკლანოვკას – ააცი, აჭანდარის ს/საბჭოს სოფელ მიდარას – აჭანდარა, ბლაბურხვის ს/საბჭოს სოფ. აგვავერას – ბლაბურხვა, ჯირხვის ს/საბჭოს სოფ. ხუდარაას – ჯირხვა, დურიფშის ს/საბჭოს სოფელ თარკილაარჰაბლას – დურიფში, ზვანდრიფშის ს/საბჭოს სოფელ არაშახუს – ზვანდრიფში, ზემო-ანუხვის ს/საბჭოს სოფელ აგწას – ზემო-ანუხვა, კალდახვარის ს/საბჭოს სოფელ ჯაფხუნს – კალდახვარა, მწარის ს/საბჭოს სოფელ შუამთას – მწარა, ოთხარის ს/საბჭოს სოფელ ძაღრიფშს – ოთხარა, ხოფის ს/საბჭოს სოფელ ათვახუს – ხოფი, ლიხნის ს/საბჭოს სოფელ ბამბორას – ლიხნი.

სოხუმის რაიონში: ზემო-ეშერის ს/საბჭოს სოფელ ფიშთას – ზემო-ეშერა.

ოჩამჩირის რაიონში: გუფის ს/საბჭოს სოფელ ეშქითს – გუფი, კოჩარის ს/საბჭოს სოფელ ქეთევანს – კოჩარა, ოტაფის ს/საბჭოს სოფელ წყარხმულს – ოტაფი, პირველი ბედიის ს/საბჭოს სოფელ მეორე კოპიტს – პირველი ბედია, პირველი ბედიის ს/საბჭოს სოფელ პირველ კოპიტს – კოპიტი, ფოქვეშის ს/საბჭოს სოფელ აგუაას – ფოქვეში, ტყვარჩელის ს/საბჭოს სოფელ აბგიგდარას – ტყვარჩელი, თხინის ს/საბჭოს სოფელ აგუუაას – თხინა, ჭლოუს ს/საბჭოს სოფელ ლაგანიაა-რხუს – ჭლოუ, არასაძიხის ს/საბჭოს სოფელ გუფ-აგუს – არასაძიხი, არასაძიხის ს/საბჭოს სოფ. არასაძიხს – პირველი არასაძიხი, აგარაკის ს/საბჭოს სოფელ არაკიჩს – ზემო აგარაკი.

გალის რაიონში: დიხაზურგის ს/საბჭოს სოფელ დიდ ნიფურს – დიხაზურგა, მეორე ბედიის ს/საბჭოს სოფელ სანარდოს – მეორე ბედია, მუხურის ს/საბჭოს სოფელ საშარანგიოს – მუხური, ნაბაკეევის ს/საბჭოს სოფელ გაბარს – ნაბაკეევი, პირველი გალის ს/საბჭოს სოფელ სამქვარს – პირველი გალი, საბერიოს ს/საბჭოს სოფელ დაურჩქელას – საბერიო, სიდის ს/საბჭოს სოფელ ჭანდარს – სიდა, თაგილონის ს/საბჭოს სოფელ შუაუბანს – თაგილონი, ჭუბურხინჯის ს/საბჭოს სოფელ ნალამუს – ჭუბურხინჯი, ჩხორთოლის ს/საბჭოს სოფელ არადუქეას – ჩხორთოლი.[230] აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

1951 წლის აპრილში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება, რომლის თანახმადაც, *გუდაუთის რაიონის* ბაკლანოვკის ს/საბჭო გაუქმდა, ხოლო სოფელი ბაკლანოვკა ბაკლანოვის სახელწოდებით ამავე რაიონის ააცის ს/საბჭოს მიეკუთვნა; *ოჩამჩირის რაიონის* ტამიშის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ცხენისწყალი და ამავე რაიონის ცაგერის ს/საბჭოს მიეკუთვნა; *ოჩამჩირის რაიონის* აძუბჟის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ოჯიბინე და გულრიფშის რაიონის ბაბუშარის ს/საბჭოს მიეკუთვნა.[231]

აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1951 წლის ცნობარის თანახმად,

---

[229] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1950 წ. №18.

[230] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов, გვ. 505-508.

[231] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1951 წ. №2, გვ. 17-18.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 6 ადმინისტრაციული რაიონი: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის; 1 დაბა, 117 სასოფლო საბჭო, 533 სოფელი: გაგრის (12 ს/საბჭო, 55 სოფელი), გალის (25 ს/საბჭო, 96 სოფელი), გუდაუთის (1 დაბა, 23 ს/საბჭო, 111 სოფელი), გულრიფშის (14 ს/საბჭო, 101 სოფელი), ოჩამჩირის (31 ს/საბჭო, 115 სოფელი), სოხუმის (12 ს/საბჭო, 61 სოფელი).[232]

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 5 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოში თბილისისა და ქუთაისის ოლქები შეიქმნა. თბილისის ოლქში შევიდა აღმოსავლეთ საქართველოს 30 ადმინისტრაციული რაიონი, ქუთაისის ოლქში – დასავლეთ საქართველოს 29 ადმინისტრაციული რაიონი. ავტონომიური ერთეულები – აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, – ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად დარჩა. ოლქებად დაყოფამ ვერ გაამართლა და მალევე, 1953 წლის მაისში, გაუქმდა.[233]

1952 წლის თებერვალში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება, რომლის თანახმადაც *ოჩამჩირის რაიონის* მერკულის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი არადუ და მოქვის ს/საბჭოს სოფელ არადუს შეუერთდა; მერკულის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ჯუყმური და ამავე რაიონის მოქვის ს/საბჭოს მიეკუთვნა.[234] იმავე წლის აპრილში ზუგდიდის რაიონის კოკის ს/საბჭოს გამოეყო დასახლებული პუნქტი ხურჩა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის ს/საბჭოს მიეკუთვნა.[235] მაისში გალის რაიონის ნაბაკევის ს/საბჭოს სოფელ მარჩხაფონს განახლება ეწოდა; გალის რაიონის ნაბაკევის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი განახლება, ხოლო გაგიდის ს/საბჭოს – სოფელი ოკვინორე და მათგან შეიქმნა განახლების ს/საბჭო ცენტრით სოფელ განახლებაში.[236] იმავე მაისში, *გაგრის რაიონის* ლესელიძის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი კულტუბანი და ამავე რაიონის განთიადის ს/საბჭოს მიეკუთვნა.[237]

ივლისში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 19 ივლისის წარდგინება რიგი სასოფლო საბჭოებისა და სოფლების სახელწოდებების შეცვლის თაობაზე.

გაგრის რაიონში: ახალგაგრის ს/საბჭოს ეწოდა დაბის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ დაბაში; ცივნყაროს ს/საბჭოს – კაკლიანის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ კაკლიანში; ლძაანის ს/საბჭოს სოფელ აჯრას – სოფელი ლძაანი; ლძაანის ს/საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნა სოფელ რაფინიდან სოფელ ლძაანში.

გუდაუთის რაიონში: ააცის ს/საბჭოს სოფელ ბაკლანოეს – ააცი; ააცის ს/საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნა სოფელ ბინთხიდან სოფელ ააცში; აჭანდარის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ მიდარას – აჭანდარა; ბლაბურხვის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ აგვაეერას – ბლაბურხვა; ჯირხვის ს/საბჭოს სოფელ ჯირხვა–ახუწას – ახუწა; ჯირხვის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ხუდაარას – ჯირხვა; დურიფშის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ თარკილაარპაბლას – დურიფში; ზვანდრიფშის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ არაშახუს – ზვანდრიფში; ზემო ანუხვის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ აგნას – ანუხვა, ხოლო ზემო ანუხვის ს/საბჭოს – ანუხვის ს/საბჭო; კალდახვარის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ჯაფხუნს – კალდახვარა; ოთხარის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ძაღრიაშს – ოთხარა; ხოფის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ათვახუს – ხოფი; ლიხნის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ბამბორას – ლიხნი.

სოხუმის რაიონში: ზემო ეშერის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ფიშთას – სოფელი ზემო ეშერა.

ოჩამჩირის რაიონში: ტყვარჩელის ს/საბჭოს სოფელ ატიშადუს – ვარდისუბანი, ხოლო ტყვარჩელის ს/საბჭოს – ვარდისუბნის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ ვარდისუბანში; არასაძიხის ს/საბჭოს სოფელ გუფ-აგუს – აჭანდარა, ხოლო არასაძიხის ს/საბჭოს – აჭანდარის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ აჭანდარაში; აგარაკის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ არაკიჩს – დიდი აგარაკი, ხოლო სოფელ აგარაკს – პატარა აგარაკი; პირველი ბედიის ს/საბჭოს სოფელ მეორე კოპიტს –ზემო ბედია, ხოლო პირველი ბედიის ს/საბჭოს – ზემო ბედიის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ ზემო ბედიაში; ზემო ბედიის ს/საბჭოს სოფელ პირველ კოპიტს – კოპიტი; გუფის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ეშქითს – გუფი; კო-

---

[232] Абхазская АССР. Административно-Территориальное Деление 1951 г., Сухуми, 1951, გვ. 3-20.
[233] გრ. ზარდალიშვილი, საქართველოს სსრ ეკონომიური დარაიონება, გვ. 55.
[234] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1952 წ. №1, გვ. 4.
[235] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1952 წ. №2, გვ. 21.
[236] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1952 წ. №2, გვ. 2.
[237] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1952 წ. №3, გვ. 7.

ჩარის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ქეთევანს – სოფელი კოჩარა; ოტაფის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ წყარხმულს – ოტაფი; ფოქვეშის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ აგუუაას – ფოქვეში; თხინის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ აგუუაას – თხინა;ჭლოუს ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ლაგანიაა-რხუს – ჭლოუ.

გალის რაიონში: მეორე ბედიის ს/საბჭოს სოფელ სანარდოს – სოფელი ბედია, ხოლო მეორე ბედიის ს/საბჭოს – ბედიის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ბედიაში; პირველი გალის ს/საბჭოს სოფელ სამქვარს – ნარინჯოვანი, ხოლო პირველი გალის ს/საბჭოს ნარინჯოვანის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ ნარინჯოვანში; ცხირი-გალის ს/საბჭოს სოფელ ცხირს – მზიური, ხოლო ცხირი-გალის ს/საბჭოს – მზიურის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ მზიურში; დიხაზურგის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ დიდ წიფურს – დიხაზურგა; მუხურის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ საშარანგიოს – მუხური; ნაბაკევის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ გაბარს – ნაბაკევი; საბერიოს ს/საბჭოს ცენტრს სოფელ დაურჩკელას – საბერიო; ჭუბურხინჯის ს/საბჭოს ცენტრს სოფელ ნალამუს – ჭუბურხინჯი.

იმავე ბრძანებულების თანახმად, გაერთიანდა *გალის რაიონში:* სიდის ს/საბჭოს სოფლები ჭანდარი, ტობა და სათანჯო და ეწოდა სოფელი სიდა; თაგილონის ს/საბჭოს სოფლები: შუაუბანი და ქვემოუბანი და ეწოდა სოფელი თაგილონი; თაგილონის ს/საბჭოს სოფლები: ზემოუბანი და ეწერისუბანი და ეწოდა სოფელი სალხინო; ჩხორთოლის ს/საბჭოს სოფლები: არადუქვა, ზემო ჩხორთოლი და ქვემო ჩხორთოლი და ეწოდა სოფელი ჩხორთოლი.[238]

ამდენად, 1943-1952 წლებში დასახლებული პუნქტების უცხოური – რუსული, თურქული, სომხური, – სახელები ქართული და აფხაზური სახელებით შეიცვალა. იმავე დროს რამდენიმე აფხაზური ტოპონიმიც შეიცვალა ქართული სახელით: სოფელ მეპადირს ეწოდა ნაკადული (გაგრის რაიონი); დ. ფსირცხას – ახალი ათონი, სოფელ აშიცრას – ახალსოფელი (გუდაუთის რაიონი); სოფელ ატიშადუს –ეარდისუბანი, სოფელი არაკიჩს – დიდი აგარაკი, სოფელ აგუუაას – ფოქვეში (ოჩამჩირის რაიონი), და ქართული სახელი – აფხაზურით: სოფელ ჟირწყარს ეწოდა აძირბჟარა (სოხუმის რაიონი), სოფელ ქეთევანს – კოჩარა (ოჩამჩირის რაიონი).

1952 წლის დეკემბერში გუდაუთის რაიონს გამოეყო დაბა ახალი ათონი, ააცის, აბღარხუქის, აჭანდარის, ანუხვის, ყულანურხვის, მეორე ანუხვის, მწარის, ფსირცხის, სანაპიროს ს/საბჭოები, და მათგან შეიქმნა ახალი ათონის რაიონი, ცენტრით დაბა ახალ ათონში.[239]

აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1953 წლის ცნობარის თანახმად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 7 ადმინისტრაციული რაიონი: ახალი ათონის, გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის; 1 დაბა, 117 ს/საბჭო, 531 სოფელი. ახალი ათონის რაიონში – 9 ს/საბჭო, 53 სოფელი; გაგრის რაიონში – 12 ს/საბჭო, 55 სოფელი; გალის რაიონში – 26 ს/საბჭო, 90 სოფელი; გუდაუთის რაიონში – 13 ს/საბჭო, 57 სოფელი; გულრიფშის რაიონში – 14 ს/საბჭო, 102 სოფელი; ოჩამჩირის რაიონში – 31 ს/საბჭო, 113 სოფელი; სოხუმის რაიონში – 12 ს/საბჭო, 61 სოფელი.[240]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბჭოს პრეზიდიუმმა 1953 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 19 აპრილის ბრძანებულება „ზუგდიდის რაიონის კოკის სასოფლო საბჭოდან დასახლებული პუნქტის ხურჩას გამოყოფისა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ნაბაკევის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ“ და დასახლებული პუნქტი ხურჩა კვლავ ზუგდიდის რაიონის კოკის ს/საბჭოს შეუერთდა.[241]

1953 წელს სტალინის გარდაცვალებისა და ლ. ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ სსრ კავშირში სრულიად ახალი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. ხელისუფლების სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ აფხაზეთში ფართო ანტიქართული კამპანია გაიშალა, რაშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის გაყალბებას, ქართველები დამნაშავედ ცხადდებოდნენ ყველა იმ უბედურებაში, რაც აფხაზებს კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში თავს დაატყდათ. ამასთანავე, ქართველების ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში 1938-1953 წლებში, ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო თანამდებობებზე უპირატესად ქართველების დანიშნურება, აფხა-

---

[238] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1952 წ. №5, გვ. 2-4.
[239] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1952 წ. №7, გვ. 7.
[240] აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, სუხუმი, 1953, გვ. 3-21.
[241] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ. №3, გვ. 6.

ზურ სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღება, რაც აფხაზური სკოლების დახურვად აღიქმებოდა, და სხვა ფაქტების გამო, რაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს „ეროვნული პოლიტიკის" შემადგენელი ნაწილი იყო, აფხაზური ინტელიგენციის ნარჩომადგენლები შიშით უყურებდნენ აფხაზური ეროვნული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების პერსპექტივას, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და წარმოებულ პოლიტიკას აფხაზთა გაქართველების პოლიტიკად მიიჩნევდნენ. ტოტალიტარული განუკითხაობით დატანჯულ, პოლიტიკური პროცესების კულისებში ჩაუხედაე, გაუთვითცნობიერებელ აფხაზებს ადვილად ჩაუნერგეს, რომ მათი ყველა უბედურების მიზეზი ქართველები იყვნენ. კრემლის მხრიდან აქტიურად დაინყო საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის სფს რესპუბლიკასთან შეერთების იდეის წახალისება.[242] იმავდროულად, აფხაზეთში ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების მასობრივი შეცვლა დაინყო.

1953 წლის სექტემბერში აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ზოგიერთი სასოფლო საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ ადრე მიღებული დადგენილების გაუქმების თაობაზე:

ოჩამჩირის რაიონში: სოფელ გუფ-აგუს – აჭანდარად, ხოლო არასაძიხის ს/საბჭოსი – აჭანდარის ს/საბჭოდ. სოფელ აჭანდარას ეწოდა გუფ-აგუ, აჭანდარის ს/საბჭოს – არასაძიხის ს/საბჭო, ცენტრით სოფ. გუფ-აგუში; სოფ. ატიშადუს – სოფ. ვარდისუბნად, ხოლო ტყვარჩელის ს/საბჭოს – ვარდისუბნის ს/საბჭოდ. სოფელ ატიშადუს ეწოდა ტყვარჩელი, ხოლო ვარდისუბნის ს/საბჭოს – ტყვარჩელის ს/საბჭო, ცენტრით სოფ. ტყვარჩელში; სოფელ არაკიჩის – დიდ აგარაკად, სოფელ აგარაკის – პატარა აგარაკად, ხოლო არაკიჩის ს/საბჭოსი – აგარაკის ს/საბჭოდ. დიდ აგარაკს ეწოდა არაკიჩი, პატარა აგარაკს – აგარაკი, ხოლო აგარაკის ს/საბჭოს – არაკიჩის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ არაკიჩში.

გალის რაიონში: სოფელ ცხირისა – მზიურად, ხოლო ცხირო-გალის ს/საბჭოსი მზიურის ს/საბჭოდ. სოფელ მზიურს ეწოდა ცხირი, ხოლო მზიურის სასოფლო საბჭოს – ცხირის ს/საბჭო ცენტრით სოფელ ცხირში; სოფელ სამქვარისა სოფელ ნარინჯოვანად, ხოლო პირველი გალის ს/საბჭოსი – ნარინჯოვანის ს/საბჭოდ. სოფელ ნარინჯოვანს ეწოდა სამქვარი, ხოლო ნარინჯოვანის ს/საბჭოს – პირველი გალის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ სამქვარში.[243]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და სოფლის სახელწოდებათა შეცვლის შესახებ", საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 31 ივლისის ბრძანებულებაში შევიდა ნაწილობრივი ცელილება და ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლებს და სასოფლო საბჭოებს ეწოდათ:

ოჩამჩირის რაიონში: სოფელ აჭანდარას – გუფ-აგუ, აჭანდარის ს/საბჭოს – არასაძახის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ გუფ-აგუში; სოფელ დიდ აგარაკს – არაკიჩი, სოფელ პატარა აგარაკს – აგარაკი, აგარაკის ს/საბჭოს – არაკიჩის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ არაკიჩში.[244]

ამრიგად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება მხოლოდ ნაწილობრივ დაამტკიცა.

1953 წლის სექტემბერში გაუქმდა ახალი ათონის რაიონი და მისი ტერიტორია გუდაუთის რაი-

---

[242] სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1956 წლის 10 იელისს მიიღო დადგენილება „საქართველოს კპ ცკ-ის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ", რომელშიც ქართველები აფხაზების, ოსებისა და სომხების ეროვნული კულტურის ლიკვიდაციასა და მათი ასიმილაციის მცდელობაში დაადანაშაულა. საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმმა 6-8 აგვისტოს და აფხაზეთის პარტიული აქტივის კრებამ 16 აგვისტოს, ფაქტობრივად, აღიარა ნაყენებული ბრალდება, თითქოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ხელოვნურად მიმდინარეობდა შუღლის გაჩაღება ქართველებსა და აფხაზებს, სომხებს, ოსებს შორის, მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ადგილობრივი აფხაზური, სომხური და ოსური მოსახლეობის ეროვნული კულტურის ლიკვიდაცია (ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II, გვ. 155-156). ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე. აფხაზურმა სეპარატისტულმა ძალებმა შექმნილი ანტიქართული ფონით ისარგებლეს, მათ თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცათ. 1954 წლიდან მოყოლებული აფხაზური საზოგადოებრიობის ნარჩომადგენლების წერილებში სსრ კავშირის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელებისადმი და აფხაზთა საპროტესტო გამოსვლებში (1957, 1967, 1977-1978 წლებში) მუდმივად იდგა საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფისა და რუსეთის სფს რესპუბლიკასთან შეერთების საკითხი (იხ.: **Абхазия в Советскую эпоху. Абхазские письма. 1947-1989. Сборник документов, т. 1,** *ответственный редактор И. Марыкуба*, Адуа (Сухум), 1994).

[243] **Абхазия: документы свидетельствуют.1937-1953. Сборник материалов,** გვ. 512-513.

[244] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ. №7, გვ. 21-22.

ონს შეუერთდა.[245] ამის შესაბამისად შეიცვალა ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-20 მუხლში, რომელიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონის შემადგენლობაში არ შედიან.[246]

1953 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მირონ ჩუბინიძეს წერილით მიმართეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ანდრია ჭოჭუამ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მუშნი ხაშბამ. წერილში ნათქვამია, რომ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ბოლო წლებში, განსაკუთრებით 1948-1951 წლებში, განხორციელდა აფხაზეთის ასსრ დასახლებული პუნქტების სახელწოდებების მასობრივი შეცვლა. შეიცვალა: 1 სადაბო საბჭოს, 24 სასოფლო საბჭოს და 122 დასახლებული პუნქტის სახელწოდება. ამასთან, რიგი სახელწოდების შეცვლა განხორციელდა ადგილობრივი პირობების და საჭიროებების სათანადო შესწავლის გარეშე, რამაც უხეშ დამახინჯებებამდე მიგვიყვანა, შექმნა უხერხულობები და მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ასე, მაგალითად, შეიცვალა უხსოვარი დროიდან არსებული აფხაზური სახელწოდებები (სოფლები: ატიშადუ, ტყვარჩელი, არაკიჩი, დაბა ფსირცხა და სხვ.) და რუსული სახელწოდებები (სოფლები: ვესიოლოვკა, ხოლოდნაია რეჩკა, ორეხოვო და სხვ.). ზოგჯერ დასახლებულ პუნქტებს ისეთ სახელებს არქმევდნენ, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე შეურაცხმყოფელია. ასე, მაგალითად: გულრიფშის რაიონის ზახაროვკის ს/საბჭოს ეწოდა ხევის ს/საბჭო, ხოლო სოფელ ზახაროვკას – ხევი, რომელშიც 90% მოსახლეობისა სომხები არიან. სიტყვა „ხევი" სომხურ ენაზე ნიშნავს `ცუდს"; გაგრის რაიონის სოფელ ორეხოვოს, რომლის მოსახლეობა მთლიანად სომხურია, „კაკლიანი" ეწოდა. ეს სახელი სომხურად უცენზურო სიტყვაა. აფხაზეთის ასსრ დასახლებული პუნქტების დაშვებული დამახინჯებების აღმოსაფხვრელად აუცილებლად მიგვაჩნია შეიცვალოს ამჟამად არსებული, და აღდგეს შემდეგი დასახლებული პუნქტების უწინდელი სახელწოდებები:

გუდაუთის რაიონში: დაბა ახალი ათონი – დაბა ფსირცხა. ფსირცხა აფხაზური სიტყვაა, ასე იწოდება ეს ტერიტორია ოდითგან. გასული საუკუნის 70-იან წლებში ბერებმა ამ ადგილს უწოდეს ნოვი აფონ. 1938 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი ბრძანებულებით კურორტ ფსირცხას დაბის (ქალაქის ტიპის დასახლების) სტატუსი მიანიჭა და შექმნა ფსირცხის სადაბო საბჭო (იხ. 1938 წლის 16 ნოემბრის ოქმი №4). თუმცა 1948 წლის 3 სექტემბერს ფსირცხის სადაბო საბჭოს სახელი გადაერქვა და ახალი ათონის სადაბო საბჭო ეწოდა; მეორე ანუხვის ს/საბჭოს სოფელი სალხინო – ვესიოლოვკა. სოფელში ცხოვრობენ რუსები და სომხები. სოფელმა სახელწოდება ვესიოლოვკა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიღო; სოფელი გოგირდწყალი – წკვარა. წკვარა აფხაზური სიტყვაა, ასე იწოდება ახლაც პატარა მდინარე, რომელიც ამ სოფელზე გაედინება. სოფელში სომხები ცხოვრობენ; სოფელი Лихни – Лыхны.

ოჩამჩირის რაიონში: სოფელი ეარდისუბანი – ატიშადუ, ხოლო ეარდისუბნის ს/საბჭო – ტყვარჩელის ს/საბჭო. სასოფლო საბჭოს მოსახლეობა აფხაზები არიან, რომლებმაც უწინდელი სახელწოდებების აღდგენის საკითხი არაერთხელ დასვა.

გაგრის რაიონში: ბზიფის ს/საბჭოს სოფელი ბზისხევი – ბზიფთა. სოფლის ძირითადი მოსახლეობა ქართველები და რამდენიმე კომლი რუსია. სახელწოდება ბზიფთა აფხაზურია და ბზიფის ხეობას ნიშნავს. უძველესი დროიდან ასე ეწოდებოდა ამ ხეობას და ასე იცნობენ მას მთელ გუდაუთისა და გაგრის რაიონებში; კაკლიანის ს/საბჭოს სოფელი ცივწყარო – ხოლოდნაია რეჩკა. სოფელში ძირითადად სომხები და რუსები ცხოვრობენ; კაკლიანის ს/საბჭო – ხოლოდნორეჩინსკის სასოფლო საბჭო. სახელწოდება კაკლიანი სომხურად უცენზურო სიტყვაა, ხოლო ამ სოფლის მოსახლეობის 90 %-ზე მეტს სომხები შეადგენენ; სალხინოს ს/საბჭოს სოფელი ფსოუსხევი – ფსოუ. სოფლის თითქმის მთელი მოსახლეობა სომხები არიან; კოლხიდის ს/საბჭოს სოფელი შადრევანი – ფონტანკა. სოფელ შადრევანში 140-ზე მეტი მე-

---

[245] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ. №7, გვ. 15.

[246] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ. №7, გვ. 5; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №216, 1953 წ. 1 ნოემბერი.

ურნეობაა, ძირითადად რუსების, აგრეთვე ქართველების, აფხაზების და სომხების; დაბის ს/საბჭოს სოფელი სააგურე – კირპიჩნოე, ხოლო სოფელი გაგრის-ხეობა იმავე ს/საბჭოსი – გაგრიფსთა. სოფლებში სააგურე და გაგრის-ხეობა ცხოვრობენ სომხები, ქართველები, რუსები და აფხაზები.

სოხუმის რაიონში: ახალშენის ს/საბჭოს სოფელი ჟირწყალი – აძიბჟარა (აფხაზურად შუამდინარეთი); ახალშენის ს/საბჭოს სოფელი იმერწყალი – შიბაა (აფხაზური სიტყვაა). სოფელ ჟირწყალში ცხოვრობენ მწყემსები და მეფუტკრეები – რუსები და სომხები, ხოლო სოფელ იმერწყალში – რუსებისა და სომხების რამდენიმე მეურნეობაა; გუმისთის ს/საბჭოს სოფელი შუქურა – მაიაკი. ძირითადი მოსახლეობა რუსები არიან; ფსხუს ს/საბჭოს სოფელი ვერცხლიანი – სერებრიანოე. ძირითადი მოსახლეობა რუსები არიან; შრომის ს/საბჭოს სოფელი შრომა – გუმა, ხოლო შრომის ს/საბჭო – გუმის ს/საბჭო. გუმა აფხაზური სახელწოდებაა, მომდინარეობს მდინარე გუმსის სახელწოდებიდან, რომელიც ამ ს/საბჭოს ტერიტორიაზე გაედინება. ამჟამად, ძირითადი მოსახლეობა ქართველებია. აქაური მცხოვრებლები მას დღემდე გუმას უწოდებენ.

გულრიფშის რაიონში: კოდორის ს/საბჭოს სოფელ ბაღნაშენს – ესტონკა. მოსახლეობა ესტონელები და ნაწილობრივ რუსები არიან; ლათის ს/საბჭოს სოფელი ზემო-ლათა – კაპშარა; სოფელი კადარი – მარდადუ. სახელწოდებები კაპშარა და მარდადუ აფხაზურია. პირველი, კოდორის შენაკადის სახელწოდებაა, რომელიც ამ სოფლის ტერიტორიაზე გაედინება, ხოლო მეორე – დიდ აღმართს აღნიშნავს; მაჭარის ს/საბჭოს სოფელი ვარდისუბანი – თხუბუნი. სახელწოდება თხუბუნი იხსენიება ძველ ქართულ წყაროებში. მოსახლეობას რუსები შეადგენენ; ნებელდის ს/საბჭოს სოფელი მაისი, ყოფილი ზამაისკოე – ამტყელი; გაერთიანდეს სოფლები ხევი და ამტყელი ერთ სოფლად და ეწოდოს სოფელი ამტყელი, ხოლო ხევის ს/საბჭოს ეწოდოს ამტყელის ს/საბჭო. სოფლის სახელწოდების შეცვლის აუცილებლობის შესახებ აღნიშნულია ზემოთ.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ეს ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინა განსახილველად.[247]

ის, რომ ქართული სახელწოდებები შეიცვალა რუსული და სომხური და არა „ისტორიული აფხაზური" სახელებით, ნათლად წარმოაჩენდა აფხაზეთის ასსრ ხელისუფლების პოლიტიკას, რომელსაც სურდა ქართული სახელწოდებები მიზანმიმართულად შეეცვალა; სრული აბსურდია წერილში მოხსენიებული „უხსოვარი დროიდან არსებული აფხაზური სახელწოდებები" (ატიშადუ, ტყვარჩელი, არაკიჩი, დაბა ფსირცხა და სხვ.). ტყვარჩელი ქართული სახელწოდებაა, ხოლო დანარჩენი ტოპონიმები XIX-XX სს. მიჯნიდან დასტურდება წყაროებში.[248]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1954 წლის 16 ივნისის ბრძანებულებით დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება დასახლებული პუნქტების გადარქმევის შესახებ. *გუდაუთის რაიონის* მეორე ანუხვის ს/საბჭოს სოფელ სალხინოს გადაერქვა სახელი და ეწოდა სოფელი ვესელოვკა; *გაგრის რაიონის* დაბის ს/საბჭოს სოფელ სააგურეს – სოფელი კირპიჩნოე; სოხუმის რაიონის პსხუს ს/საბჭოს სოფელ ვერცხლოვანს – სოფელი სერებრიანოე; *გულრიფშის რაიონის* ხევის ს/საბჭოს სოფლები ხევი და ამტყელი გაერთიანდა ერთ სოფლად და ეწოდა სოფელი ამტყელი, ხოლო ხევის ს/საბჭოს – ამტყელის ს/საბჭო.[249]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1954 წლის 16 ივნისს დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება გალის რაიონის რეფო-შეშელეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ პირველი შეშელეთის გამოყოფისა და მისი ამავე რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ.[250]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 19 ივნისის დადგენილებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების მიზნით გაერთიანდა:

სოხუმის რაიონში: ახალსოფლისა და ბესლეთის ს/საბჭოები – ერთ ბესლეთის ს/საბჭოდ; *გულრიფშის რაიონში:* ბაბუშარისა და დრანდის ს/საბჭოები – ერთ დრანდის ს/საბჭოდ; *გაგრის რაიონში:*

---

[247] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов, გვ. 514-516.

[248] ამის შესახებ, დაწვრილებით, იხ.: პ. ცხადაია, ზ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2016.

[249] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1954 წ. № 4, გვ. 5-6.

[250] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1954 წ. №4, გვ. 6.

დაბისა და კოლხიდის ს/საბჭოები – ერთ კოლხიდის ს/საბჭოდ; *გუდაუთის რაიონში:* ბამბორისა და ლიხნის ს/საბჭოები – ერთ ლიხნის ს/საბჭოდ; გაუქმდა მეორე ანუხვის ს/საბჭო და სოფლები აძღაფშა, აჭანავა, გოგირდწყალი მიეკუთვნა პრიმორსკის ს/საბჭოს, ხოლო სოფლები: მეორე ანუხვა, აჩირხა, ბამბაუკოვანი, ბზისხევი, საჯოგე და ვესელოვკა – ანუხვის ს/საბჭოს; *ოჩამჩირის რაიონში:* ჯალის, მერკულისა და მოქვის ს/საბჭოები – ერთ მოქვის ს/საბჭოდ; მოქვის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი არადუ და ჯუმური და შეუერთდა ცაგერას ს/საბჭოს. ცაგერას ს/საბჭოს ეწოდა არადუს ს/საბჭო ცენტრით სოფელ არადუში; ახალდაბისა და აძუბჟის ს/საბჭოები – ერთ ჯგერდის ს/საბჭოდ; ღვადისა და ჯგერდის ს/საბჭოები – ერთ ჯგერდის ს/საბჭოდ; აკვასკისა და გუფის ს/საბჭოები – ერთ გუფის ს/საბჭოდ; ზემო ბედიისა და აგუ-ბედიის ს/საბჭოები – ერთ აგუბედიის ს/საბჭოდ; *გალის რაიონში:* ხუმუშკურისა და ზემო ბარღების ს/საბჭოები – ერთ ზემო ბარღების ს/საბჭოდ; გაგიდისა და განახლების ს/საბჭოები – ერთ განახლების ს/საბჭოდ.[251]

ქვეყანაში შექმნილი კონიუნქტურის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1955 წლის 18 იანვრის სხდომაზე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილი წინადადებები აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი სოფლისა და დასახლებული პუნქტის სახელის გადარქმევის შესახებ და მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ 1955 წლის 14 იანვარს დამტკიცებული სია შეტანილი ცვლილებებით.[252]

1955 წლის 26 მარტს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ბრძანებულებები აფხაზეთის ასსრ დასახლებული პუნქტების სახელწოდებების გადარქმევის თაობაზე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 8 სექტემბრის, 1948 წლის 20 აგვისტოს, 1952 წლის 19 ივლისის ბრძანებულებების გაუქმების, აგრეთვე მთელი რიგი დასახლებული პუნქტების სახელწოდებების სრული ან ტრანსკრიფციული ცვლილებების შესახებ. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნული ბრძანებულებები დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინა.[253]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 16 აპრილის ბრძანებულებით აფხაზეთის ასსრ მთელი რიგი დასახლებული პუნქტების სახელწოდებები შეიცვალა ან ტრანსკრიფციული ცვლილებები განხორციელდა.

გაგრის რაიონში: ბზიფის ს/საბჭოს სოფელ ბზიფისხევს ეწოდა ბზიბთა; კაკლიანის ს/საბჭოს – ხოლოდნორეჩკის ს/საბჭო; ხოლოდნორეჩკის ს/საბჭოს სოფლებს: კაკლიანს – ორეხოვო, ცივწყაროს – ხოლოდნაია რეჩკა; კოლხიდის ს/საბჭოს სოფლებს: ალპურს – ალპიისკოე, გაგრისხეობას – გაგრაფსთა, საქართველოს ხეობას – გრუზინსკოე უშრელიე, შადრევანს – ფონტანკა, სიხარულს – ოტრადნოე; ლძაანის ს/საბჭოს – ლიძავის ს/საბჭო, ხოლო სოფელ ლძაანს – ლიძავა; სალხინოს ს/საბჭოს სოფელ ფსოუხხევს – დემერჩენცი; სოფელ ლძაანს – ლიძავა; ლიძავის ს/საბჭოს სოფელ ბიჭვინთას – პიცუნდა; *გუდაუთის რაიონში:* დაბა ახალ ათონს – ნოვი აფონი, ხოლო ახალი ათონის სადაბო საბჭოს – ნოვი აფონის სადაბო საბჭო; ანუხვის ს/საბჭოს სოფლებს: ბზისხევს – არმიანსკოე უშრელიე, მეორე ანუხვას – ანუხვა-არმიანსკაია; დურიფშის ს/საბჭოს სოფელ ტვანას – ტვანაარხუ; მწარის ს/საბჭოს სოფლებს: ზემო მწარას – ვერხნაია მწარა, ქვემო მწარას – ნიჟნაია მწარა; *სოხუმის რაიონში:* ახალშენის ს/საბჭოს სოფლებს: ჟირწყალს – აძიბჟარა, იმერწყალს – შუბარა; გუმისთის ს/საბჭოს სოფელ შუქურას – მაიაკი; ზემო ეშერის ს/საბჭოს – ვერხნი ეშერის ს/საბჭო, ხოლო სოფელ ზემო ეშერას – ვერხნაია ეშერა; თავისუფლების ს/საბჭოს სოფლებს: ზემო იაშთხვას – ვერხნაია იაშთხვა, ქვემო იაშთხვას – ნიჟნაია იაშთხვა; *გულრიფშის რაიონში:* ოქტომბრის ს/საბჭოს სოფლებს: სოფელ ზემო-აფიანჩს – ვერხნი-აფიანჩი, ქვემო-აფიანჩს – ნიჟნი-აფიანჩი; კოდორის ს/საბჭოს სოფელ ბაღნაშენს – ესტონკა; *ოჩამჩირის რაიონში:* არაკიჩის ს/საბჭოს სოფელ აგარაკს – სოფელი დაჩა; არასაძიხის ს/საბჭოს სოფელ მეორე არასაძიხს – ეტოროი არასაძიხი; აგუ-ბედიის ს/საბჭოს სოფლებს: ზემო ბედიას – ეტოროი კოპიტი, პირველ კოპიტს – პერვი კოპიტი; ჯგერდის

---

[251] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1954 წ. №4, გვ. 15-16.
[252] საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 30, საქმე 22, ფურც. 32-39.
[253] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов, გვ. 519-524.

ს/საბჭოს სოფელ ახუწას – ღვადა-ახუწა; მეორე-ათარის ს/საბჭოს – ათარა-არმიანსკაიას ს/საბჭო, ხოლო სოფელ მეორე ათარას – ათარა არმიანსკაია; ვარდისუბნის ს/საბჭოს – ტყვარჩელის ს/საბჭო, ხოლო სოფელ ვარდისუბანს – ატიშადუ; გაერთიანდა სოფლები ზემო რეკა და ქვემო რეკა და ეწოდა სოფელი რეკა; *გალის რაიონში:* ნარინჯოვანის ს/საბჭოს – პირველი გალის ს/საბჭო, ხოლო სოფელ ნარინჯოვანს – სამქვარი.

იმავდროულად, შეიცვალა დასახლებული პუნქტების ტრანსკრიფცია: ალახაძის ს/საბჭოს სოფელი ალახაძე – ალახაძი; ბზიფის ს/საბჭო – ბზიბის ს/საბჭო, ბზიბის ს/საბჭოს სოფლები: ბზიფი – ბზიბი, არასაძიხი – არასაძიხ; მუგუძირხვის ს/საბჭოს სოფელი მისრა – მიუსერა; ყულანურხვის ს/საბჭოს სოფელი არუთა – არიუთა; გულრიფშის ს/საბჭოს სოფლები: ქვემო-გულრიფში – ქვემო-გულრიფშ, ფარნაუთი – ფარნაუთ, ფშაფი – ფშაფ; აჟარის ს/საბჭოს სოფელი ნაჰარი – ნაჰარ; აზანთის ს/საბჭოს სოფელი გერგემიში – გერგემიშ; ამტყელის ს/საბჭოს სოფლები: ამტყელი – ამტყელ, ჯამპალი – ჯამპალ; გუფის ს/საბჭოს სოფელი გუფი – გუფ, ჯგერდის ს/საბჭოს სოფლები: ჯირგული – ჯირგულ, დღამში – დღამშ; მოქვის ს/საბჭოს სოფელი ჯალი – ჯალ; ოტაფის ს/საბჭოს სოფელი ოტაფი – ოტაფ, ტამიშის ს/საბჭოს სოფელი ნკრიში – ნკრიშ და სხვ.[254]

ამრიგად, 1955 წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ქართული გეოგრაფიული სახელწოდები რუსული, სომხური და აფხაზური სახელწოდებებით მასობრივად შეიცვალა. ის, რომ კაკლიანს ეწოდა ორეხოვო, ცივწყაროს – ხოლოდნაია რეჩკა, ალპურს – ალპიისკოე, ბზისხევს – არმიანსკოე უშჩელიე, მეორე ანუხვას – ანუხვა-არმიანსკაია, შუქურას – მაიაკი, ბაღნაშენს – ესტონკა, მეორე ათარას – ათარა არმიანსკაია, აგარაკს მისი რუსული თარგმანი – დაჩა, და სხვ. ნათლად მიანიშნებდა, რომ აფხაზეთის ასსრ ხელისუფლებას ისტორიული ტოპონიმების აღდგენა კი არ სურდა, არამედ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების უცხოური სახელწოდებებით შეცვლას მიზანმიმართულად ცდილობდა. რაც შეეხება ქართული სახელწოდებების ტრანსკრიფციულ ცვლილებებს, ამის მიზანი მათთვის აფხაზური ფორმის მიცემა იყო. ნიშანდობლივია, რომ ისტორიული ქართული სახელი *ბიჭვინთა*, რომელიც საუკუნეების სიღმიდან მოდის, რუსული ფორმით *პიცუნდა* შეიცვალა.

50-იან წლებში ქალაქ სოხუმის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 19 აპრილის დადგენილებით სოხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მიწებიდან 2,7 ჰექტარი (უკომპენსაციოდ) გამოიყო სოხუმის საქალაქო საბჭოს ქალაქ სოხუმის ტერიტორიის გასაფართოებლად.[255] 1957 წლის 31 იანვარს სოხუმის რაიონის გუმისთის ს/საბჭოდან გამოყვეს სოფელი მაიაკი და ბესლეთის ს/საბჭოდან სოფელ ბესლეთის ტერიტორიის ნაწილი, 61,5 ჰექტარის ტერიტორია, რომელიც ქალაქ სოხუმს შეუერთეს, ტერიტორიულად მათი შეზრდის გამო.[256]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1956 წლის 6 თებერვალს მიიღო დადგენილება „მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში დაშვებული დარღვევების შესახებ". საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავდა, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფის საქმეში ზოგიერთ დარღვევას, და ურჩია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს განეხილათ აღნიშნული საკითხი და დაესახათ სათანადო ღონისძიებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.[257]

ამ დადგენილებას მალე მოჰყვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, რომლითაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების კუთხით ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის უფლებამოსილება გაიზარდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 8 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება „ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების

---

[254] საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 30, საქმე 22, ფურც. 32-39.
[255] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1344, ფურც. 14.
[256] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957, №2, გვ. 8.
[257] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1279, ფურც. 1-4.

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად გადაცემის შესახებ". საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით: ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცა საბოლოო გადასაწყვეტად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შემდეგი საკითხები: დასახლებული პუნქტების ერთი სასოფლო, სადაბო საბჭოს შემადგენლობიდან მეორეში გადაცემა, აგრეთვე რაიონების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების შეცვლა, ცალკეული დასახლებული პუნქტების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ტერიტორიების სხვა რაიონების შემადგენლობაში გადაცემასთან დაკავშირებით (ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის საზღვრებში); სასოფლო, სადაბო საბჭოების შექმნა, გაერთიანება და გაუქმება, მათი ადმინისტრაციული ცენტრების გადატანა, აგრეთვე სასოფლო და სადაბო საბჭოების გადარქმევა მათი ცენტრების გადატანასთან დაკავშირებით; რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და დაბების საზღვრების დადგენა და გაფართოება იმ პირობით, რომ ქალაქის (დაბის) საზღვრების გასაფართოებლად მიწის ნაკვეთების გამოყოფა მოხდა დადგენილი წესის მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხზე თავიანთ ბრძანებულებებსა და გადაწყვეტილებებს აგზავნიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ გამოქვეყნდეს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში"; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად შეტანილ იქნეს წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მე-14 მუხლში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.[258]

1959 წლის აპრილში სოხუმისა და გულრიფშის რაიონები ერთ – სოხუმის რაიონად გააერთიანეს.[259]

60-იან წლებში აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ზოგიერთი ცვლილება მოხდა.

1960 წლის იანვარში სოხუმის რაიონის ოქტომბრის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები – ზეგანი, ვერხნი-აპიანჩი, ნიჟნი-აპიანჩი და მიეკუთვნა ამავე რაიონის წებელდის სასოფლო საბჭოს.[260] იმავე წლის აგვისტოში ოჩამჩირის რაიონის არადუს ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ცაგერა და მიეკუთვნა ამავე რაიონის ქოჩარის სასოფლო საბჭოს; გუფის ს/საბჭოს ტერიტორიაზე შეიქმნა სოფელი და ეწოდა ახალი აკვასკია, რომელიც ადმინისტრაციულად ოჩამჩირის რაიონის ბესლახუბის ს/საბჭოს დაექვემდებარა.[261]

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1961 წლის ცნობარის თანახმად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 5 ადმინისტრაციული რაიონი: გაგრის, გალის, გუდაუთის, ოჩამჩირის, სოხუმის; 6 ქალაქი, მათ შორის 2 რესპუბლიკური (აფხაზეთის ასსრ) დაქვემდებარების (სოხუმი, ტყვარჩელი), 1 დაბა (ახალი ათონი), 104 სასოფლო საბჭო, 521 სოფელი: გაგრის რაიონში – 11 ს/საბჭო, 53 სოფელი, გალის რაიონში – 24 ს/საბჭო, 90 სოფელი, გუდაუთის რაიონში – 1 დაბა, 20 ს/საბჭო, 110 სოფელი, ოჩამჩირის რაიონში – 25 ს/საბჭო, 113 სოფელი, სოხუმის რაიონში – 24 ს/საბჭო, 155 სოფელი.[262]

1962 წლის დეკემბერში რაიონული დაქვემდებარების ქალაქები გაგრა და ოჩამჩირე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას მიაკუთვნეს, ხოლო გუდაუთის რაიონის ახალი ათონის სადაბო საბჭო ადმინისტრაციულად გაგრის საქალაქო საბჭოს დაუქვემდებარეს.[263]

60-იან წლების დასაწყისში მთელ სსრ კავშირში რაიონების გაერთიანების პროცესი დაიწყო. ამ

---

[258] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ. №4, გვ. 11-12.
[259] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ. №3, გვ. 4.
[260] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ. №5, გვ. 20-21.
[261] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ. №11, გვ. 13.
[262] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, თბ., 1961, გვ. 10, 116-129.
[263] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1963 წ. №1, გვ. 7-9.

პროცესის მიღმა აფხაზეთიც არ დარჩა. 1963 წლის იანვარში *გუდაუთისა და გაგრის რაიონები* გააერთიანეს ერთ გუდაუთის რაიონად, ცენტრით ქალაქ გუდაუთაში, სოხუმის რაიონის ეშერისა და ვერხნი ეშერის სასოფლო საბჭოების გუდაუთის რაიონისათვის მიკუთვნებით; *სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონები* გააერთიანეს – ერთ ოჩამჩირის რაიონად, ცენტრით ქალაქ ოჩამჩირეში.[264]

ამრიგად, 1963 წლის დასაწყისში აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო გუდაუთის, ოჩამჩირის, გალის რაიონები.[265] 1963 წლის ოქტომბერში გაგრის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფელი პიცუნდა დაბად გარდაიქმნა.[266] იმავე წლის ნოემბერში შეიქმნა *გულრიფშის რაიონი* ადმინისტრაციული ცენტრით სოფელ გულრიფშში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1963 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 23 ნოემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნის შესახებ". ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში ცვლილებები შევიდა. საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლი 20 შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: „აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმის, გაგრის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან".[267]

ამდენად, 1964 წელს აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულად ასე იყო დაყოფილი: 4 რაიონი (გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის), 4 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი (სოხუმი, გაგრა, ოჩამჩირე, ტყვარჩელი), 2 რაიონული დაქვემდებარების ქალაქი (გალი, გუდაუთა), 2 დაბა (ახალი ათონი, ბიჭვინთა, ორივე გაგრის საქალაქო საბჭოს დაქვემდებარებაში), 104 ს/საბჭო.[268] რაიონების გამსხვილება დროებითი მოვლენა აღმოჩნდა. მალე, 1964 წლის დეკემბერში, *გაგრის რაიონი* აღადგინეს. გუდაუთის რაიონიდან მიქელრიფშის, ლესელიძის, ნაკადულის, განთიადის, ბაღნარის, ხაშუფსის, ხოლოდნაიარეჩკის, კოლხიდის, ალახაძის, ბზიბის, ლიძავის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის, გაგრის საქალაქო საბჭოდან —პიცუნდის სადაბო საბჭოს ტერიტორიის გამოყოფით, შეიქმნა გაგრის რაიონი ცენტრით ქალაქ გაგრაში; რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი გაგრა რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას მიაკუთვნეს და ადმინისტრაციულად გაგრის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დაუქვემდებარეს. დაბა ახალი ათონი ადმინისტრაციულად გუდაუთის რაიონის შემადგენლობაში შეიყვანეს; რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ოჩამჩირე რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას მიაკუთვნეს და ადმინისტრაციულად ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დაუქვემდებარეს.[269]

ამდენად, 1964 წლის ბოლოს აფხაზეთის ასსრ 5 ადმინისტრაციული რაიონისაგან შედგებოდა: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის.[270]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ". ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის მუხლი 20 შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.[271] 1965 წლის ბოლოს სოხუმის რაიონი შეიქმნა.

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1966 წლის ცნობარის თანახმად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 6 ადმინისტრაციული რაიონი: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის; 2 დაბა (ახალი ათონი, პიცუნდა), 2 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი

---

[264] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1963 წ. №1, გვ. 9-11.
[265] საქართველოს სსრ ატლასი, თბილისი-მოსკოვი, 1964, გვ. 7.
[266] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის, გვ. 14.
[267] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1963 წ. №36, გვ. 1047-1049.
[268] საქართველოს სსრ ატლასი, გვ. 4-6.
[269] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ. №36, გვ. 941-946.
[270] СССР. Административно-территориальное деление союзных республик. Январь 1965 года, М. 1965, გვ. 412.
[271] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ. №36, გვ. 957-958.

(სოხუმი, ტყვარჩელი), 104 სასოფლო საბჭო, 516 სოფელი. გაგრის რაიონში – 1 დაბა, 11 ს/საბჭო, 48 სოფელი, გალის რაიონში – 24 ს/საბჭო, 90 სოფელი, გუდაუთის რაიონში – 1 დაბა, 20 ს/საბჭო, 110 სოფელი, გულრიფშის რაიონში – 14 ს/საბჭო, 94 სოფელი, ოჩამჩირის რაიონში – 25 ს/საბჭო, 113 სოფელი, სოხუმის რაიონში – 10 ს/საბჭო, 61 სოფელი.[272]

1966 წლის ნოემბერში გაგრის საქალაქო საბჭოში შემავალი სოფელი განთიადი დაბად გარდაიქმნა.[273]

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 17 აპრილს გამოსცა ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლის შესახებ. გაუქმდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულება მეჰადირის ს/საბჭოს სოფელ მეჰადირის ნაკადულად, და მეჰადირის ს/საბჭოს – ნაკადულის ს/საბჭოდ გადარქმევის შესახებ; ლათის ს/საბჭოს სოფელ ხიზარუხას სოფელ ნეძონად გადარქმევის შესახებ.

ასევე, სახელები გადაერქვა და ეწოდა:

გულრიფშის რაიონში: აზანთის ს/საბჭოს სოფელ თხილოვანს – არასარა; *გუდაუთის რაიონში*: ანუხვის ს/საბჭოს სოფელ ბამბუკოვანს – აკალამრა; პრიმორსკის ს/საბჭოს სოფელ გოგირდწყალს – არსაული; მწარის ს/საბჭოს სოფელ შუამთას – ჩირუთა. საკითხი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცა.[274] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 20 აპრილს დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 17 აპრილის წარდგინება.[275]

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 2 ივნისს განიხილა საკითხი აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების შეცვლის შესახებ: *გაგრის რაიონში:* ქალაქის ტიპის დასახლებას განთიადს ეწოდოს ცანდრიფში, ხოლო განთიადის სადაბო საბჭოს ცანდრიფშის სადაბო საბჭო (არ იქნა მიღებული); *გულრიფშის რაიონში:* მაჭარის ს/საბჭოს სოფელი ვარდისუბანს გადაერქვას სახელი და ეწოდოს თხუბუნი. საკითხი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცა.[276] იმავე სხდომაზე პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების ტრანსკრიფციის შესახებ და დაამტკიცა მთელი რიგი დასახლებული პუნქტების ტრანსკრიფცია ქართულ და რუსულ ენებზე.[277]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 14 ივნისის ბრძანებულებით დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება „აფხაზეთის ასსრ ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების ტრანსკრიფციის შესახებ“ და დადგინდა მათი დაწერილობის ფორმა ქართულ და რუსულ ენებზე.[278]

გაგრის რაიონში: ხოლოდნორეჩინსკის ს/საბჭოს სოფელი გრებეშოკი (Гребешок), ხოლოდნორეჩინსკის ს/საბჭოს სოფელი ჩიგირიფში (Чигириш), ბზიბის ს/საბჭოს სოფელი არასაძიხი (Арасадзых);

გუდაუთის რაიონში: ქალაქის ტიპის დასახლება ახალი ათონი (Новый Афон), აგარაკის ს/საბჭოს სოფელი რიაფში (Риапш), ოთხარის ს/საბჭოს სოფელი ოთხარა (Отхара), ოთხარის ს/საბჭოს სოფელი გარფი (Гарп), დურიფშის ს/საბჭოს სოფელი დურიფში (Дурипш), ლიხნის ს/საბჭოს სოფელი ალგითი (Алгыт), აბღარხუქის ს/საბჭოს სოფელი აბღარხუქი (Абгархук), აჭანდარის ს/საბჭოს სოფელი ძიბზირი (Дзыбзыр), ააცის ს/საბჭოს სოფელი ააცი (Аацы), ხოფის ს/საბჭოს სოფელი ხოფი (Хуап), ხოფის ს/საბჭო (Хуапский сельский Совет), ლიხნის ს/საბჭოს სოფელი აძლაგარხუქი (Адзлагархук);

გულრიფშის რაიონში: გულრიფშის ს/საბჭოს სოფელი ქვემო გულრიფში (Нижний Гульрипш), გულრიფშის ს/საბჭოს სოფელი მეორე ბაღაჟიაშთა (Второй Багажиашта), გულრიფშის ს/საბჭოს სოფელი პირველი ბაღაჟიაშთა (Первый Багажиашта), გულრიფშის ს/საბჭოს სოფელი ფშაფი (Пшап),

---

[272] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, თბ., 1966, გვ. 111-123.
[273] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის, გვ. 14.
[274] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1676, ფურც. 308-309.
[275] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1675, ფურც. 421.
[276] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1676, ფურც. 303.
[277] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1676, ფურც. 304-306.
[278] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ. №6, გვ. 341-343.

გულრიფშის ს/საბჭოს სოფელი ფარნაუთი (Парнаут), აჟარის ს/საბჭოს სოფელი ბუძგური (Будзгур), აჟარის ს/საბჭოს სოფელი მარცხენა პტიში (Левый Птыш), აჟარის ს/საბჭოს სოფელი მარჯვენა პტიში (Правый Птыш), აჟარის ს/საბჭოს სოფელი მარცხენა გენწვიში (Левый Генцвиш), დრანდის ს/საბჭოს სოფელი ზემო ფშაფი (Верхний Пшап), დრანდის ს/საბჭოს სოფელი ქვემო ფშაფი (Нижний Пшап), აჟარის ს/საბჭოს სოფელი მარჯვენა გენწვიში (Правый Генцвиш), აჟარის ს/საბჭოს სოფელი ნახარი (Нахар), ამტყელის ს/საბჭოს სოფელი ამტყელი (Амткел), აჟარის ს/საბჭოს სოფელი საკენი (Сакен), ამტყელის ს/საბჭოს სოფელი ჯამპალი (Джампал), მაჭარის ს/საბჭოს სოფელი ზემო გულრიფში (Верхний Гульрипш) ლათის ს/საბჭოს სოფელი მარდახუჭი (Мардахуч);

ოჩამჩირის რაიონში: ქალაქი ოჩამჩირა (Очамчира), აძუბჟის ს/საბჭოს სოფელი ახივა (Ахыва), აძუბჟის ს/საბჭოს სოფელი ბაღლანი (Баглан), აძუბჟის ს/საბჭოს სოფელი დოპოუქითი (Допоукыт), აძუბჟის ს/საბჭოს საბჭოს სოფელი ბალანი (Балан), ათარა არამიანსკოეს ს/საბჭოს სოფელი ფსკალი (Пскал), ტამიშის ს/საბჭოს სოფელი ანუარხუ (Ануаарху), კინდღის ს/საბჭოს სოფელი ახივაა (Ахыва), ჯგერდის ს/საბჭოს სოფელი გურჩხი (Гурчх), მოქვის ს/საბჭოს სოფელი აჯაჟვი (Аджажв), ტყვარჩელის ს/საბჭოს სოფელი აყვარჩაფანი (Акварчапан), გუფის ს/საბჭოს სოფელი გუფ (Гуп), გუფის ს/საბჭოს სოფელი ჩაწვქითი (Чацвкыт), გუფის ს/საბჭოს სოფელი აკვასკე (Акваскиа), გუფის ს/საბჭოს სოფელი ზაგანი (Заган), ფოქვეშის ს/საბჭოს სოფელი ფოქვეში (Поквеш), ფოქვეშის ს/საბჭოს სოფელი აყვარაში (Аквараш), ოტაფის ს/საბჭოს სოფელი ოტაფი (Отап), არასაძიხის ს/საბჭოს სოფელი არასაძიხი (Арасадзых), არასაძიხის ს/საბჭოს სოფელი მეორე არასაძიხი (Второй Арасадзых), აგუ-ბედიის ს/საბჭოს სოფელი მეორე კოპიტი (Второй Копыт), ოხურეის ს/საბჭოს სოფელი აყვარაში (Аквараш), ბესლახუბის სასოფლო საბჭოს სოფელი დოდლანი (Додлан), არაკიჩის სასოფლო საბჭოს სოფელი არაკიჩი (Аракич), აგუ-ბედიის სასოფლო საბჭოს სოფელი პირველი კოპიტი (Первый Копыт), კვიტოულის სასოფლო საბჭოს სოფელი კუტოლი (Кутол), კუტოლის სასოფლო საბჭო (Кутольский сельсовет), აძუბჟის სასოფლო საბჭოს სოფელი კუდრახუქი (Кудрахук);

სოხუმის რაიონში: გუმისთის სასოფლო საბჭოს სოფელი ლეჩქოფი (Лечкоп), შრომის სასოფლო საბჭოს სოფელი კამანი (Каман).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 27 ივნისის დადგენილებით დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნარდგინება გულრიფშის რაიონის მაჭარის სასოფლო საბჭოს სოფელ ვარდისუბნის სოფელ თხუბუნად გადარქმევის შესახებ.[279]

ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლას აფხაზეთში ერთი მიზანი ჰქონდა: როგორც პროფესორი კობა ხარაძე აღნიშნავს „გეოგრაფიული სახელწოდებები გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირითადი ერისთვის ისტორიული მემკვიდრეობის არსებითი კომპონენტია, მოსახლეობისა და მისი კულტურის წარსულის შემეცნების მნიშვნელოვანი წყაროა, ერის ისტორიის ორგანული ნაწილია. მათში არეკლილია მოსახლეობის თანადროული სურათი და მხარის ისტორიული განვითარება".[280]

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ბიჭვინთას *პიცუნდა* ეწოდა (1955 წ.), ახალ ათონს – ნოვი აფონ (1955 წ.), ოჩემჩირეს – თავდაპირველად ოჩამჩირე (1948 წ.), ხოლო შემდეგ – ოჩამჩირა (1967 წ.), ქართულად მაინც ბიჭვინთა და ახალი ათონი იხმარებოდა, მოსახლეობაშიც ოჩემჩირე//ოჩამჩირე იყო დამკვიდრებული.

აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1969 წლის ცნობარის თანახმად აფხაზეთის ასსრ ტერიტორია 8,715 კვ. კმ იყო, მოსახლეობა – 477 ათასი. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 6 ადმინისტრაციული რაიონი: გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის; 3 დაბა (ახალი ათონი, ბიჭვინთა, განთიადი), 2 რესპუბლიკური (აფხაზეთის ასსრ) დაქვემდებარების ქალაქი

---

[279] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 1676, ფურც. 329; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ. №6, გვ. 344.

[280] კ. ხარაძე, ტოპონიმიკური შტუდიები, თბ., 2018, გვ. 276. აფხაზეთში 1943-1952 და 1953-1967 წლებში ტოპონიმების ცვლილებების შესახებ, იხ.: ო. მიქიაშვილი, აფხაზეთის ტოპონიმიის ისტორიიდან. 1943-1952, 1953-1967 წწ. – „ქართველური მემკვიდრეობა", ტ. IV, ქუთაისი, 2000, გვ. 255-258; თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა. სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბ., 2011, გვ. 496-507.

(სოხუმი, ტყვარჩელი), 4 რაიონული დაქვემდებარების ქალაქი: გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირა; 105 სასოფლო საბჭო, 514 სოფელი. გაგრის რაიონში (ცენტრი – ქ. გაგრა), 1 ქალაქი, 2 დაბა, 11 ს/საბჭო, 47 სოფელი; გალის რაიონში (ცენტრი – ქ. გალი), 1 ქალაქი, 24 ს/საბჭო, 90 სოფელი; გუდაუთის რაიონში (ცენტრი – ქ. გუდაუთა), 1 ქალაქი, 1 დაბა, 20 ს/საბჭო, 110 სოფელი; გულრიფშის რაიონში (ცენტრი – სოფ. მაჭარა), 14 ს/საბჭო, 94 სოფელი; ოჩამჩირის რაიონში (ცენტრი – ქ. ოჩამჩირა), 1 ქალაქი, 25 ს/საბჭო, 112 სოფელი; სოხუმის რაიონში (ცენტრი – ქ. სოხუმი), 11 ს/საბჭო, 61 სოფელი.[281]

1973 წლის აპრილში რაიონული დაქვემდებარების ქალაქი გაგრა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაიქმნა. გაუქმდა გაგრის რაიონი და მასში შემავალი სასოფლო და სადაბო საბჭოები ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გაგრის საქალაქო საბჭოს გადაეცა.[282]

1975 წლის მარტში გულრიფშის რაიონში ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილება მოხდა: სოფელი აგუძერა და სოფელ მაჭარის ნაწილი შეუერთდა სოფელ ქვემო გულრიფშს, რომელსაც სოფელი გულრიფში ეწოდა. გულრიფშის ს/საბჭოს ცენტრი სოფელ გულრიფშიდან გადატანილი იქნა სოფელ ფშაფში და ს/საბჭოს ცენტრის სახელწოდების შესაბამისად ფშაფის ს/საბჭო ეწოდა; ფშაფის ს/საბჭოს შემადგენლობიდან გამოიყო სოფელი გულრიფში და გარდაიქმნა ქალაქის ტიპის დასახლებად. ამასთან დაკავშირებით დაბა გულრიფშში შეიქმნა მშრომელთა დეპუტატების გულრიფშის სადაბო საბჭო; გულრიფშის რაიონის ცენტრად სოფელ მაჭარის ნაცვლად დადგინდა ქალაქის ტიპის დასახლება გულრიფში.[283]

აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1975 წლის ცნობარის თანახმად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 5 ადმინისტრაციული რაიონი: გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის; 1 გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია; 4 დაბა (ახალი ათონი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში), 2 რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი (სოხუმი, ტყვარჩელი), 105 სასოფლო საბჭო, 512 სოფელი. გაგრის საქალაქო საბჭოში (ცენტრი – ქ. გაგრა, 1 ქალაქი, 2 დაბა, 11 ს/საბჭო, 47 სოფელი), გალის რაიონში (ცენტრი – ქ. გალი, 1 ქალაქი, 24 ს/საბჭო, 90 სოფელი), გუდაუთის რაიონში (ცენტრი – ქ. გუდაუთა, 1 ქალაქი, 1 დაბა, 20 ს/საბჭო, 110 სოფელი), გულრიფშის რაიონში (ცენტრი – დ. გულრიფში, 1 დაბა, 14 ს/საბჭო, 92 სოფელი), ოჩამჩირის რაიონში (ცენტრი – ქ. ოჩამჩირა, 1 ქალაქი, 25 ს/საბჭო, 112 სოფელი), სოხუმის რაიონში (ცენტრი – ქ. სოხუმი, 11 ს/საბჭო, 61 სოფელი).[284]

1977 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის თანახმად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 5 ადმინისტრაციული რაიონი: გალის (ცენტრი – ქ. გალი, 1 ქალაქი, 24 ს/საბჭო, 90 სოფელი), გუდაუთის (ცენტრი – ქ. გუდაუთა, 1 ქალაქი, 1 დაბა, 20 ს/საბჭო, 110 სოფელი), გულრიფშის რაიონი (ცენტრი – დ. გულრიფში, 1 დაბა, 12 ს/საბჭო, 92 სოფელი), ოჩამჩირის (ცენტრი – ქ. ოჩამჩირა, 1 ქალაქი, 27 ს/საბჭო, 113 სოფელი), სოხუმის (ცენტრი – ქ. სოხუმი, 11 ს/საბჭო, 61 სოფელი); 1 გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია (ცენტრი – ქ. გაგრა, 1 ქალაქი, 2 დაბა, 11 ს/საბჭო, 47 სოფელი), სულ, 105 სასოფლო საბჭო, 513 სოფელი.[285]

1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიამ საქართველოს სსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) მიიღო.[286] ახალი კონსტიტუციით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები იყო რაიონი, ქალაქი, დაბა და სოფელი; ცვლილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრის შეცვლა, ახალი ერთეულის შექმნა და სხვა, ისევე როგორც ადრე, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრეროგატივა იყო.

ახალი კონსტიტუციის თანადხმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი:

„განსაზღვრავს საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების საკითხთა

---

[281] აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1969 წლის 1 იანვრისათვის, სოხუმი, 1969, გვ. 35-46.
[282] გაზ. „კომუნისტი", №85, 1973 წ. 11 აპრილი.
[283] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №54, 1975 წ. 18 მარტი; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №128, 1975 წ. 28 ივნისი.
[284] აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1975 წლის 1 დეკემბრისათვის. სოხუმი, 1975, გვ. 39-50.
[285] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის, თბ., 1977, გვ. 13.
[286] საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), მიღებულია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მიერ 1978 წლის 15 აპრილს, თბ., 1984.

გადაწყვეტის წესს; ადგენს და ცვლის ავტონომიური ოლქის საზღვრებსა და და რაიონულ დაყოფას; ქმნის ქალაქებს რაიონებში და ქალაქების რაიონებს; ადგენს ქალაქების დაქვემდებარებას: სახელს უცვლის რაიონებს, ქალაქებსა და ქალაქების რაიონებს, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს;

ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების რაიონულ დაყოფას, ქალაქებისა და ქალაქების რაიონების შექმნას, ქალაქების დაქვემდებარების შეცვლას, რაიონების, ქალაქების, ქალაქების რაიონების სახელის დარქმევასა და გადარქმევას, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტების სახელის გადარქმევას".[287]

აფხაზეთის ასსრ მეცხრე მონვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეცხრე სესიამ 1978 წლის 6 ივნისს აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) მიიღო. კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო აფხაზეთის ასსრ ერთპალატიანი უმაღლესი საბჭო. იგი უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა ყველა საკითხი, რომელიც სსრკ, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციებით ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნებოდა. უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (მთავრობის) – აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს შექმნა. კონსტიტუციის თანახმად უმაღლესი საბჭო ირჩევდა თავის მუდმივმოქმედ და მის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს – აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც უმაღლესი საბჭოს სესიებს შუა პერიოდში ახორციელებდა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციებს.[288]

კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი განსაზღვრავდა აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების საკითხთა გადაწყვეტის წესს; სახელს აკუთვნებდა ახალ დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებს; შემდგომში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცების საფუძველზე განსაზღვრავდა აფხაზეთის ასსრ რაიონულ დაყოფას, ქმნიდა ქალაქებს და რაიონებს ქალაქებში, ცვლიდა ქალაქების დაქვემდებარებას, სახელს აკუთვნებდა და სახელს უცვლიდა რაიონებს, ქალაქებს, რაიონებს ქალაქებში, აგრეთვე სხვა დასახლებულ პუნქტებს.[289]

აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის თანახმად:

მუხლი 72. „აფხაზეთის ასს რესპუბლიკა განსაზღვრავს თავის რაიონულ დაყოფას და წყვეტს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წყობილებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს".

მუხლი 73. „აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში არის რაიონები: გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის და რესპუბლიკური დაქვემდებარების (აფხაზეთის ასსრ) ქალაქები: სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი".[290]

აფხაზეთის ასსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში 1977 წლის 1 იანვრიდან 1987 წლის 1 იანვრამდე შემდეგი ცვლილებები განხორციელდა:

1977 წლის დეკემბერში, გალის რაიონში გალის წყალსაცავის მიერ სოფელ ცხირის ორ ნაწილად გაყოფასთან დაკავშირებით, სოფლის ზედა ნაწილს სოფელი ცხირი ეწოდა. რეჩხი-ცხირის ს/საბჭოს გამოეყო სოფელი ზემო ცხირი და მზიურის ს/საბჭოს მიეკუთვნა. რეჩხი-ცხირის ს/საბჭოს გამოეყო სოფლები ცხირი და ფართოღალი და პირველი გალის ს/საბჭოს მიეკუთვნა. რეჩხი-ცხირის ს/საბჭოს ცენტრი გადატანილ იქნა პირველი ცხირიდან სოფელ რეჩხში. რეჩხი-ცხირის ს/საბჭოს რეჩხის სასოფლო საბჭო ეწოდა.[291]

დაზუსტდა სახელწოდებები:

ათარა არმიანსკოე (ოჩამჩირის რაიონი) – ათარა არმიანსკაია; აკვარიკა (გალის რაიონი, რეფო-შეშელეთის ს/ს) – აკვარიკვა; ანუხვა არმიანსკოე (გუდაუთის რაიონი, ანუხვის ს/ს) – ანუხვა-არმი-

---

[287] საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), მიღებულია საქართველოს სსრ მეცხრე მონვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მიერ 1978 წლის 15 აპრილს, გვ. 36.

[288] აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), მიღებულია აფხაზეთის ასსრ მეცხრე მონვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეცხრე სესიის მიერ 1978 წლის 6 ივნისს. სოხუმი, 1979, გვ. 25-29.

[289] აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 28-29.

[290] აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 21.

[291] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბ., 1987, გვ. 248.

ანსკაია; არხვა (ელირთა) (გუდაუთის რაიონი, ხოფის ს/ს) – არხა (ელირთა); აღურიფსთა (სოხუმის რაიონი, ფსხუს ს/ს) – აღურაფსთა; მუგუძირხვა (გუდაუთის რაიონი, მუგუძირხვის ს/ს) – მგუძირხვა.[292]

1987 წლის 1 იანვრისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იყო 5 ადმინისტრაციული რაიონი: გალის (ცენტრი – ქ. გალი, 1 ქალაქი, 25 ს/საბჭო, 91 სოფელი), გუდაუთის (ცენტრი – ქ. გუდაუთა, 1 ქალაქი, 1 დაბა, 20 ს/საბჭო, 110 სოფელი), გულრიფშის რაიონი (ცენტრი – დ. გულრიფში, 1 დაბა, 12 ს/საბჭო, 92 სოფელი), ოჩამჩირის (ცენტრი – ქ. ოჩამჩირა, 1 ქალაქი, 27 ს/საბჭო, 113 სოფელი), სოხუმის (ცენტრი – ქ. სოხუმი, 11 ს/საბჭო, 61 სოფელი), 1 გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია (ცენტრი – ქ. გაგრა, 1 ქალაქი, 2 დაბა, 11 ს/საბჭო, 47 სოფელი), 6 ქალაქი – გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი და 4 დაბა – ახალი ათონი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში; 106 სასოფლო საბჭო, 514 სოფელი.[293]

1987 წლის ნოემბერში დაბა ახალი ათონი ქალაქად გარდაიქმნა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო;[294] იმავდროულად, გუდაუთის რაიონის სოფელ მგუძირხვიდან გამოიყო სოფელი მიუსერა, რომელიც ქალაქის ტიპის დასახლებად, დაბად გარდაიქმნა.[295]

1988 წელს სკკპ სრულიად საკავშირო XIX კონფერენციის პრეზიდიუმს აფხაზური ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა წერილით მიმართა. საკმაოდ ვრცელ წერილში თითქოსდა ქართველების მხრიდან აფხაზთა შევიწროებაზე იყო საუბარი. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც აფხაზური ინტელიგენციის ერთ ნაწილს ანუხებდა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა იყო და აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიის აღდგენას მოითხოვდა. წერილის დანართში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 1936 წელს ბერიასა და სტალინის ინიციატივით, საზოგადოებრივი აზრის, აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის ისტორიისა და კულტურის ინტერესების გათვალისწინების გარეშე შეცვალეს აფხაზეთის მთელი რიგი გეოგრაფიული სახელწოდებები, მათ შორის სუხუმს ეწოდა სოხუმი და ა. შ. ტრანსკრიფციული ცვლილებების გარდა, რომელიც მიზნად ისახავდა ამ გეოგრაფიული სახელწოდებებისათვის ქართული ფორმის მიცემას, მიმდინარეობდა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის მხარის კოლონიზაციის დროინდელი სახელწოდებების შეცვლა მხოლოდ ქართული სახელწოდებებით, და არ იყო დაშვებული აზრი მათი შეცვლისა ისტორიული სახელწოდებებით, იცვლებოდა ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი სახელწოდებები. აფხაზეთის ასსრ 1951 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად, გაგრის რაიონში იყო 57 დასახლებული პუნქტი, რომელთაგან 10 წლის განმავლობაში 43 შეიცვალა, ამასთან არ აღადგინეს არცერთი ძირძველი სახელი. იმის ნაცვლად, რომ ისეთი დასახლებული პუნქტებისათვის, როგორიცაა ერმოლოვკა და პილენკოვო აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ კარიბჭესთან, დაებრუნებინათ მათი ცნობილი ძველი სახელები, როგორიცაა ცანდრიფში და გეჩრიფში, მათ განთიადი და ლესელიძე დაარქვეს. უკანასკნელს სახელი დაარქვეს საბჭოთა გენერლის ლესელიძის პატივსაცემად, რომელიც არც დაბადებით და არც საცხოვრისით ან საქმიანობით ამ ადგილთან პირდაპირ დაკავშირებული არ იყო. ამის მიზანი იყო, აფხაზეთში ყველა შემომსვლელს სცოდნოდა, რომ საქართველოში იმყოფებოდა.[296]

---

[292] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გვ. 252.
[293] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გვ. 107-118.
[294] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №9, 1988 წელი, 13 იანვარი.
[295] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №9, 1988 წელი, 13 იანვარი.
[296] «Следующим вопросом, который относится к разряду «запретных» и остается нерешенным, является восстановление преднамеренно искаженного облика исторической топонимии Абхазии. Ещё в 1936 г. по инициативе Берия и Сталина, без учета общественного мнения, интересов истории и культуры коренного населения Абхазской АССР Сухум переименовывается в Сухуми, Ткварчелы (абх. Ткварчал) в Ткварчели, Очамчиры (абх. Очамчира) в Очамчири. Вслед за этими изменениями транскрипционного порядка в пользу придачи им грузинской формы, начинается процесс замены новых названий, возникших в связи с колонизацией края в конце XIX и в начале XX веков, исключительно грузинскими. При этом не допускалось и мысли о восстановлении недавно несправедливо отвергнутых исторических имен, более того, меняются и многие уцелевшие исконные наименования. По административно-территориальному делению Абхазской АССР 1951 года, например, в Гагрском районе имелось всего 57 населенных пунктов, из которых в течение 10 лет переименовано 43. Тем самым общее число грузинских названий в этом регионе доведено до 43, при этом не было восстановлено ни одного из сохранившихся в быту, исконных названий. Например вместо того, чтобы вернуть таким населенным пунктам как Ермоловка, Пиленково, находящимся у северо-западных ворот Абхазии, их известные прежние имена Цандрипш и Гечрипш, они переименовываются в Гантиади и Леселидзе. Последний именуется в честь советского генерала Леселидзе,

ისტორიული სახელწოდებების შეცვლა საბჭოთა რეჟიმისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო მთელი მისი არსებობის მანძილზე. არც ქართველი ხალხის აზრი გაუთვალისწინებიათ, როდესაც ოზურგეთს მახარაძე უწოდეს, მარტვილს – გეგეჭკორი, ხონს – წულუკიძე, ახალსენაკს – ცხაკაია, ზესტაფონს – ჯუღელი, ხარაგაულს – ორჯონიკიძე, ცხინვალს – სტალინირი, ახალგორს – ლენინგორი; ისევე, როგორც აფხაზეთში, საქართველოს სხვა მხარეებშიც მრავლად გაჩნდა ისეთი გეოგრაფიული სახელწოდებები, როგორიცაა შრომა, პირველი მაისი, ახალსოფელი, ოქტომბერი და ა. შ. ასეთი ვითარება იყო არამარტო საქართველოში, არამედ ნებისმიერ საბჭოთა რესპუბლიკაში.

რაც შეეხება ისტორიულ ტოპონიმიას. XVI-XVIII საუკუნეებში აფხაზეთში და აფხაზების (აფსუების) მიერ მიტაცებულ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე რადიკალურმა ეთნიკურმა ცვლილებებმა, ამ მხარეში ისტორიული ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების აფხაზური სახელწოდებებით შეცვლა გამოიწვია.[297] აფხაზური წერილების ავტორები გაურბიან იმის აღნიშვნას, რომ სოხუმის ძველი ქართული სახელია *ცხომი//ცხუმი*, რომელიც პირველად „ქართლის ცხოვრებაში" VIII საუკუნის 30-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით იხსენიება. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მას *ცხომი//ცხუმი* ერქვა. რაც შეეხება *სოხუმ//სუხუმ* ფორმას, ის არაბულიდან მომდინარეობს. ასე მოიხსენიებს ცხუმს პირველად არაბი ავტორი ალ-ფარიკი (XII ს.). სახელწოდება „სუხუმ" ქართული „ცხუმის" არაბული შესატყვისია. „სუხუმ"//„სოხუმს" ეძახდნენ მას თურქ-ოსმალებიც, რომლებიც შავიზღვისპირეთში XV საუკუნის II ნახევრიდან გამოჩნდნენ. ცნობილია, რომ არაბულში ო ბგერა არ არის, აღმოსაელურ ენებს (არაბული, თურქული) ც ბგერაც არ გააჩნიათ და მას მუდამ ს ბგერა ენაცვლება; ამასთან ორი თანხმოვნის ერთად გამოთქმა შეუძლებელია და მათ შორის იგივე ხმოვანი ჯდება, რაც სიტყვის მომდევნო ნაწილშია. ასე მივიღეთ ქართული ცხომი//ცხუმიდან სუხუმ//სოხუმი. აფხაზები მას „აყუა"-ს ეძახიან. ეს აფხაზური გეოგრაფიული სახელი პირველად მდ. ყუბანის შუა წელზე იტალიელი კარტოგრაფის ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკაზე გვხვდება. საკუთრივ სოხუმის აღსანიშნავად, დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე პირველადაა დაფიქსირებული გეოგრაფიული სახელი „აყუ". იმავე რუკაზე დატანილია „ცხომის ციხე", ხოლო იმავე ხანებში ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1758 წწ.) თავის თხზულებაში ქალაქ ცხომს იხსენიებს. სახელწოდება „სოხუმი" თურქულიდან ქართულში, როგორც ჩანს, XVIII საუკუნის დასაწყისში შემოვიდა. დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე „ცხომის ციხის" დასავლეთით დატანილია ციხესიმაგრე ნარნერით: „სოხუმის ციხე. ქართულად აყუ ქვიან". 1737 წლის რუკის „აყუ" აფხაზური „აყვას" ქართული გახმოვანებაა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე თურქები მას „სუხუმ-კალეს" (სოხუმის ციხე) ეძახდნენ. იმავდროულად, ეს სახელწოდება თურქულის გავლენით რუსულ ენაში „სუხუმ" ფორმით, ხოლო ქართულში „სოხუმი"-ს ფორმით დამკვიდრდა.[298] ასე რომ, არც „სოხუმი" და არც „სუხუმი" აფხაზებისთვის მშობლიური სახელი არ არის და მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა რუსულად „სუხუმ" დაიწერებოდა თუ „სუხუმი". გამართლებული იქნებოდა, ქალაქს ისტორიული სახელი ცხუმი დაბრუნებოდა.

რაც შეეხება სახელწოდებებს „გეჩრიფშ" და „ცანდრიფშ", ისინი მხოლოდ XIX საუკუნიდან გვხვდება საისტორიო წყაროებში და ეს სახელებიც ეთნოპოლიტიკური ცვლილებების შედეგადაა დამკვიდრებული.[299] სახელწოდებები *პილენკოვო* და *ერმოლოვსკი* აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. თუ დადასტურდებოდა, რომ ამ ადგილებში იყო *გეჩრიფში* და *ცანდრიფში*, რახან ადრინდელი სახელები არ შემორჩა, ეს სახელები უნდა აღედგინათ. ასევე შესაცვლელი იყო სახელები *კონსტანტინოვკა* და *მიხაილოვკა*, რომლითაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეცვალეს *აკაფა* და *გუმა*. მიზანშეწონილი იყო თუნდაც XIX საუკუნის დასაწყისიდან ცნობილი გეოგრაფიული სახელწოდებების *გუმა* და *აკაფა* აღდგენა, და არა სახელწოდებების – *მიხაილოვკა* და *კონსტანტინოვკა*, შეცვლა ახალი

который ни по месту рождения, ни жительства или деятельности, не имел прямого отношения к данной местности. Дело было конечно же не в генерале. Цель преследовалась вполне определённая: всем въезжающим в Абхазию, должно быть ясно, что они уже в пределах Грузии» (см. Абхазия в Советскую эпоху. Абхазские письма. 1947-1989. Сборник документов, т. 1, *ответственный редактор И. Марыкуба*, с. 426-427).

[297] ამის შესახებ, დაწვრილებით იხ.: ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., გვ. 150-156.

[298] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 72.

[299] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 41, 44-45.

სახელებით – *შრომა* და *ოდიში*. ასევე გაუმართლებელი იყო ისტორიული ტოპონიმების – *ბიჭვინთა, ოჩემჩირე, კოდორი, ღალიძგა, ფშია, კვიტაული, ხოფი* და სხვათა მივიწყება ან მათი ტრანსკრიფციული ცვლილება და მათ ნაცვლად ისეთი სახელების დამკვიდრება, როგორიცაა *პიცუნდა, ოჩამჩირა, ელადიმიროვკა, ბესლახუბა, ათარა, კუტოლ, ხვაფ*; სრულიად აუხსნელია *ნოვი აფონის* გადარქმევა *ფსირცხად* მაშინ, როდესაც არ აღადგინეს ამ ადგილის ძველი სახელწოდება, აფხაზთა საერისთავოს პოლიტიკური ცენტრის სახელი *ანაკოფია*.

ამრიგად, აფხაზეთში ეთნო-პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად იცვლებოდა გეოგრაფიული სახელწოდებები. XVI-XVII სს. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროდან ქართული მოსახლეობის გამოდევნისა და აფხაზური (აფსუა) მოსახლეობის დამკვიდრების შემდეგ, ჯერ მდ. კელასურამდე, შემდეგ მდ. ღალიძგამდე, აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებები დამკვიდრდა. XVIII საუკუნეში აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებები ჩნდება აგრეთვე მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის ტერიტორიაზე. XIX საუკუნეში აფხაზთა ერთი ნაწილის ოსმალეთის იმპერიაში იძულებით გასახლებისა (მუჰაჯირობა) და მხარის კოლონიზაციის შემდეგ მკვიდრდება რუსული და სხვა უცხოური გეოგრაფიული სახელწოდებები. საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, აფხაზეთში საბჭოთა იდეოლოგიზებული გეოგრაფიული სახელწოდებები მკვიდრდება. 1992-1993 წწ. აფხაზეთის ომისა და ომისშემდგომ პერიოდში ქართული მოსახლეობის გამოდევნის შემდეგ აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები კიდევ ერთხელ შეცვალა, რითაც შეეცადა აფხაზეთში ქართველთა ცხოვრების კვალი საბოლოოდ წაეშალა.[300]

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა. გაიმარჯვა ეროვნული მოძრაობის ერთმა ფრთამ, ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია ედგა. უზენაესმა საბჭომ პირველ სხდომაზე, 14 ნოემბერს, მიიღო კანონი „საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ", რომლის თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკა ეწოდა.[301] იმავე სხდომაზე უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „გარდამავალი პერიოდის შესახებ", რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკაში გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მომზადებულიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები.[302] საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეწყდა საბჭოების უფლებამოსილება, ხოლო 1991 წლის 29 იანვარს ადგილობრივი საბჭოების სისტემა საერთოდ გაუქმდა. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ვალდებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუცია, თუმცა ეს პროცესი ჭიანურდებოდა.

1991 წლის დამდეგს გაგრის საქალაქო საბჭოსადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის სასოფლო საბჭო სადაბო საბჭოდ და სოფელი ბზიფი დაბა ბზიფად გარდაიქმნა.[303]

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ამ დროისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შედიოდა 5 ადმინისტრაციული რაიონი – გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის, 1 – გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია; 7 ქალაქი – ახალი ათონი, გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი; 5 დაბა – ბზიფი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში, მიუსერა; 104 სასოფლო საბჭო და 514 სოფელი.

---

[300] ამის შესახებ, დაწვრილებით იხ.: პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2016.
[301] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ. №11, გვ. 17.
[302] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ. №11, გვ. 17-21.
[303] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ. №4, გვ. 49.

1991 წლის შემდეგ

1991 წლის დეკემბერში სსრ კავშირი დაიშალა და მის ნაცვლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) შეიქმნა. საქართველოს რესპუბლიკამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შესვლაზე უარი განაცხადა, ამიტომ რუსეთმა მის წინააღმდეგ მთელი რიგი ბერკეტები აამოქმედა და ხელისუფლების შეცვლაზეც იზრუნა.

საქართველოში 1991 წლის დეკემბერ – 1992 წლის იანვრის სახელმწიფო გადატრიალებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ აფხაზეთში ვითარება გართულდა. აფხაზური სეპარატისტული ძალები, მოსკოვის მხარდაჭერით, სეცესიის გზას დაადგნენ. 1992 წლის მაისიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ფაქტობრივად ეთნიკური ნიშნით გაითიშა, უკვე ერთობლივი სხდომები არ ტარდებოდა. 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ფრაქციამ პროცესუალური ნორმებისა და რეგლამენტის დარღვევით მიიღო დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ; კანონი აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელწოდების აფხაზეთის რესპუბლიკით შეცვლის შესახებ.[304]

1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის გამოცხადება, ფაქტობრივად, საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის დეკლარირებას ნიშნავდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს კონსტიტუცია ძალაში არ შესულა.[305]

1992 წლის 28-30 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა ფრაქციამ გამართა სესია და 23 ივლისის უკანონო აქტი გააუქმა. იმავდროულად, 28 ივლისს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ეწოდა.[306]

რუსეთის ხელისუფლების ნაქეზებით აფხაზი სეპარატისტების მიერ ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციიდან გამოყოფის მცდელობას 1992-1993 წწ. აფხაზეთის ომი, რეალურად, რუსეთ-საქართველოს გამოუცხადებელი ომი მოჰყვა. რუსეთის ფედერაციის ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერით აფხაზეთის ომი ფორმალურად აფხაზი სეპარატისტების, ფაქტობრივად კი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ეს იყო აფხაზეთში რუსეთის ოკუპაციის დასაწყისი, რაც 1994 წლის გაზაფხულზე ე.წ. სამშვიდობო ძალების აფხაზეთში შეყვანით გამოიხატა. საქართველოს იურისდიქციაში მხოლოდ კოდორის ხეობის ზემო წელი დარჩა.

აფხაზეთში ომის შედეგები ძალზე მძიმე აღმოჩნდა: ოფიციალური მონაცემებით, 10 ათასამდე ქართველი და 5 ათასამდე აფხაზი დაიღუპა; აფხაზმა სეპარატისტებმა ქართველი მოსახლეობის გენოციდი მოაწყვეს; აფხაზეთის 300 ათასამდე მცხოვრები, მათ შორის, 200 ათასამდე ქართველი, 30 ათასამდე აფხაზი და ათასობით სხვა ეროვნების წარმომადგენელი, იძულებული გახდა მშობლიური კერა დაეტოვებინა და დევნილად ქცეულიყო. ქართველთა გენოციდი ომის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. ოფიციალური მონაცემებით, სეპარატისტებმა ომის დასრულებიდან დღემდე ეროვნული ნიშნით 5 ათასამდე ქართველი დახოცეს. მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება აფხაზეთში ეთნონმენდად შეფასდა. ეუთო-მ რუსეთის მონაწილეობითა და თანხმობით სამჯერ მიიღო აქტი, რომლითაც ცნო და დაგმო ეთნონმენდის ფაქტი აფხაზეთში: 1994 წლის 6 დეკემბრის ბუდაპეშტის სამიტის კომუნიკე („ეთნიკური წმენდის დაგმობა"), 1996 წლის 3 დეკემბრის ლისაბონის სამიტის დასკვნითი აქტი („გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დაგმობა"), 1999 წლის 17-18 ნოემბრის სტამბოლის სამიტის დეკლარაცია („გენოციდისა და ეთნონმენდის აღიარება-დაგმობა"); გაერო-ს უშიშროების საბჭომ 1996 წლის №1036, №1065, 1997 წლის №1097 და №1124, გენერალურმა ასამბლეამ 2008 წლის 29 მაისის რეზოლუციებით ცნეს ეთნონმენდის ფაქტი აფხაზეთში.[307]

---

[304] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005), გვ. 128; დ. ჯოჯუა, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში (1990-1992 წწ.), წიგნ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 350-351.

[305] დ. ჯოჯუა, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში (1990-1992 წწ.), გვ. 352.

[306] газ. «Демократическая Абхазия», 1992 г. 2 августа; დ. ჯოჯუა, აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში (1990-1992 წწ.), გვ. 352.

[307] დ. ჯოჯუა, აფხაზეთი 1992-2007 წლებში, წიგნ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, გვ. 366-367; თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 29-30.

1992-1993 წლების ომის შემდეგ სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ადრინდელი ადმინისტრაციული დაყოფა ძირითადად შეინარჩუნა. დამატებით, 1994 წელს შეიქმნა ტყვარჩელის რაიონი, რომელიც გალისა და ოჩამჩირის რაიონებიდან გამოყოფილი სოფლებისაგან შედგა. ეს იმისათვის გაკეთდა, რომ გალის რაიონის ქართული მოსახლეობა რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში გადაენაწილებინათ, რაიონის ტერიტორიის შემცირებისა და მოსახლეობის სწრაფი ასიმილირების მიზნით. ტყვარჩელის რაიონში გაერთიანდა ოჩამჩირის რაიონიდან გამოყოფილი ორი სოფელი – აგუბედია და ტყვარჩელი, და გალის რაიონიდან გამოყოფილი 8 სოფელი – ბედია, მუხური, ოქუმი, პირველი გალი, რეჩხი, ღუმურიში, ჩხორთოლი და წარჩე. იმავე მიზანს ემსახურებოდა 1995 წელს გალის რაიონის სოფლების – აჩიგვარის, გუდავის, შეშელეთის, – ოჩამჩირის რაიონისთვის გადაცემა.

დღეისათვის ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკაში შედის: გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გალის რაიონები. მთელ აფხაზეთში ქართული გეოგრაფიული სახელები აფხაზური სახელწოდებებით მასიურად შეიცვალა ან ტრანსკრიფციული ცვლილებები განხორციელდა, რაც „ისტორიული სამართლიანობის" აღდგენით აიხსნა. სახელწოდებების შეცვლის ახალი კამპანია ჯერ კიდევ 1991 წელს დაიწყო, როდესაც გალის რაიონის სოფლებს სახელები შეუცვალეს: *შეშელეთს* ენოდა *რიაპი, მზიურს – შაშიკვარა, რეჩხს – პატრარხუნა.*

1992 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ნაწილმა მიიღო დადგენილება სახელწოდება სოხუმის (Сухуми) სუხუმ-ით (Сухум) შეცვლის თაობაზე, ქ. ტყვარჩელს ენოდა ტკუარჩალ.[308] 1992 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით, შეიცვალა სახელწოდებები:

გაგრის რაიონში: დ. განთიადი – ცანდრიფშ, ბაღნარი (ბაღნარის ს/ს) – ხიშხა, ველი (ბაღნარის ს/ს) – ჩიგურხა, კლდეკარი (ბაღნარის ს/ს) – ამგუაშხუნა, მენდელეევო (ბაღნარის ს/ს) – აგხუა, იფნარი (ბზიფის ს/ს) – ასპა, კოლხიდა (კოლხიდის ს/ს) – ფსახარა, ალპური (კოლხიდის ს/ს) – აჩიფსტა, ზემოხევი (კოლხიდის ს/ს) – ცანგუარა, ქართული ხეობა (კოლხიდის ს/ს) – ახუხშარა, ოტრადნოე (კოლხიდის ს/ს) – აძაფშ, ლესელიძე (ლესელიძის ს/ს) – გეჩრიფშ, სალმე (ლესელიძის ს/ს) – ფსოუ, სულეეო (ლესელიძის ს/ს) – ფსოუხვა, ვაშლოვანი (მეხადირის ს/ს) – მფაადრიფსტა, ზეგანი (მეხადირის ს/ს) – ფშაშჩხა, კლდიანი (მეხადირის ს/ს) – აძრიფშ, მუხრანი (მეხადირის ს/ს) – კაცირხა, სალხინო (მიქელრიფშის ს/ს) – ლაკირხა, მიქელრიფში (მიქელრიფშის ს/ს) – მკიალრიფშ, დემერჩენცი (მიქელრიფშის ს/ს) – ხიშხარიფშ, ნაბლიანი (მიქელრიფშის ს/ს) – ბაღრიფშ, ცოდნისკარი (მიქელრიფშის ს/ს) – ფხისტა, ჩანჩქერი (მიქელრიფშის ს/ს) – პიანჩახუ, ვაკე (ხაშუფსის ს/ს) – არასაძახა, იმერხევი (ხაშუფსის ს/ს) – ახურაშქუა, ხეივანი (ხეივანის ს/ს) – ამზარა, კულტუბანი (ხეივანის ს/ს) – ასაბულეი, წალკოტი (ხეივანის ს/ს) – ლაფსთარხა, შაფრანოეო (ხეივანის ს/ს) – ხსირხუ, ორეხოეო (ხოლოდნორეჩკის ს/ს) – არასახუ, გრებეშოკი (ხოლოდნორეჩკის ს/ს) – ანიხანსტა, ხოლოდნაია რეჩკა (ხოლოდნორეჩკის ს/ს) – ბაღრიფსთა.[309]

გუდაუთის რაიონში: აბღარხხუკი – აბღარხიკუ, ანუხეა – ანხუა, ბლაბურხვა – ბლაბირხუა, მიუსერა – მისრა;

სოხუმის რაიონში: კელასური – კიალასურ, ახალსოფელი – ძიგუთა, ბესლეთი – ბასლათა. აფხაზური სახელები დაუბრუნდა სოფლებს შრომას – გუმა და ოდიშს – აკაფა;

გულრიფშის რაიონში: ესტონკა – დოპუაქით, კელასური – აიბუხცა, მერხეული – მარხიაულ, მიასნიკოვკა – დალ;

ოჩამჩირის რაიონში: ბესლახუბა – ბასლახუ, ცხენისწყალი – ჩბირხუა.

1994 წლის 9 სექტემბერს სეპარატისტული აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის ზოგიერთი დასახლებული პუნქტის ძველი სახელწოდებების აღდგენის შესახებ", რომლის თანახმად, *გალის რაიონში* შეიცვალა მთელი რიგი დასახლებული პუნქტების სახელები. სახელი გადაერქვა: ბულიშხინჯი (აჩიგვარის ს/ს) – აპსხანძიხ, განახლება (განახლების ს/ს) – გაგიდა, რეფო-ეწერი (რეფო-შეშელეთის ს/ს) – რიაპ, კოლონია (სიდის ს/ს) – აჭანდარა; შეიცვალა ტრანსკრიფცია: ქ. გალი – გალ, სოფ. აგვაერა (ოქუმის ს/ს) – აგუაიუარა, აკ-

---

[308] Сборник законодательных актов Республики Абхазия, выпуск 3. Сухум, 1995. с. 94-95; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 144.

[309] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 144-145.

ვარეიქვა (რეფო-შეშელეთის ს/ს) – აკუარეიქუა, აჩიგვარა (აჩიგვარას ს/ს) – აჩგუარა, გუდავა (პირველი, მეორე) – გუდაა, აკვაღა (ჭუბურხინჯის ს/ს) – აკუაგა, ბარღები (ზემო, ქვემო) – ბიარგიაპ, ღუმურიში (ღუმურიშის ს/ს) – ღუმრიშ, ლეკუმხარა (პირველი გალის ს/ს) – ალაკუმპარა, ოქუმი (ოქუმის ს/ს) – უაქუმ, ნარჩე (ნარჩეს ს/ს) – ნარჩა, ნოჯიხევი – ნარდჟხოუ, ჩხორთოლი (ჩხორთოლის ს/ს) – ჩხუართალ, შაშიკვარა (მზიურის ს/ს) – შაშიკუარა.[310]

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა დამოუკიდებლობისაკენ. 1994 წლის 26 ნოემბერს აფხაზეთის დე-ფაქტო უმაღლესმა საბჭომ მიიღო აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია.[311] 1999 წლის 12 ოქტომბერს აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა,[312] თუმცა აფხაზეთის დამოუკიდებლობა არცერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და სახელმწიფომ არ აღიარა.

2008 წლის 8-12 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ საქართველოს მიმართ მორიგი აგრესია განახორციელა. აგვისტოს ომის დროს რუსეთის ჯარის ნაწილებმა კოდორის ხეობის ზემო წელი დაიკავეს და ფორმალურად ამ ტერიტორიაზე აფხაზი სეპარატისტების იურისდიქცია გააერცელეს. ამის შედეგად აფხაზეთიდან გამოდევნილ მოსახლეობას კიდევ 2500 დევნილი დაემატა. აგრესიის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთში დამატებითი ძალები შეიყვანა და მისი სრული ოკუპაცია მოახდინა.[313]

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, რასაც მსოფლიო საზოგადოება უარყოფითად შეხვდა. ამის საპასუხოდ, იმავე წლის 28 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადა, ხოლო 23 ოქტომბერს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საგანგებო კანონი მიიღო. ამ კანონმა დიდი საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა: ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ 2012 წლის 8 ივლისს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ოკუპირებული ტერიტორიები უწოდა.[314] გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 2012 წლის ივლისში მიიღო რეზოლუცია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილების მშობლიურ მხარეში დაბრუნების შესახებ. მსგავსი რეზოლუციები გაერო-ში ყოველწლიურად მიიღება და მათი მხარდამჭერთა რიცხვი სულ იზრდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აშშ და ევროპის მრავალი ქვეყანა აფხაზეთს, ისევე როგორც ე. წ. სამხრეთ ოსეთს, რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლის.[315]

2013 წლის 23 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სადაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად არის მოხსენიებული.[316] 2016 წლის 8 სექტემბერს აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია (*H.Res. 600*) მიიღო. რეზოლუცია გმობს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას რუსეთის მიერ და მოუწოდებს ოკუპანტ ქვეყანას, დატოვოს სუვერენული ქვეყნის ტერიტორიები. რეზოლუციაში რუსეთის შესახებ ნათქვამია, რომ ის იგნორირებას უწევს სხვა სახელმწიფოების დამოუკიდებელ არჩევანს და რეგიონში გავლენის სფეროების ალდგენისათვის ძალის გამოყენებით იბრძვის. რეზოლუცია მოუწოდებს რუსეთს უკან წაიღოს საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების გადაწყვეტილება.[317] 2017 წლის 6 მაისს აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო აქტს (აშშ-ის 2017 წლის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტი, Consolidated Appropriations Act, 2017), სადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის შესა-

---

[310] Сборник законодательных актов Республики Абхазия, выпуск 3, Сухум, 1995, გვ. 78; რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 190-191.

[311] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 194-197.

[312] რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 342-343.

[313] თ. ბერაძე, ჯ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 30.

[314] http://mfa.gov.ge/News/%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%98%E1%83%A1-%9A.aspx?CatID=5

[315] თ. ბერაძე, ჯ. თოფურია, მ. სანაძე, ბ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 30.

[316] http://saqinform.ge/news/13141/evrosabWos+saparlamento+asambleam+saqarTvelo-ruseTis+shesaxeb+rezolucia+miiRo.html

[317] http://mfa.gov.ge/News/%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8-%E1%83%98%E1%83%A1-83%9A.aspx?CatID=5

ხებ ჩანაწერი შევიდა. აქტში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი და ცხინეალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი არის რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები. ვერც ერთი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და მათთან დიპლომატიურ ურთიერთობას დაამყარებს, აშშ-სგან ფინანსურ დახმარებას ვერ მიიღებს. აშშ წინააღმდეგი იქნება ნებისმიერი სახის ფინანსური დახმარებისა ნებისმიერ პროგრამაზე, რომელიც ლახავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩანაწერში ნათქვამია: „შეერთებული შტატები ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში და არ ცნობს ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, რომელიც მოსკოვმა აღიარა".[318]

ფრიად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოსადმი გამოხატული მხარდაჭერა. 2017 წლის 3 მაისს ევროსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: რუსეთის ფედერაციის ქმედება არის მიზეზი იმისა, რომ საქართველო ვერ ახორციელებს ლეგიტიმურ იურისდიქციას თავისიეე რეგიონებში. აქვე აღნიშნულია, რომ კონფლიქტი არის რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის.[319]

2019 წლის 8 აგვისტოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა აგვისტოს ომის 11 წლისთავთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია: „მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, სრულად შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით 2008 წლის 12 აგვისტოს მიღებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ძალების გაყვანის შესახებ. ასევე მოვუწოდებთ რუსეთს, მიიღოს და შეასრულოს პირობა საქართველოს მიმართ ცეცხლის გამოუყენებლობის შესახებ. ჩვენ მანამდე არ შევწყვეტთ მუშაობას, ვიდრე რუსეთი არ დაასრულებს საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ოკუპაციას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული ადამიანისა და დევნილის სახლში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების უფლებას. დაბოლოს, ჩვენ ქართველი ხალხის გვერდით ვდგავართ და ველით იმ დღეს, როდესაც ერთად აღვნიშნავთ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დასრულებას".[320]

ოკუპირებულ აფხაზეთში ისევ გრძელდება გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლის პროცესი, განსაკუთრებით გალის რაიონში. აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის მიიღო დადგენილება „გალის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა და მათი სახელწოდებების შესახებ", რომლის თანახმადაც *გალის რაიონში* სახელები შეეცვალა სოფლებს და ეწოდა: პირველ ოტობაიას – ხაშტა, მეორე ოტობაიას – ბგოურა, ფიჩორს – ბჩარა, ჭუბურხინჯს – ხიაცხა, ნაბაკევს – ბათაიგუარა, დიხაზურგას – აბააქით, ოკვინორეს – ციგტვარა, ზემო ბარღებს – ვიადა ბარგიაფ, ქვემო ბარღებს – ლადა ბარღიაფ. როგორც „აფსნიპრესი" იუწყება, სახელწოდებები „ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით" შეიცვალა[321], თუმცა ასეთი ისტორიული წყაროები ბუნებაში არ არსებობს.

[318] http://mfa.gov.ge/News/donald-trampma-khell-moacera-biujetis-kanons,-rome.aspx
[319] http://mfa.gov.ge/News/%E2%80%8Bevropis-sabchos-ministrta-moadgileebis-komitetma.aspx
[320] გაზ. „კვირის პალიტრა", №33, 2019 წ. 12-18 აგვისტო, გვ. 2.
[321] http://www.apsnypress.info/news/deputaty-parlamenta-utverdili-nazvaniya-naselennykh-punktov-v-galskom-rayone/

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ძალაქები და დაბები

1991 წლის მდგომარეობით აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შედიოდა 7 ქალაქი – ახალი ათონი, გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირა, სოხუმი, ტყვარჩელი, და 5 დაბა – ბზიფი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში, მიუსერა.

ძალაქები

ახალი ათონი, საკურორტო ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ფსირცხას, ძველი „ანაკოფიის მდინარის" შესართავში. VI საუკუნის ბიზანტიელ ავტორთა ცნობით, ამ ადგილას ციხე-ქალაქი ტრაქეა მდებარეობდა. მისი სახელწოდება ძველი ქართული „უღაღის" (გაუვალი, ძნელად სავალი ადგილი) ბერძნულ თარგმანს წარმოადგენს. შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში მას *ანაკოფია* ეწოდება. პირველად იგი „ქართლის ცხოვრებაში" VIII ს. 30-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით იხსენიება. ანაკოფიის ციხე-ქალაქის ნანგრევები დღემდე შემორჩა. XIX საუკუნეში მას აფხაზური სახელი *ფსირცხა* ეწოდება, თუმცა ზოგიერთ რუკაზე კვლავ არის აღნიშნული სახელწოდება *ანაკოფია*. 1875 წელს რუსეთის ხელისუფლებამ აქ ათონის მთაზე მდებარე წმ. პანტელეიმონის რუსული მონასტრის ფილიალი დააარსა და მონასტერს „ნოვი აფონი" ეწოდა. ეს სახელწოდება დასახლებულ პუნქტზეც გავრცელდა.[322] 1921 წლიდან ახალი ათონის თემი გუდაუთის მაზრაში შედიოდა.[323] 1925 წელს ნოვი აფონს *ფსირცხა* ეწოდა.[324] 1938 წლის ნოემბერში გუდაუთის რაიონის ფსირცხის ს/საბჭოს გამოეყო კურორტი ფსირცხა, რომელიც დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებად) გარდაიქმნა.[325] 1948 წლის სექტემბერში დაბა ფსირცხას – *ახალი ათონი* ეწოდა, ხოლო ფსირცხის სადაბო საბჭოს – ახალი ათონის სადაბო საბჭო.[326] სახელწოდება *ახალი ათონი* რუსული „ნოვი აფონის" ქართული თარგმანი იყო. 1952 წლის დეკემბერი – 1953 წლის სექტემბერში დაბა ახალი ათონი *ახალი ათონის რაიონის* ადმინისტრაციული ცენტრია.[327] 1953 წლის სექტემბრიდან ახალი ათონი გუდაუთის რაიონში შემავალი დაბაა.[328] 1955 წლის აპრილში დაბა ახალ ათონს – *ნოვი აფონი*, ხოლო ახალი ათონის სადაბო საბჭოს – ნოვი აფონის სადაბო საბჭო ეწოდა.[329] 1967 წლის ივნისში დადგინდა სახელწოდების დაწერილობის ფორმა ქართულ და რუსულ ენებზე *ახალი ათონი, Новый Афон*.[330] 1987 წლის დეკემბრიდან ახალ ათონი რაიონული დაქვემდებარების ქალაქია.[331]

გაგრა, ქალაქი და რაიონული ცენტრი, კლიმატური კურორტი. მდებარეობს გაგრის ქედის სამხრეთ კალთაზე და გაგრის უბის ვიწრო სანაპირო ზოლში. შუა საუკუნეებში მას „გაგარი" ეწოდებოდა, რაც ძველ ქართულში „ხეობაში ვიწრო გასასვლელს" ნიშნავდა. XIV-XV სს. იტალიურ და კატალონიურ რუკებზე აღნიშნულია *კაკრ, კაკარი, ბაკარი* ფორმით. ძველად აქ, ზღვის პირას, გზა გადიოდა, რომელიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს საქართველოსთან და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიასთან აკავშირებდა. გაგრას ჩრდილო-დასავლეთით მდ. გაგრიფში (აფხ. გაგრის წყალი) საზღვრავს. ამ მდინარის შესართავში გვიანდელ ანტიკურ ხანაში ციხე-სიმაგრე ააგეს, რომელიც შუა საუკუნეებშიც გამოიყენებოდა. 1830 წელს რუსეთის ჯარის ნაწილების მიერ გაგრის დაკავების შემდეგ ციხე-სიმაგრე განაახლეს და მეციხოვნეები ჩააყენეს. ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) დროს, 1854 წელს, რუსმა მეციხოვნეებმა გაგრის ციხე დატოვეს და ააფეთქეს. ომის დასრულების შემდეგ რუსეთის სარდლობამ გაგრის ციხე-სიმაგრე აღად-

---

[322] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 52.
[323] საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნან. I. სათემო ჯამები, გვ. 84.
[324] **Кварчия В. Е.** *Ойконимы Абхазии в письменных источниках*, გვ. 25.
[325] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. №2, გვ. 4
[326] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231, ფურც. 10-15; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ. №1-2 (14-15), გვ. 30-34.
[327] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1952 წ. №7, გვ. 7; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ. №7, გვ. 15.
[328] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წ. №7, გვ. 15.
[329] საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 30, საქმე 22, ფურც. 32-39.
[330] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ. №6, გვ. 341-343.
[331] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №8, 1988 წელი, 13 იანვარი.

გინა და მეციხოვნეები ჩააყენა. ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე დგას V-VI სს. სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელიც 1902 წელს განაახლეს და გადააკეთეს.[332] იმპერატორ ნიკოლოზ II-ის (1894–1917 წწ.) 1901 წლის 9 ივლისის ბრძანებულებით, პრინც ალექსანდრე ოლდენბურგს გაგრის კლიმატური სადგურის (კურორტის) აშენება დაევალა. იმავე წლის ოქტომბერში შესაბამისი სამუშაოები დაიწყო, რომელიც მალევე დასრულდა. 1903 წლის 9 იანვარს გაგრის კლიმატური სადგური გაიხსნა.[333] 1904 წლის 25 დეკემბერს გაგრის კლიმატური სადგური სოხუმის ოკრუგიდან შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოკრუგს გადაეცა.[334] ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით გაგრის რაიონი სოხუმის ოლქის შემადგენლობაში შევიდა.[335] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს გაგრის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრია.[336] 1921 წლიდან გაგრის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან – გაგრის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. 1933 წელს დაბა გაგრამ რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო.[337] 1948 წლის აგვისტოში დადგინდა მისი დაწერილობის ფორმა რუსულ ენაზე *Гагра – Гагры-ს* ნაცვლად.[338] 1973 წლის აპრილში რაიონული დაქვემდებარების ქალაქი გაგრა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაიქმნა; გაგრის რაიონი გაუქმდა და გაგრის საქალაქო საბჭო შეიქმნა.[339]

გალი, ქალაქი და რაიონული ცენტრი, მდებარეობს მდ. ერისწყლის მარცხენა მხარეს. შუა საუკუნეებში მას *გოგიელი* ეწოდებოდა. ამ ფორმით ეს სახელი XVII ს. შუა წლების იტალიურ რუკებზე გვხვდება. სოფელი გალი აღნიშნულია სამეგრელოს 1861 წლის რუკაზე. 1886 წელს სამურზაყანოს უბანში შედიოდა *გალის თემი* სოფლებით პირველი გალი და მეორე გალი. 1906 წელს სოფელ ოქუმიდან სოფელ მეორე გალში გადმოიტანეს სამურზაყანოს უბნის ადმინისტრაციული ცენტრი. სახელწოდება „გალი" მომდინარეობს „ღალი"-დან, რაც მეგრულად „ღელეს" ნიშნავს.[340] სოფ. ღალი XX ს. დასაწყისიდან იხსენიება წყაროებში[341], თუმცა ბევრად ადრე არსებობდა. რუსული ენის მეშვეობით, რომელსაც „ღ" ბგერა არა აქვს, სახელწოდება „გალი" დამკვიდრდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს სამურზაყანოს მაზრის ადმინისტრაციული ცენტრია.[342] 1921-1925 წწ. სამურზაყანოს მაზრის, 1925-1930 წწ. გალის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან – გაგრის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია.[343] 1932 წელს დაბა გალმა რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიიღო.[344]

გუდაუთა, ქალაქი და რაიონული ცენტრი, კლიმატური კურორტი. მდებარეობს შავიზღვისპირა დაბლობზე, მდ. გუდოუს შესართავთან. აღმოცენდა XIX ს. შუა ხანებში სოფელ ლიხნიდან გამოყოფის გზით. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სწრაფად გაიზარდა და დაწინაურდა. სახელწოდება, მდინარის სახელისაგან მომდინარეობს, რომლის სანაპიროზეც იგი გაშენდა, -თა ადგილის სუფიქსის დართვით. თავდაპირველად მას და მდინარე გუდოუს გუდაეა ეწოდებოდა. გუდოუ გუდავას აფხაზური ფორმაა. XIX ს. შუა ხანებში პატარა სავაჭრო დაბა იყო ასი მცხოვრებით. 1874 წელს აქ სადაბო

---

[332] პ. ცხადაია, ზ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 39-40.

[333] გაგრა (აფხაზეთი), გაზ. „ივერია", №150, 1903 წ. 11 ივლისი; **Открытие Гагринской климатической станции. Кавказский календарь на 1905 г., Тифлис, 1904, გვ. 31;** ა. დიაჩკოვ-ტარასოვი, გაგრა და მისი შემოგარენი. *რუსულიდან თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს ზურაბ პაპასქირმა და ბეჟან ხორავამ*, თბ., 2003, გვ. 150.

[334] **Высочайше утвержденное положение Комитета министров о присоединении Гагринской климатической станции с прилегающим к ней районом, к Черноморской губернии, Кавказский календарь на 1906 г., Тифлис, 1906, გვ. 219-220.**

[335] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), გვ. 13.

[336] თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ზ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 109.

[337] СССР. **Административно-территориальное деление союзных республик. Январь 1965 года.** М., 1965, გვ. 413. სსრ კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1965 წლის ცნობარის თანახმად, გაგრამ რაიონული დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი 1933 წელს მიიღო, ხოლო ქსე-ს თანახმად, 1932 წელს (შ. ლაშხია, თ. ბერაძე, ლ. რჩეულიშვილი, გ. უშვერიძე, გაგრა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 612).

[338] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231, ფურც. 8.

[339] გაზ. „კომუნისტი", №85, 1973 წ. 11 აპრილი.

[340] პ. ცხადაია, ზ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 135-136.

[341] გაზ. „ივერია", №68, 1902 წ. 29 მარტი.

[342] თ. ბერაძე, კ. თოფურია, მ. სანაძე, ზ. ხორავა, საქართველოს ისტორიული ატლასი, I, აფხაზეთი, გვ. 109.

[343] პ. ცხადაია, ზ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 135-136.

[344] ჯ. ჯაოშვილი, თ. ბერაძე, გალი, ქსე, ტ. 2, გვ. 639; СССР. **Административно-территориальное деление союзных республик. Январь 1965 года,** М., 1965, გვ. 413.

მმართველობა დაფუძნდა. მისი მნიშვნელობა გაიზარდა XIX ს. 90-იანი წლებიდან, როდესაც გუდაუთაზე გავლით გაიყვანეს გზატკეცილი, რომელმაც სოხუმი ნოვოროსიისკთან დააკავშირა. XX ს. დასაწყისში დანინაურდა და ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა.[345] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს (1918-1921 წწ.) *გუდაუთი* გუდაუთის უბნის, შემდეგ კი გუდაუთის მაზრის ცენტრი იყო. 1921 წლიდან გუდაუთის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან გუდაუთის რაიონის ცენტრია. 1926 წელს ქალაქის სტატუსი მიენიჭა.[346] 1948 წლის აგვისტოში დადგინდა სახელწოდების დაწერილობის ფორმა *გუდაუთა – გუდაუთი*-ს ნაცვლად.[347]

ოჩამჩირა, ქალაქი და რაიონული ცენტრი. მდებარეობს მდ. ღალიძგის შესართავთან, მდინარის მარჯვენა ნაპირზე. XIX ს. 30-იან წლებიდან იხსენიება წყაროებში. სახელწოდება ქართულია. „ოჩემჩირე" მეგრულად „ერცელ ყანას" ნიშნავს. ოჩამჩირის მიდამოებში, მდ. მოქვის შესართავში, ანტიკურ ხანაში ძველი ბერძნული სავაჭრო ფაქტორია *გიენოსი* მდებარეობდა, რომელსაც პირველად ფსევდო სკილაქს კარიანდელი (ძვ. წ. IV ს.) იხსენიებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს (1918-1921 წწ.) *ოჩემჩირე* კოდორის უბნის, შემდეგ კი კოდორის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი იყო. 1921 წლიდან კოდორის მაზრის, 1930 წლიდან კოდორის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია.[348] 1926 წელს დაბა ოჩემჩირემ ქალაქის სტატუსი მიიღო.[349] აფხაზეთის ასსრ ცაკის 1933 წლის 4 აპრილის დადგენილებით, კოდორის რაიონს სახელი გადაერქვა და ოჩემჩირის რაიონი ეწოდა.[350] 1936 წლის აგვისტოში დადგინდა რუსულად დაწერილობის ფორმა *Очамчыры – Очамчири*-ს ნაცვლად.[351] 1948 წლის აგვისტოში დადგინდა სახელწოდების ფორმა *ოჩამჩირე – ოჩემჩირე*-ს ნაცვლად.[352] 1962 წლის დეკემბერში რაიონული დაქვემდებარების ქალაქი *ოჩამჩირე* რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას მიაკუთვნეს.[353] 1967 წლის ივნისში დადგინდა სახელწოდების ფორმა ქართულ და რუსულ ენებზე *ოჩამჩირა, Очамчира*.[354]

სოხუმი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი, რაიონული ცენტრი. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ძველ ბერძნულ წყაროებში (ფსევდო სკილაქს კარიანდელი, ძვ. წ. IV ს. და სხვ.) მას დიოსკურისი (დიოსკურია) ეწოდება. საფიქრებელია, რომ „დიოსკურია" ძველი ქართული სახელწოდების ბერძნულ გააზრებას წარმოადგენს. „დია" მეგრულად დედას ნიშნავს, ხოლო „სკური" – წყალს. ძვ. წ. I საუკუნეში დიოსკურიას რომის იმპერატორ გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 – ახ. წ. 14 წწ.) პატივსაცემად, მისი ტიტულის „ავგუსტუსის" (ლათ. დიადი, წმინდა) ბერძნული შესატყვისის „სებასტოსის" მიხედვით, სებასტოპოლისი უწოდეს. I საუკუნეში ეს სახელწოდება ნაკლებად იყო ცნობილი, ამიტომ პლინიუს უფროსი (24-79 წწ.) თავის „ბუნების ისტორიაში" დიოსკურიას და სებასტოპოლისს ცალ-ცალკე იხსენიებს. II საუკუნეში ფლავიუს არიანემ კარგად იცის, რომ სებასტოპოლისი ძველი დიოსკურიაა. V-VI სს. ბიზანტიელი ავტორები მას სებასტოპოლს (სევასტოპოლს) უწოდებდნენ. აქედან მოდის ამ ქალაქის სახელწოდება „სევასტოპოლი"//„სავასტოპოლი", რომელიც XIV-XVI სს. ევროპულ საზღვაო რუკებზე გვხვდება. ქალაქის უძველესი ქართული სახელწოდება ცხომი//ცხუმი იყო, რაც ძველ ქართულში რცხილას (კავკასიური რცხილა – მეგრ. ცხიმური, სვანურად ცხუმ) ნიშნავდა. ქართულ საისტორიო წყაროებში „ცხუმი" პირველად „ქართლის ცხოვრებაში" VIII ს. 30-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით იხსენიება. ეს სახელწოდება დამონმებულია აგრეთვე თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" (XIII ს.). არაბი ავტორი ალ-ფარიკი (XII ს.) პირველად იხსენიებს ქალაქს სახელწოდებით „სუხუმ", რაც ქართული „ცხუმის" არაბული შესატყვისია. ამ ქალაქს

---

[345] ჯ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 51-52.
[346] СССР. Административно-территориальное деление союзных республик. Январь 1965 года. გვ. 413.
[347] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231, ფურც. 8.
[348] ჯ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 107.
[349] СССР. Административно-территориальное деление союзных республик. Январь 1965 года. გვ. 413.
[350] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქმე 2894, ფურც. 12; История Абхазской АССР (1917-1937), გვ. 249.
[351] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов. *Отв. ред. Б. Е. Сагария*, გვ. 488.
[352] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231, ფურც. 8.
[353] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1963 წ. №1, გვ. 7-9.
[354] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ. №6, გვ. 341-343.

„სუხუმ"//„სოხუმს" ეძახდნენ თურქ-ოსმალებიც, რომლებიც შავიზღვისპირეთში XV ს. II ნახევრიდან გამოჩნდნენ. ცნობილია, რომ აღმოსავლურ ენებს (არაბული, თურქული) „ც" ბგერა არ გააჩნიათ, თანაც ორი თანხმოვნის ერთად გამოთქმაც უჭირთ. ასე მივიღეთ ქართული ცხომი//ცხუმიდან სუხუმ//სოხუმი. ეს სახელწოდება XIX-XX საუკუნეებში ქართულში სოხუმის, ხოლო რუსულში სუხუმის ფორმით დამკვიდრდა. ცხომი როგორც ქალაქი მოხსენიებულია ვახუშტი ბაგრატიონის (1696-1758 წწ.) თხზულებაში. საკუთრივ აფხაზები მას „აყვას" უწოდებენ. ეს აფხაზური გეოგრაფიული სახელი პირველად მდ. ყუბანის შუა წელზე იტალიელი კარტოგრაფის ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკაზე გვხვდება. საკუთრივ სოხუმის მნიშვნელობით, „აყუს" ფორმით ქალაქი 1737 წლის დასაწყისში საქართველოს რუკაზეა დაფიქსირებული, თუმცა იქვე დატანილია აგრეთვე „ცხომის ციხე". „სოხუმი" თურქულიდან ქართულში, როგორც ჩანს XVIII ს. დასაწყისში შემოვიდა. 1737 წლის რუკაზე „ცხომის ციხის" დასაწყისთან დატანილია ციხე-სიმაგრე წარწერით: „სოხუმის ციხე. ქართულად აყუ ქვიან". 1737 წლის რუკის „აყუ" აფხაზური „აყვას" ქართული გახმოვანებაა. „სოხუმი" და „აყუ" სინონიმებად მიაჩნია შუა საუკუნეების ქართველ ისტორიკოსს ნიკო დადიანს (1780-1834 წწ.). თურქულის გავლენით „სუხუმი"//„სუხუმ-კალე" (სოხუმის ციხე) რუსულ ენაში XIX საუკუნიდან დამკვიდრდა. მთელი XIX საუკუნისა და XX საუკუნის 20-იანი წლების დაწყისში რუსულად *სუხუმ-კალე* იწერებოდა. 1810-1864 წწ. აფხაზეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი იყო. 1848 წელს ქალაქის სტატუსი მიიღო. 1864-1883 წწ. სოხუმის სამხედრო განყოფილების, ხოლო 1883-1917 წწ. სოხუმის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) დროს სოხუმის ოლქის, ხოლო შემდეგ აფხაზეთის ავტონომიის ადმინისტრაციული ცენტრია; იმავდროულად, გუმისთის უბნის, შემდეგ გუმისთის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი. 1921-1924 წწ. გუმისთის მაზრის, 1924-1930 წწ. სოხუმის მაზრის, ხოლო 1930 წლიდან სოხუმის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია.[355] 1936 წლის აგვისტოდან Сухум ფორმის ნაცვლად, ოფიციალურად Сухуми ეწოდა.[356]

ტყვარჩელი, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი, მდებარეობს მდ. ღალიძგის ზემო წელში. სახელწოდება მომდინარეობს მცენარის ქართული (მეგრული) სახელიდან „ტყვარჩელია", რაც ყოჩივარდას ნიშნავს. ამ ადგილას დასახლება XVII ს. შუა წლების იტალიურ რუკებზე „ტკვაჯას" სახელით გვხვდება, რაც ქართული ტოპონიმის იტალიური გადმოცემაა. სოფელი ტყვარჩელი დატანილია XIX ს. რუკებზე. 1921 წლიდან შედიოდა კოდორის მაზრის, 1930 წლიდან – კოდორის რაიონის (1933 წლიდან ოჩემჩირის რაიონი) შემადგენლობაში.[357] XX ს. 30-იან წლებში ქვანახშირის მადნის ათვისებასთან დაკავშირებით შეიქმნა ქალაქური ტიპის დასახლება, რომლის სახელწოდებად 1936 წლის აგვისტოდან მისი დაწერილობის ფორმა რუსულ ენაზე Ткварчели დადგინდა Ткварчелы-ს ნაცვლად.[358] 1938 წლის ნოემბერში ოჩემჩირის რაიონის ტყვარჩელის სადაბო საბჭოს გამოეყო სოფელი აკარმარა და დაბად გარდაიქმნა.[359] 1942 წლის აპრილში ოჩემჩირის რაიონის შემადგენლობიდან გამოყვეს *ტყვარჩელისა* და *აკარმარის* მუშათა დასახლებები და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი *ტყვარჩელი* შეიქმნა.[360]

დაბები

ბზიფი, დაბა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მდებარეობს მდ. ბზიფის ქვემო წელში, მის მარჯვენა ნაპირზე. 1921 წლიდან შედიოდა გაგრის მაზრის, 1930 წლიდან გაგრის რაიონის კალდახვარის თემში სახელწოდებით *აბგაბორთა*. სახელწოდება აბგაბორთა აფხაზურია და „მგლის, მელიის სანახავ ადგილს ნიშნავს".[361] 1948 წლის სექტემბერში კალდახვრის ს/საბჭოს სოფელ აბგაბორ-

---

[355] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 71-72.
[356] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов. *Отв. ред. Б. Е. Сагария*, გვ. 488.
[357] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 127-128.
[358] Абхазия: документы свидетельствуют. 1937-1953. Сборник материалов. *Отв. ред. Б. Е. Сагария*, გვ. 488.
[359] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. №2, გვ. 6
[360] газ. «Советская Абхазия», №86, 1942 г. 11 апреля.
[361] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 43.

თას ეწოდა *ბზიფი*, ხოლო კალდახვრის ს/საბჭოს – ბზიფის ს/საბჭო, ცენტრით სოფელ ბზიფში.[362] 1991 წლის დამდეგს გაგრის საქალაქო საბჭოსადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის ს/საბჭო სადაბო საბჭოდ და სოფელი ბზიფი დაბა ბზიფად გარდაიქმნა.[363]

ბიჭვინთა, საკურორტო დაბა შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე, ბიჭვინთის კონცხზე. კონცხზე რელიქტური ფიჭვის კორომია. ამ ხე-მცენარის ქართულმა სახელმა დასაბამი მისცა დასახლების სახელწოდებას. ძველმა ბერძნებმა ქართული ბიჭვი//ფიჭვი (ბერძნ. Pitios) პიტიუნტად გადაიღეს. ამ სახელწოდებით ელინისტური ქალაქი ძვ. წ. II საუკუნიდან ჩანს. ძველი ქალაქი ინკითის ტბის ნაპირზე მდებარეობდა, რომელიც იმ დროს შავი ზღვის ყურეს წარმოადგენდა. ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. 64 – ახ. წ. 24 წწ.), რომელიც ძველი ბერძენი გეოგრაფის არტემიდორე ეფესელის (ძვ. წ. II ს.) ცნობას ემყარებოდა, მას „დიდი პიტიუნტის" სახელით მოიხსენიებს. IV საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის ცენტრს წარმოადგენდა. ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, როგორც დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი, 325 წელს ქ. ნიკეაში გამართულ I მსოფლიო საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა. ბიჭვინთა შუა საუკუნეებშიც დიდ საეკლესიო ცენტრად დარჩა. აქ დღესაც დგას X-XI სს. ეკლესია, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის მთავარ რეზიდენციას წარმოადგენდა. „ბიჭვინთა" ფორმა ახ. წ. IV საუკუნეში უკვე არსებობდა, რასაც ადასტურებს ნიკეის საეკლესიო კრების მონაწილეთა სირიულ სიაში „ბუჭჯუნდე" ვარიანტის არსებობა. იგივე ფორმა დასტურდება „ჯიჰან ნუმას" (XVII ს.) თურქულ რუკაზე. იგი დატანილია დასავლეთ საქართველოს 1737 წლის რუკაზე, მას იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1758 წწ.). XIV-XV სს. იტალიურ საზღვაო რუკებზე ბიჭვინთა „პეცონდას" ფორმით არის დატანილი. აქედან მომდინარეობს მისი რუსული და აფხაზური სახელწოდება „პიცუნდა".[364] საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაგრის რაიონის ლიძავის ს/საბჭოში შედიოდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 16 აპრილის ბრძანებულებით ლიძავის ს/საბჭოს სოფელ ბიჭვინთას *პიცუნდა* ეწოდა.[365] 1963 წლის ოქტომბერში სოფელი პიცუნდა დაბად გარდაიქმნა.[366]

განთიადი, საკურორტო დაბა შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ცანდრიფშის (ხოშუფსე) ნაპირზე. აქ არსებობდა სოფელი *ცანდრიფში*, რომელიც XIX ს. 30-იანი წლებიდან იხსენიება წყაროებში. სახელწოდება ჯიქების „ცანთა თემის საცხოვრისს, ცანების წყალს" ნიშნავს. 1864 წელს ჯიქების ოსმალეთის იმპერიაში გადასახლების შემდეგ, XIX ს. 70-იან წლებში, აქ რუსები, მოლდაველები, სომხები დასახლდნენ და სოფელს *პილენკოვო* ეწოდა, 1867-1876 წწ. შავი ზღვის ოკრუგის უფროსის, გენერალ დ. პილენკოს პატივსაცემად. 1921-1929 წწ. პილენკოვოს თემი სოჭის რაიონში შედიოდა, ხოლო 1929 წელს საქართველოს სსრ გადმოეცა და გაგრის მაზრის (1930 წლიდან გაგრის რაიონი) შემადგენლობაში შევიდა.[367] 1938 წლის ნოემბერში გაგრის რაიონის პილენკოვოსა და სალმეს ს/საბჭოებიდან გამოიყო ქალაქის ტიპის დასახლება პილენკოვო.[368] აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 17 ივნისის დადგენილებით გაგრის რაიონის სოფელ პილენკოვოს განთიადი ეწოდა, პილენკოვოს ს/საბჭოს – განთიადის ს/საბჭო.[369] მაშინ სახელწოდების რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა, მათ შორის აფხაზურიც, მაგრამ არჩევანი „განთიადზე" შეჩერდა იმ მოტივით, რომ ეს იყო ლამაზი, კეთილხმოვანი სახელწოდება, კარგად ტრანსკრიბირდება სხვა ენებზე, აქვს გამოკვეთილი ღერადობა და ადვილი დასამახსოვრებელია.[370] 1966 წლის ნოემბერში სოფელი განთიადი დაბად გარდაიქმნა.[371] 1992-1993 წწ. კონფლიქტის შემდეგ აღადგინეს სახელწოდება *ცანდრიფში*.

---

[362] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 231, ფურც. 10-15; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ. №1-2 (14-15), გვ. 30-34.
[363] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ. №4, გვ. 49.
[364] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 40-41.
[365] საქართველოს შსს არქივი, ფ. 14, აღწ. 30, საქმე 22, ფურც. 32-39.
[366] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის, გვ. 14.
[367] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 41.
[368] აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ. №2, გვ. 7-8.
[369] უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 1165, აღწ. 8, საქმე 28, ფურც. 4.
[370] გ. ფიფია, აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხისათვის, გაზ. „სახალხო განათლება", №17, 1990 წ. 26 აპრილი.
[371] საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის, გვ. 14.

გულრიფში, დაბა, გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, მდებარეობს მდ. მაჭარის მარცხენა ნაპირზე, მის შესართავთან. წყაროებში XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იხსენიება. მომდინარეობს სახელიდან „გულიების საცხოვრისი, გულიების წყალი". როგორც ჩანს, აქ გულიას ქართულ გვარს უცხოვრია.[372] ამ ადგილას იყო სოფელი *ქვემო გულრიფში*, რომელსაც 1975 წელს *გულრიფში* ეწოდა და დაბის სტატუსი მიიღო; იმავდროულად, დაბა გულრიფშში შეიქმნა გულრიფშის სადაბო საბჭო და გულრიფშის რაიონის ცენტრად ქალაქის ტიპის დასახლება გულრიფში დადგინდა.[373]

მიუსერა, დაბა გუდაუთის რაიონში, მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე. 1921-1949 წწ. *მისრას* სახელწოდებით გუდაუთის რაიონის მგუძირხვის თემში შედიოდა. სახელწოდება ქართულია და სვანურად „თოვლიანს" (მუსერ, მუს – თოვლი, -ერ – წარმომაველობა-ვითარების აღმნიშვნელი სუფიქსი) ნიშნავს. *მიუსერა* გორაკზე მდებარეობს, სადაც დაბლობზე უფრო ხანგრძლივად იდო თოვლი. აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც.[374] 1987 წლის ნოემბერში გუდაუთის რაიონის სოფელ მგუძირხვიდან გამოიყო სოფელი მიუსერა, რომელიც ქალაქის ტიპის დასახლებად, დაბად გარდაიქმნა.[375]

დასკვნა

ამრიგად, აფხაზეთის დღევანდელ საზღვრებში ჩამოყალიბებასა და საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას საფუძველი XIX საუკუნეში ჩაეყარა. 1864 წლის ივლისში რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და აქ უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება. 1883 წლიდან სოხუმის სამხედრო განყოფილება, კავკასიაში სამხედრო მმართველობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, სამოქალაქო უწყებაში გადავიდა და სოხუმის ოკრუგად გარდაიქმნა. სოხუმის ოკრუგი ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიყვანეს. იგი გუმისთის (ცენტრი ქ. სოხუმი), გუდაუთის (დ. გუდაუთი), კოდორის (დ. ოჩემჩირე), სამურზაყანოს (დ. ოქუმი) უბნებად იყოფოდა. უბნები სასოფლო საზოგადოებებისაგან, თემებისაგან, შედგებოდა. 1903 წელს ქუთაისის გუბერნიიდან გამოიყო სოხუმის ოკრუგი, რომელიც უშუალოდ კავკასიის მთავარმართებელს, 1905 წლიდან კავკასიის მეფისნაცვალს, დაექვემდებარა. ასეთი ვითარება 1917 წლამდე შენარჩუნდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც სოხუმის ოლქი (აფხაზეთი) ავტონომიის უფლებით შევიდა.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შედიოდა.

XX საუკუნის პირველ მესამედში (1918 წელს გაგრის, ხოლო 1929 წელს პილენკოვოს რაიონის შემოერთებით) აფხაზეთი ჩამოყალიბდა იმ საზღვრებში, რომელიც მას შემდეგ მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე ჰქონდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1930 წლებში საქართველოში ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული მაზრა იყო. აფხაზეთში ხუთი მაზრა არსებობდა: გაგრის, გუდაუთის, გუმისთის (1924 წლიდან სოხუმის), კოდორის (1933 წლიდან ოჩემჩირის), სამურზაყანოს (1925 წლიდან გალის). 1930 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოში მაზრებად დაყოფა რაიონებად დაყოფით შეიცვალა. აფხაზეთის მაზრები, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, გაუქმდა

---

[372] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 67.
[373] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №54, 1975 წ. 18 მარტი; გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №128, 1975 წ. 28 იენისი.
[374] პ. ცხადაია, ბ. ხორავა, აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი, გვ. 64.
[375] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", №8, 1988 წელი, 13 იანვარი.

და შეიქმნა გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, კოდორის, გალის რაიონები. ასეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ზოგიერთი ცვლილების მიუხედავად, მთელი საბჭოთა წყობილების მანძილზე ძალაში დარჩა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ძირითადად, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, ისტორიულ, კულტურულ, ენობრივ, ეთნიკურ, დემოგრაფიულ ფაქტორებს ემყარება. დოკუმენტებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მთავარ საფუძვლად, ეკონომიკური ფაქტორია მითითებული, თუმცა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური ფაქტორი.

აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად იცვლებოდა გეოგრაფიული სახელწოდებები. XIX საუკუნეში მხარის კოლონიზაციის შედეგად აქ რუსული, სომხური, თურქული და სხვა უცხოური გეოგრაფიული სახელწოდებები დამკვიდრდა. საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, აფხაზეთში საბჭოთა იდეოლოგიზებული გეოგრაფიული სახელწოდებები მკვიდრდება. იმ დროს სსრ კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკაში მასობრივად ცვლიდნენ ტოპონიმებს და, ბუნებრივია, ამ პროცესს აფხაზეთიც ვერ ასცდებოდა. აფხაზეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ხდებოდა და შემდეგ ნარედგინებოდა საქართველოს ხელისუფლებას (ცაკი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი) დასამტკიცებლად.

1943-1952 წლებში აფხაზეთის დასახლებული პუნქტების სახელწოდებების ერთი ნაწილი შეიცვალა. ეს ცვლილებები XIX საუკუნეში შერქმეულ რუსულ, სომხურ და თურქულ დასახელებებს შეეხო, რომლებიც ქართული ან აფხაზური ტოპონიმებით შეიცვალა. უცხოური ტოპონიმები არ იყო ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებები და აფხაზეთში რუსული კოლონიზაციისა და ეთნოდემოგრაფიული ინფილტრაციის შედეგს წარმოადგენდა. ამდენად, შეიცვალა უცხოური და არა აფხაზური სახელწოდებები.

სსრ კავშირის სათავეში ნ. ხრუშჩოვისა და მისი დაჯგუფების მოსვლის შემდეგ, აფხაზეთში ფართო ანტიქართული კამპანია გაიშალა. გაძლიერდა აფხაზური ნაციონალისტური ძალების მხარდაჭერა, რომლებიც საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფასა და რუსეთის სფსრ კრასნოდარის მხარესთან მიერთების მოთხოვნით გამოდიოდნენ. ასეთ ვითარებაში, 1953-1967 წლებში, ქართული ტოპონიმები აფხაზური, რუსული და სომხური სახელებით მასიურად შეიცვალა, მათ შორის, არა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული, არამედ ისტორიული ქართული სახელწოდებები.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა. ამ დროისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში შედიოდა 5 ადმინისტრაციული რაიონი – გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის, 1 – გაგრის საქალაქო საბჭოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორია; 7 ქალაქი – ახალი ათონი, გაგრა, გალი, გუდაუთა, ოჩამჩირე, სოხუმი, ტყვარჩელი; 5 დაბა – ბზიფი, ბიჭვინთა, განთიადი, გულრიფში; 105 სასოფლო საბჭო და 514 სოფელი.

1992-1993 წლების ომისა და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ, ამ მხარეში ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები მასიურად შეიცვალა.

გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა ისტორიული ინფორმაციის დაკარგვას, ხოლო ამგვარ სახელთა მასობრივი შეცვლა ხალხის ისტორიულ-კულტურული მეხსიერების მოშლას იწვევს. ნათლად ჩანს, რომ ისტორიული ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლით სეპარატისტული ხელისუფლება აფხაზეთში ქართველების კვალის წაშლას ცდილობს.

1. აფხაზეთის რუკა, 1870 წ.

2. შავი ზღვის გუბერნიის რუკა, 1913 წ.

3. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკა, 1918 წ.



4. აფხაზეთის სსრ რუკა, 1926 წ.

5. საქართველოს სსრ რუკა (ფრაგმენტი), 1930 წ.



6. აფსნე ასსრ რუკა (ფრაგმენტი), 1940 წ.
გაგრის რაიონი



აფსნე ასსრ რუკა (ფრაგმენტი), 1940 წ.
გალის რაიონი



7. აფსნე ასსრ რუკა (ფრაგმენტი), 1940 წ.
გუდაუთის რაიონი



აფსნე ასსრ რუკა (ფრაგმენტი), 1940 წ.
სოხუმის რაიონი



8. საქართველო სსრ რუკა (ფრაგმენტი), 1953 წ.



9. საქართველოს სსრ რუკა, 1963 წ.



10. საქართველოს სსრ რუკა (ფრაგმენტი), 1964 წ.


ბათუმი
ქ. ბათუმი
ქ. სოხუმი
გუდაუთა
ქ. ნოვოროსიისკი
ქ. სუხუმი
ქ. ტუაფსე
ქ. სოჭი
ქ. ადლერი
ქ. ლაზარევსკოე
ქ. ტუაფსე
ქ. ნოვოროსიისკი
ქ. ანაპა
ქ. ანაპა
ქ. ტემრიუკი
ქ. ტემრიუკი
ქ. ქერჩი
ქ. ქერჩი
ქ. ფეოდოსია
ქ. ფეოდოსია
ქ. ალუშტა
ქ. ალუშტა
ქ. იალტა
ქ. იალტა
ქ. სევასტოპოლი
ქ. სევასტოპოლი
ქ. ევპატორია
ქ. ევპატორია
ქ. ოჩაკოვი
ქ. ოჩაკოვი
ქ. ოდესა
ქ. ოდესა
ქ. ნიკოლაევი
ქ. ნიკოლაევი
ქ. ხერსონი
ქ. ხერსონი
ქ. ოლეშკი
ქ. ოლეშკი
ქ. ჩერნობაევკა
ქ. ჩერნობაევკა
ქ. ჩერნობაევკა



12. აფხაზეთის ასსრ. ფიზიკური რუკა, 1980 წ.

დოკუმენტები

1.

საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა აფხაზეთი

თემების სახელწოდება	სოფლების რიცხვი
I გაგრის მაზრა	**7**
1. ახალ-გაგრის	2
2.კალდახვარ-სომხეთის	1
3. კოლხიდა-ალახაძის	2
4. ცივი-წყაროს	2
II. გუდაუთის მაზრა	**109**
1. აბგარხუკის	11
2. ანუხვის	15
3. აჭანდარის	7
4. აცინის	5
5. ახალი-ათონის	1
6. ბლაბურხვა-ბარმიშის	9
7. დურიფშის	8
8. ზვანდრიფშის	8
9. კალდახვარ-აფხაზეთის	1
10. კალდახვარ-კავაკლუკის	8
11. ლიძავის	1
12. ლიხნენის	6
13. მუგუძირხვინის	5
14. მნარის	8
15. ოთხარის	7
16. ფსირცხის	1
17. ჯირხვინის	8
III. გუმისტის მაზრა	**108**
1. აზანტის	7
2. ანდრეევის	5
3. ათარო-ლატის	7
4. ბაბუშერის	3
5. ბეშკარდაშის	6
6. ბირცხინის	5
7. გულრიპშის	3
8. გუმისტის	4
9. დრანდის	6
10. ეკატერინეს	8
11. ეშერის	1
12. ვოლოდარსკის	7
13. კონსტანტინოვოს	4
14. მერხეულის	5
15. მიხაილოვოს	5
16. ნიკოლაევო-ანასტასიევის	4
17. პოლტავო-ოლგინის	10
18. ნებელდის	18
IV. კოდორის მაზრა	**44**
1. ათარა-აფხაზეთის	2
2. ათარა-სომხის	2
3. აძიუბჯის	3
4. ბესლახუბის	2
5. გუფის	5
6. ილორის	5
7. კვიტაულის	5
8. კოჩარის	1
9. მოქვის	5
10. პოკვეშის	3
11. ტამიშის	4
12. ტყვარჩელის	1
13. ჭილოვის	3
14. ჯგერდის	3
V. სამურზაყანოს მაზრა	**82**
1. აჩიგვარის	2
2. ბარღების	3
3. ბედიის	10
4. გაგიდა-ნაჭკადუს	4
5. გუდავის	4
6. თაგილონის	2
7. მუხურის	3
8. ნაბაკევის	3
9. ოტობაიას	5
10. ოქუმის	3
11. პირველი-გალის	3
12. რეპო-შეშელეთის	2
13. რეკის	3
14. რეჩხო-ცხირის	3
15. საბერიოს	21
16. ჭუბურის-ხინჯის	6
17. ცხირო-გალის	5

სულ აფხაზეთში – 350 სოფელი.

საქართველოს 1923 წ. სასოფლო-სამეურნეო აღწერა, ნაწ. I. სათემო ჯამები. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო, ტფილისი, 1923, გვ. 82-95.

2.

ПОСТАНОВЛЕНИЕ
ПРЕЗИДИУМА ЦЕНТРАЛЬНОГО ИСПОЛЬНИТЕЛЬНОГО КОМИТЕТА ССР АБХАЗИИ

Президиум Центрального Исполнительного Комитета ССР Абхазии постоновляет:

1. Образовать на территории бывшего Гумистинского уезда Сухумский уезд с административным центром в г. Сухуме.

2. Город Сухум в административном и хозяйственном отношении объединить с уездом.

3. Высшими местными органами Сухумского уезда являются Сухумский Уездный Съезд Советов и Сухумский Уездный Исполнительный Комитет.

4. Взаимоотношения Сухумского Уездного Исполнительного Комитета и Сухумского Горсовета определяются в Положениях «О Сухумском Уездном Исполкоме» и «О Сухумском Горсовете».

Зам. председателя Центрального Исполнительного Комитета ССР Абхазии **Гегелия**
Зам. секретаря Центрального Исполнительного Комитета ССР Абхазии **Начкебия**

20-го октября 1924 года.

газ. «Трудовая Абхазия», №238, 23 октября 1924 г.

3.

ს.ს.ს.რ. ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲧᲝᲤᲐ 1925
აფხაზეთის სოც. ს. რესპუბლიკა

ს ა მ უ რ ზ ა ყ ა ნ ო ს მ ა ზ რ ა

მაზრის ცენტრი გალი
" არე ანუ ფართობი 906.35
" რადიუსი 17.98
კომლთა რიცხვი მაზრაში 10.112
მცხოვრებთა რიცხვი მაზრაში 44.608

სას. საბჭოები: – გალის, 1-ლი გალის, ოქუმის, რეკინის, აჩიგვარის, გუდავის, ბარგების, გაგიდონაჭყადის, საბერიის, ლექუხონის, სანარდის, დიხაზურგანისის, ცხიროგალის, რეჩხოცხირის, ბედიის, მუხურის, რეპოშეშელეთის, ოტობაიას, ტაგილონის, ნაბაკევის, ჭუბურისხინჯის, გუმურიბინის (ღუმურიშის, - ავტ.) და გიძეეძურის (გინძეეწერის, - ავტ.) სას. საბჭო – სულ 23.

კ ო დ ო რ ი ს მ ა ზ რ ა

მაზრის ცენტრი ოჩემჩირე
" არე ანუ ფართობი 1579.73
" რადიუსი 2243
კომლთა რიცხვი მაზრაში 6113
მცხ. " " 28119

სას. საბჭოები: – ილორის, ოხურის, ლაბრინის, ბესლახუბის, პოქვეშის, ტკვარჩელის, მოგვეინის (მოქვის, - ავტ.), ტანიშის, აძუბჟინის, კაჭარის (კოჩარის, - ავტ.), ჩილოვის, ჯეგარდინის, ტიტოულის (კვიტოულის, - ავტ.), ხიმის (თხინის, - ავტ.), ათარუარმიანის, ათარუაბხაზის, ჯალის, კინდიხის – სულ 18.

გუმისტინის მაზრა

მაზრის ცენტრი სოხუმი
" არე ანუ ფართობი 2982.67
" რადიუსი 30.80
კომლთა რიცხვი მაზრაში 9.449
მცხ. " " 47.278

სას. საბჭოები: – ეშერის, გუმისტინის, ეკატერინის, მიხაილოვის, ანდრეევის, მერხულის, ბაბუშარის, აჟარის, ეოლოდარის, კონსტანტინოვის, ბეშკარდაშის, უსიხუმის, დრანდის, ნიკ. ანასტასიევის, გულვრიზეშის, ლატის, პალტავო-ოლგინის, ნებალდის, აზანთის, ელადიმერის – სულ 20.

გუდაუთის მაზრა*

მაზრის ცენტრი გუდაუთი
" არე ანუ ფართობი 1453.48
" რადიუსი 21.51

სას. საბჭოები: – ლიძავის, კავაქლუქის, ბარმიშის, ლიხნენის, აჭანდარის, ანუხოარმენის, პეტრეპავლეს, მცარის, ოთხარის, გურიზმის (დურიფშის, - ავტ.), ბაკლანოვის, მუგურძირხეინის, კალდახვარის, ბლაბურხვინის, ჯირხვინის, ბომბორის, ანუხოაფხაზის, ზვანდრიბშის, აცინის, ფსირ-ცხინის, აბგარხურკის – სულ 21.

გაგრის მაზრა*

მაზრის ცენტრი გაგრა
" არე ანუ ფართობი 442.73
" რადიუსი 11.87

სას. საბჭოები: – ახალ-გაგრის, აფხაზ-კოლდახვის (აფხაზური კალდახვარის, – ავტ.), ხოლოდ-ნორეჩინის, არმიანო მინგრელის კაოდახვარას (არმიანო-მინგრელსკი კალდახვარის, – ავტ.), ალახაძე-კოლხიდის – სულ 5.

ქ. სოხუმი 17.426 მცხ.
*გუდაუთისა და გაგრის მაზრებში ითვლება 6.827 კომლი და და 35 000 სული მცხოვრები.

ს.ს.ს.რ. ადმინისტრატიული დაყოფა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამოცემა. ტფილისი, 1925, გვ. 127-128.

4.

ДОКЛАД НКВД В ЦИК АБХАЗИИ О СОКРАЩЕНИИ ЧИСЛА СЕЛЬСКИХ СОВЕТОВ

11 ноября 1926 г.

Народный комиссариат внутренних дел, рассмотрев материалы о сокращении сельских Советов и детально изучив данный вопрос, находит следующее:

1. Число сельсоветов Гагринского уезда, за малостью их количества, не подлежит сокращению (5 сельсоветов).

2. Гудаутский уездный исполнительный комитет постановлением своим от 16 июля с.г. нашел возможным сократить два сельсовета:

а) Блабурхвинский сельсовет объединяется с Бармышским под наименованием Блабурхво-Бармышский сельсовет; Анухва-Абхазский сельсовет объединяется с Анухва-Армянским под названием Анухвинский сельсовет.

3. Сухумский уездно-городской исполнительный комитет постановлением своим от 26 июня с.г. нашел возможным сократить 3 сельсовета: а) Бешкардашский, Андреевский и Михайловский сельсоветы

объединяются в один – Михайловский сельсовет; Б) Екатерининский и Константиновский сельсоветы объединяются в один – Екатерининский сельсовет.

